პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ივნისი **შაბათი** 2010

№ 142 (13 130) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი 0:0 ალჟირი

# ციხე შიგნიდან გატყდა

| | |
|---|---|
| გერმანია | 0 |
| სერბეთი | 1 |




გერმანია-სერბეთი 0:1. იოვანოვიჩის გოლი ნოიერის კარში




## C ჯგუფი

| | |
|---|---|
| სლოვენია | 2 |
| აშშ | 2 |

# იყო თუ არა გოლი?




ედუს გააქვს გოლი სლოვენიელთა კარში, რომელიც არბიტრმა, რატომღაც, არ ჩათვალა

# ჰოლანდია ცვლილებებს ითხოვს

## როცა დასაკარგი არაფერი გაქვს...



## C ჯგუფი

# სად ინგლისი და სად ჩემპიონობა?!

18 ივნისი. ქეიპ თაუნი. გრინ პოინტი. 64 100 მაყურებელი

**ინგლისი–ალჟირი 0:0**

**ინგლისი:** ჯეიმსი - ჯონსონი, კარაგერი, ტერი, ე. კოული - ლენონი (63. რაიტ-ფილიპსი), ლამპარდი, ბერი (84. კრაუჩი), ჯერარდი - რუნი, ჰესკი (74. დეფო).

**ალჟირი:** მბოლი - ბუგერა, ჰალიში, იაჰია, ბელჰაჯი - კადირი, იებდა (89. მესბა), ლასენი, ზიანი (89. გედიურა) - ბუდებუზი (74. აბდუნი) - მატმური.

**გაფრთხილება:** კარაგერი (58), ლასენი (85)

**მატჩი დაიწყო:** ალჟირი; **დარტყმა:** 15(5)-13(1); **ჯარიმა:** 14-13; **კუთხური:** 10-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**არბიტრი:** რავშან ირმატოვი (უზბეკეთი)

**საინტერესო მომენტები**

4' - **სტივენ ჯერარდის** დარტყმულს **რაის მბოლი** დაეუფლა.

33' - **ფრენკ ლემპარდმა** ახლო მანძილიდან დაარტყა, ალჟირელთა მეკარემ ბურთი მოიგერია.

35' - **ქარიმ ზიანიმ** არაზუსტად დაარტყა.

39' - მბოლის **გარეთ ბერის** დარტყმის გაუვნებელყოფა არ გასჭირვებია.

43' - მბოლი **უეინ რუნის** დარტყმასაც იოლად გაუმკლავდა.

70' - **ემილ ჰესკის** დარტყმულს **რაფიკ ჰალიში** ჩაუხტა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

71' - **სტივენ ჯერარდის** თავურს ალჟირის ნაკრების კარის დარაჯი დაეუფლა.

ფეხბურთის სამშობლოში საკუთარი ეროვნული გუნდისგან ყოველთვის ბევრს ითხოვენ, მაგრამ ძალიან დიდი ხანია, ინგლისელებს მსოფლიოს ჩემპიონობაზე ასეთი დიდი ამბიცია არ ჰქონიათ. სამხრეთ აფრიკაში **ფაბიო კაპელო** და მისი ფეხბურთელები მუნდიალის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის რანგში ჩავიდნენ და თუკი სასტარტო მატჩის შემდეგ შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისგან თავი შევიკავეთ, ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გუნდს საჩემპიონო არაფერი ეტყობა. ჯერ კიდევ არაა გამორიცხული, მოხდეს სასწაული და ინგლისის ნაკრები სასიკეთოდ გარდაიქმნას, მაგრამ მაინც ნაკლებად წარმოსადგენია, ბრიტანელებმა სამხრეთ აფრიკა თავანეულებმა დატოვონ.

ბუნებრივია, ინგლისელთა შესაძლებლობებს არ ვაკნინებთ. კარგად გვახსოვს, როგორ დონეზე ჩაატარეს მათ მუნდიალის შესარჩევი ციკლი, მაგრამ მთავარი ხომ ისაა, როგორი კონდიციებით ჩავა გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამ მხრივ კი ინგლისელებს ჯერჯერობით, საქმე საშინლად აქვთ. მათი ეროვნული გუნდი კვლავ მძიმედ და დუნედ ირჯებოდა, უჭირდა აზრიანი იერიშების განხორციელება, არ იგრძნობოდა მჭიდრო კავშირი რგოლებსა და ფეხბურთელებს შორის და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ აკლია ამ გუნდს სრულყოფილებამდე, რაც ჩვენზე ბევრად უკეთ თვით კაპელომ უწყის. გვესმის, რომ კაპიტან **რიო ფერდინანდის** ტრავმა ინგლისელთათვის მძიმე დარტყმა აღმოჩნდა, მაგრამ ვერც ამით გაიმართლებენ თავს, რადგან მათ დაცვას კიდევ რა უჭირს, ავად თუ კარგად, **ჯეიმი კარაგერმა** დაკისრებულ მოვალეობებს თავი გაართვა, კაპელოს გუნდს სხვა რგოლებში უფრო აქვს პრობლემა. ბოლო ტურში კი ინგლისელებს ყველაზე მეტად სწორედ ამ რგოლების კარგი მუშაობა სჭირდებათ - თუ ბრიტანელთა შემტევი პოტენციალი მაშინაც ასეთი უსუსური იქნება, ყოჩაღი სლოვენიის დამარცხება ძალიან გაჭირდება, ამის გარეშე კი ინგლისი ჯგუფში ჩარჩება.

ბუნებრივია, ინგლისელთა უგერგილობა ოდნავადაც არ აკნინებს ალჟირელთა ისტორიულ მიღწევას. მათმა დამრიგებელმა **რაბაჰ საადანემ** შეძლო და სლოვენიასთან ჩატარებული უსახური მატჩის შემდეგ, გუნდი პროგრესის გზაზე დააყენა. ალჟირელები თავს მშვიდად და აკურატულად იცავდნენ, არ უშვებდნენ არც ტექნიკურ და არც პოზიციურ შეცდომებს, და დროდადრო შეტევებშიც ცდილობდნენ წარმატების მიღწევას. რაც მთავარია, მათ არ წაუგიათ მოედნის ცენტრი (უფრო პირიქით), რისი წყალობითაც რამდენიმე ნახევრადმომენტიც შექმნეს. თავის მხრივ, ვერც ინგლისელები იტყვიან, რომ თუნდაც ერთი რეალური საგოლე ეპიზოდი გაახერხეს.

შეამჩნევდით, რომ ორივე გუნდში ძირითადი მეკარეები შეიცვალნენ. ეს არცაა გასაკვირი - **რობერტ გრინისა** და **ფაუზი შაუშის** უხეშ შეცდომებს ხომ მათ კარში გოლები მოჰყვა. ახალმა გოლკიპერებმა, **დევიდ ჯეიმსმა** და **რაის მბოლიმ** გუშინდელი მატჩი უშეცდომოდ კი ჩაატარეს, მაგრამ არც იმდენი საქმე ჰქონიათ, რომელიმე მათგანი ქებით ცაში რომ ავიყვანოთ.

მუნდიალზე ინგლისელთა ძირითადში პირველად გამოჩდნენ **ჯეიმი კარაგერი** და **გარეთ ბერი**, მაგრამ ამით გუნდის თამაშში ბევრი არაფერი შეცვლილა. კაპელო კვლავ ენდო **ემილ ჰესკის**, მაგრამ ამ უკანასკნელს ხაზგასმით ვერ გავაკრიტიკებთ, რადგან ინგლისელთა მთავარი იმედის, **უეინ რუნის** თამადობით, მათი სხვა თავდამსხმელებიც არანაკლებ უსარგებლონი არიან. ყველაზე მეტი კრიტიკა კი ალბათ, **ჯერარდი-ლემპარდის** ნაქებ დუეტს ეკუთვნის, რომელიც გუნდის „მოტორის" როლს მეტისმეტად დაბალ დონეზე ასრულებს.

მოკლედ, ინგლისმა ხარისხიანი ვერაფერი შემოგვთავაზა, ხოლო ალჟირმა, რომელიც პირველი ტურის შემდეგ, ყველამ მუნდიალის ერთ-ერთ უსუსტეს გუნდად მიიჩნია, დაამტკიცა, რომ ეს არასწორი აზრია და გარკვეული სამერვედფინალო შანსის შენარჩუნებაც დაიმსახურა. წინ უაღრესად საინტერესო და დაძაბული ბოლო ტური გველის, სადაც ინგლისს სლოვენიასთან და ალჟირს აშშ-სთან უცილობელი გამარჯვებები სჭირდებათ.

**საუკეთესო მოთამაშე**

ნადირ ბელჰაჯი (ალჟირი)

**ალჟირმა ამ წარმატებას, უპირველეს ყოვლისა, კარგი კოლექტიური მოქმედებით მიაღწია, მაგრამ ბელჰაჯის თამაში მაინც უნდა გამოვყოთ. ალჟირელთა მარცხენა მცველმა თავისი უშუალო ფუნქციებიც რიგიანად შეასრულა, ამასთანავე, შეტევებშიც რიგიანად ერთვებოდა და გლენ ჯონსონს სისხლს უშრობდა.**

**მატჩის შემდეგ**

ფაბიო კაპელო (ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„არ მინდა, რომელიმე ფეხბურთელზე კონკრეტულად ვილაპარაკო. როცა თამაში არ გამოგვდის, ამაში მთელი გუნდია დამნაშავე. სლოვენიასთან მატჩისთვის გუნდის განწყობა არ გამიჭირდება. ყველამ შესანიშნავად იცის, რაც უნდა გააკეთოს. ვიმედოვნებ, სლოვენიასთან შეხვედრა ჩვენთვის უფრო წარმატებული აღმოჩნდება. ჩემი ფეხბურთელებისა ძველებურად მჯერა".**

რაბაჰ საადანი (ალჟირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„არ ვიცი, რა დაემართა დღეს ინგლისის ნაკრებს, ამ გუნდისგან გაცილებით მეტს ველოდი. მოგება ჩვენც შეგვეძლო და მეტოქესაც. ვწუხვარ, რომ გოლის გატანა ვერ შევძელით".**

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ამერიკული გმირობა

18 ივნისი. იოჰანესბურგი. ელის პარკი. 45 573 მაყურებელი

**სლოვენია–აშშ 2:2**

**სლოვენია (4-4-2):** ს. ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, შულერი, ცესარი, იოკიჩი - კირმი, რადოსავლიევიჩი, კორენი, ბირსა (87. დედიჩი) - ნოვაკოვიჩი, ლუბიანკიჩი (73. პეჩნიკი, 90. კომაცი).

**აშშ (4-4-2):** ჰოვარდი - ჩერუნდოლო, დემერიტი, ონიევუ (80. ე. გომესი), ბოკანეგრა - დონოვანი, ხ. ტორესი (46. ფილჰაბერი), ბრედლი, დემპსი - ალტიდორი, ფინდლი (46. ედუ).

**გოლები:** 1:0 ბირსა (13), 2:0 ლუბიანკიჩი (42), 2:1 დონოვანი (48), 2:2 ბრედლი (82)

**მატჩი დაიწყო:** აშშ; **დარტყმა:** 7(4)-14(6); **ჯარიმა:** 15-18; **კუთხური:** 2-4, **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**გაფრთხილება:** ცესარი (35), ფინდლი (40), შულერი (69), კირმი (72), იოკიჩი (75).

**არბიტრი:** კომან კულიბალი (მალი)

**საინტერესო მომენტები**

13' - **ვალტერ ბირსამ** საჯარიმოს გარედან ცაციათი შორეული დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა - 1:0

14' - **ლენდონ დონოვანის** სახიფათო გამჭოლი გადაცემა **სამირ ჰანდანოვიჩმა** მოიგერია.

29' - ვალტერ ბირსას მიერ შესრულებულ სტანდარტულს **მილივოე ნოვაკოვიჩი** ვერ მიწვდა.

36' - **ხოსე ტორესის** დარტყმა ჰანდანოვიჩმა მოიგერია.

41' - ამერიკელთა მწვავე შეტევა: **მიშო ბრეჩკომ** წამით დაასწრო დონოვანს და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

42' - **ანდრაჟ კირმის** ჩინებული პასის შემდეგ **ზლატან ლუბიანკიჩი** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა და ზუსტი დარტყმით **ტიმ ჰოვარდს** შანსი არ დაუტოვა - 2:0

48' - დონოვანმა მარჯვენა ფლანგიდან, მეტად მახვილი კუთხიდან უძლიერესი დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა - 2:1

70' - დონოვანმა საჯარიმო სახიფათოდ შეასრულა, მაგრამ **ოგუჩი ონიევუ** ბურთს ვერ მისწვდა.

77' - **ჯოზი ალტიდორის** სახიფათო დარტყმა ჰანდანოვიჩმა მოიგერია.

82' - **მაიკლ ბრედლი** კარგად გაერკვა მეტოქის საჯარიმოში და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა - 2:2.

86' - სლოვენიელთა ნახევარზე დანიშნულ მორიგ სტანდარტულს **მორის ედუს** გოლი მოჰყვა, მაგრამ არბიტრმა... არ ჩათვალა.

89' - **ალექსანდრ რადოსავლიევიჩი** შორიდან ურტყამდა, მაგრამ ჰოვარდმა პოზიცია სწორად შეარჩია.

ამ მატჩის წინათქმას შემდეგი სათაური მოვუძებნეთ - „ნალდი გოლების მოლოდინი". შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში სლოვენიამაც და აშშ-მაც გოლები... მეტოქეთა მეკარეების შეცდომების შედეგად გაიტანეს. აი, გუშინ მართლაც ვიხილეთ „ნალდი" გოლები (თან - ოთხი), მაგრამ უკურიოზოდ ამ შეხვედრას მაინც არ ჩაუვლია. იმაზე არაფერს ვამბობთ, პირველი ტაიმის მიწურულს მალელმა არბიტრმა **კომან კულიბალიმ** ამერიკელი **რობი ფინდლი** რომ გააფრთხილა: ეს უკანასკნელი, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ გაიგებს, თუ რატომ მიიღო ყვითელი ბარათი.

თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მოხდა: აშშ-ის ნაკრებმა მართლაც შეუძლებელი შეძლო და ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის შემდეგ მეტოქის კარში მესამე გოლიც გაიტანა! ეგ იყო, რომ „გლაზგო რეინჯერსის" შემტევის **მორის ედუს** ზეიმი ნაადრევი გამოდგა - არბიტრმა გოლი არ ჩათვალა! არადა, ედუ „თამაშგარე მდგომარეობაში" ნამდვილად არ იმყოფებოდა, არც მისი პარტნიორები არღვევდნენ მეტოქის საჯარიმოში წესრიგს, - უფრო პირიქით იყო, რამეთუ სლოვენიელი მცველები ზედმეტად მჭიდროდ მეურვეობდნენ ამერიკელ შემტევებს და ყველაფერი ეს გამეორებაზეც ნათლად ჩანდა. თუმცა, არბიტრის გადაწყვეტილება, მოგეხსენებათ, კანონია და მეტად საინტერესო და უხვგოლიანი შეხვედრა საბოლოოდ საყაიმო ანგარიშით დამთავრდა.

ეს შედეგი ორივე გუნდს მერვედფინალში გასვლის შანსებს უტოვებს. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ სლოვენიას ორი ტურის მერე ოთხი ქულა აქვს, ხოლო აშშ-ს - ორი, **ბობ ბრედლის** გუნდს უფრო მეტი შანსი აქვს - ბოლო მატჩში ხომ ალჟირს ეთამაშებიან; მაშინ როცა **მატიაჟ კეკის** მართლაც არცთუ ურიგო გუნდი ჯგუფის ფავორიტს ინგლისს უნდა შეხვდეს. ისე, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ დამარცხებას ამ შეხვედრაში არც ერთი გუნდი არ იმსახურებდა: სლოვენიამ მართლაც შთამბეჭდავი პირველი ტაიმი შემოგვთავაზა და ბევრისთვის მოულოდნელად, ორბურთიანი უპირატესობითაც დაწინაურდა. თუმცა, შესვენების შემდეგ, ამ წყვილში ფავორიტად მიჩნეულმა აშშ-ის ნაკრებმა ჯერ სწრაფი გოლის გატანა მოახერხა, შემდეგ ანგარიშიც გაათანაბრა, ბოლოს კი მესამეც გაიტანა, მაგრამ...

...ბევრი ნამდვილად არ მოელოდა, თუ ასეთ სანახაობრივ თამაშს მიანიჭებდა უპირატესობას ორივე გუნდი; ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ფავორიტად აშშ-ის ნაკრები მიიჩნეოდა, მაგრამ სლოვენიელებმა საკმაოდ ჭკვიანური ტაქტიკა აირჩიეს და მწვავე კონტრშეტევებით პირველ ტაიმში ლამის თამაშის ბედიც გადაწყვიტეს. რაც მთავარია, სლოვენიელები საკმაოდ სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და შეხვედრის დასაწყისში სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ ფრანგულ „ოსერში" მოასპარეზე **ვალტერ ბირსამ** შორეული, ეფექტური დარტყმით **ტიმ ჰოვარდს** შანსი არ დაუტოვა (სხვათა შორის, ამ მუნდიალის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოლი იყო).

სლოვენიელებს თავიანთთვის სასურველი ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი სულაც არ დაუწყიათ და კვლავაც სწრაფ ტემპში აგრძელებდნენ თამაშს. ერთ-ერთი ასეთი მწვავე კონტრშეტევა კი ტაიმის მიწურულს შედეგიანი აღმოჩნდა: ამ შემთხვევაშიც სლოვენიელთა კომბინაციური თამაშია გამოსარჩევი, რის შემდეგაც **ზლატან ლუბიანკიჩი** დასარტყამ პოზიციაზე აღმოჩნდა და მეორე გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ წინა მატჩთან შედარებით, სლოვენიელთა თავკაცმა მატიაჟ კეკმა ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება მოახდინა: **ზლატკო დედიჩის** ნაცვლად თავდასხმის ლიდერს **მილივოე ნოვაკოვიჩს** სწორედ ზლატან ლუბიანკიჩი შეუწყვილა...

აი, რაც შეეხება აშშ-ის ნაკრებს, პირველ ტაიმში რამდენჯერმე კი შეუტიეს, მაგრამ **ლენდონ დონოვანის** აქტიურობას შედეგი არ მოჰყოლია. ერთადერთი რეალური მომენტი ტაიმის ბოლოს იყო, მაგრამ სლოვენიელთა მცველმა **მიშო ბრეჩკომ** სულ ბოლო მომენტში დაასწრო მეტოქის ფორვარდს და უაღრესად სახიფათო სიტუაცია განმუხტა.




ლენდონ დონოვანის გოლი

შესვენების შემდეგ აშშ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბობ ბრედლიმ მოედანზე ორი ახალი ფეხბურთელი შემოიყვანა და, რაც მთავარია, სწრაფი გოლიც ვნახეთ. მატჩის უდავოდ, საუკეთესო ფეხბურთელმა ლენდონ დონოვანმა შესძლო და სლოვენიის ნაკრების მართლაც ჩინებულ მეკარეს **სამირ ჰანდანოვიჩს** ძალიან მახვილი კუთხიდან ეფექტური გოლი გაუტანა. ამის მერე... ტემპი ოდნავ დაეცა, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და სახიფათო მომენტებიც მრავლად ვნახეთ. აშშ-ის ნაკრები ბევრად უფრო აქტიურად გამოიყურებოდა და ლოგიკურიც იყო მთავარი მწვრთნელის ვაჟმა, **მაიკლ ბრედლიმ** ანგარიში რომ გაათანაბრა. მერე კი ის ეპიზოდი იყო, ზემოთ რომ ვისაუბრეთ - მორის ედუს არჩათვლილი გოლი და მსაჯის ამ უცნაური გადაწყვეტილების გამო, მატჩის შემდეგ გაოცებულ-განრისხებული ამერიკელები...

**საუკეთესო მოთამაშე**

ლენდონ დონოვანი

**აშშ-ის ნაკრებმა ამ მუნდიალზე მეორე მატჩი ჩაატარა და ისე როგორც პირველი შეხვედრის შემდეგ, ამ შემთხვევაშიც საუკეთესოდ ლენდონ დონოვანი მივიჩნიეთ! უცნაურია, მაგრამ ფაქტია - 28 წლის ფეხბურთელმა, გუშინ აშშ-ის ნაკრების მაისურით... 125-ე მატჩი ჩაატარა! თანაც, ისე როგორც ინგლისელებთან შეხვედრაში, დონოვანი გუშინაც თავისი გუნდის უპირობო ლიდერი გახლდათ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მეორე ტაიმის დასაწყისში მისმა სწრაფმა გოლმა აშშ-ის ნაკრებს თამაშის გადარჩენის შანსი შეუნარჩუნა.**

**მატჩის შემდეგ**

ბობ ბრედლი (აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ჩემი გუნდი ჯერ კიდევ სწავლობს, 90 წუთის განმავლობაში სრული კონცენტრაციით ითამაშოს. აქედან გამომდინარე, სულაც არ გამკვირვებია, ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა რომ შევძელით. თუმცა, ახლაც ვერაფრით გამიგია, თუ რა მიზეზით არ ჩაგვითვალეს მესამე გოლი. ალბათ, არც არავინ იცის"...**

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| აშშ | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| ინგლისი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| ალჟირი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

**ბოლო ტური**

**23 ივნისი**

| | |
|---|---|
| სლოვენია-ინგლისი | 18:00 |
| აშშ-ალჟირი | 18:00 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## D ჯგუფი

# პოდოლსკიმ და კლოზემ გერმანია დაამარცხეს!

### ბუნდესგუნდმა მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე 1986 წლის შემდეგ პირველად წააგო



გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ბოლო მატჩი 1986 წელს ჰქონდა წაგებული (0:2 დანიასთან) და 24 წლის შემდეგ, ბუნდესგუნდმა ჯგუფში წაგების „გემო გაიხსენა". არადა, პირველი თამაში იმდენად კარგად ჩაატარეს (4:0 ავსტრალიასთან), რომ **იოახიმ ლიოვის** ბიჭებისგან მთლად დიდი ანგარიშით ან საერთოდ მოგებას თუ არა, მინიმუმ ისეთივე თვალსასეირო ფეხბურთს ველოდით. თუმცა მატჩის წინ განასთან შერცხვენილი სერბებიც იქადნებოდნენ - მათი თავკაცი **რადომირ ანტიჩი** ამბობდა, გერმანიასთან სულ სხვა სერბეთს იხილავთო. პირდაპირ ვთქვათ: სულ „სხვა სერბეთი" ვერ ვნახეთ, მაგრამ ვნახეთ გუნდი, რომელიც გაცილებით კონცენტრირებული იყო, ვიდრე მუნდიალის პირველ შეხვედრაში და ისიც, რომ სერბების კონცენტრირებულობა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბუნდესგუნდი დამარცხებულიყო.

ანტიჩის გუნდს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია და თუ გერმანელებმა ეს წაგება ვინმეს უნდა დააბრალონ, მხოლოდ საკუთარ თავს ან კერძოდ **მიროსლავ კლოზეს**, რომელმაც აბსოლუტურად უსარგებლო სიტუაციაში „თავი გაიგდო". მსაჯს მიროსთვის მეორე ყვითელი ბარათი რომ არ აეფრიალებინა, ამისათვის არავინ გაკიცხავდა, მაგრამ რომ აუფრიალა, არც ამ შემთხვევაში უნდა ვლანძღოთ, რადგან კლოზე ცუდად მოიქცა, როცა თითქმის უწყინარ ვითარებაში, მოედნის ცენტრში **დეიან სტანკოვიჩს** უკნიდან ეუხეშა. კლოზეს უნდა გაეთვალისწინებინა ის, რომ ერთი გაფრთხილება უკვე ჰქონდა და ისიც, რომ ამ მუნდიალზე მსაჯები უკნიდან უხეშობების დროს განსაკუთრებით მკაცრები არიან. ანტიჩის გუნდისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, იმის თქმაც შეიძლება, რომ ეს თამაში უფრო გერმანიამ წააგო, ვიდრე სერბეთმა მოიგო...

იოახიმ ლიოვმა მატჩის წინ კი თქვა, ცვლილებებს უნდა მივმართოო, მაგრამ არც ტაქტიკა შეცვალა და არც ძირითადი შემადგენლობა. სერბებმა კი განსხვავებული სქემით, 4-4-2-ის ნაცვლად, 4-4-1-1-ით ითამაშეს. თანაც, ანტიჩმა ძირითად შემადგენლობაში **პანტელიჩის** ნაცვლად უფრო მოძრავი ფორვარდი **ნინკოვიჩი** გაამწესა, **მილიაში** კი სკამზე დასვა და სერბეთის ნაკრების ნახევარდაცვის ცენტრში სტანკოვიჩ-**კუზმანოვიჩის** ტანდემი ვიხილეთ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სერბეთს არ უფრენია და განსაკუთრებული არაფერი შემოუთავაზებია, მაგრამ ანტიჩმა ერთი ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რითაც ალბათ ბევრისთვის შეუმჩნევლად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სერბეთის ნაკრების შემტევი პოტენციალი და გერმანიას მოედნის ცენტრიც მოუგო: მან ნახევარდაცვის ცენტრში სამი ფეხბურთელი გაამწესა. სტანკოვიჩი ძალიან კარგად ზრუნავდა გერმანელთა გამთამაშებელ **მესუთ იოზილზე**, კუზმანოვიჩი იგივეს უკეთებდა **ბასტიან შვაინშტაიგერს**, ხოლო მათ წინ მდგარი ნინკოვიჩი კი შეტევებზე იყო ორიენტირებული და მას ამაში ხედირა ხელს მაინცდამაინც კარგად ვერ უშლიდა.

კაცნაკლულმა გერმანელებმა მეტოქეზე ზეწოლის განხორციელება მხოლოდ მეორე ტაიმის პირველ ნახევარში შეძლეს, როცა ლიოვმა ბიჭებს ფლანგებიდან შეტევებისკენ მოუწოდა - სერბეთის ფლანგის მცველები მძიმე წნეხის ქვეშ მოექცნენ. გერმანელთა პრობლემა საგოლე შანსების ვერგამოყენებაც იყო - ეს ყველაზე მეტად პოდოლსკის ეხება, რომელმაც არა მარტო პენალტი გააფუჭა (თერთმეტმეტრიანი ძალიან უმარილოდ დაარტყა), არამედ რამდენიმე რეალური მომენტიც ვერ გამოიყენა.

მატჩის მიწურულს ლიოვი ვა-ბანკზე წავიდა და მიუხედავად კაცნაკლულობისა, მოედანზე **გომესი-კაკაუს** წყვილი შეუშვა, მაგრამ უშედეგოდ. სერბები კი უკვე თავის სტიქიაში იყვნენ და ბუნდესგუნდს კონტრიერიშებზე კბენდნენ. მოკლედ, გერმანელებს უნდა უხაროდეთ, მატჩის მიწურულს სხვაობა რომ არ გაიზარდა - ანტიჩის ბიჭებმა **მანუელ ნოიერის** კარის ძელი ბოლოს ორჯერ შეაზანზარეს.

### საუკეთესო ფეხბურთელი

მილოშ კრასიჩი

**მილოშ კრასიჩმა რამდენადაც ცუდად ითამაშა განასთან, იმდენად კარგი იყო გერმანიასთან. მისმა მარცხენაფლანგელმა კოლეგამ, იოვანოვიჩმა გოლი კი გაიტანა, მაგრამ მეტი, ფაქტობრივად, არც არაფერი გაუკეთებია, კრასიჩმა კი არაერთხელ ააწიოკა გერმანიის ნაკრების მარცხენა მცველი ჰოლგერ ბადშტუბერი, რომელსაც ლიოვი, ასეთი კატასტროფული თამაშის შემდეგ, სავარაუდოდ, ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდებს.**

### მატჩის შემდეგ

იოახიმ ლიოვი (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): **„დღეს ყველა და ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგ იყო. ჯერ კლოზე გაგვიძევეს, მერე ეგრევე გოლი მივიღეთ, მეორე ტაიმში კი რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი, მათ შორის თერთმეტმეტრიანიც ვერ გამოვიყენეთ. ამასთან, სამწუხაროდ, ველარ ვითამაშეთ ისეთი ფეხბურთი, როგორითაც ჩვენი ქომაგები ავსტრალიასთან მატჩში გავახარეთ. მეორე ტაიმით მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ბოლომდე ვიბრძოლეთ".**

მიროსლავ კლოზე (გერმანიის ნაკრები): **„სტანკოვიჩისთვის მხოლოდ ბურთის ართმევა მინდოდა და ფეხი ფეხში მომიხვდა. ვფიქრობ, მსაჯს სიტყვიერი გაფრთხილება უნდა ეკმარა."**

რადომირ ანტიჩი (სერბეთის ნაკრების მწვრთნელი): **„პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ, მეორე ნახევარში კი ანგარიშის შენარჩუნებაზე ვზრუნავდით და დაცვითი ფეხბურთი ვითამაშეთ. უმნიშვნელოვანესი თამაში მოვიგეთ და მიხარია, რომ მერვედფინალში გასვლის შანსი შევინარჩუნეთ."**

გოტფრიდ ლენცი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-1 | 3 |
| განა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| სერბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

18 ივნისი. პორტ ელიზაბეტი. ნელსონ მანდელა. 42 000 მაყურებელი

### გერმანია-სერბეთი 0:1

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ფრიდრიხი, ბადშტუბერი (77. გომესი) - შვაინშტაიგერი, ხედირა - მიულერი (70. მარინი), იოზილი (70 კაკაუ), პოდოლსკი - კლოზე.

**სერბეთი (4-2-2-1-1):** სტოიკოვიჩი - ივანოვიჩი, ვიდიჩი, სუბოტიჩი, კოლაროვი - სტანკოვიჩი, კუზმანოვიჩი (75. პეტროვიჩი) - კრასიჩი, იოვანოვიჩი (79. ლაზოვიჩი) - ნინკოვიჩი (70. კაჩარი) - ჟიგიჩი.

*მე-60 წუთზე პოდოლსკიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გოლი: 0:1 იოვანოვიჩი (38)

**გაფრთხილება:** კლოზე (13), ივანოვიჩი (18), კოლაროვი (19), ხედირა (22), ლამი (33), კლოზე (37), სუბოტიჩი (57), ვიდიჩი (60), შვაინშტაიგერი (73)

**გაძევება:** კლოზე (37)

**მატჩი დაიწყო:** გერმანია; **დარტყმა:** 16(2)-10(1); **ჯარიმა:** 19-10; **კუთხური:** 7-1; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**არბიტრი:** ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

### საინტერესო მომენტები

6' - გერმანიის ნაკრების შეტევა მარჯვენა ფლანგიდან: **მიულერმა** საჯარიმოში ჩააწოდა, **ვიდიჩმა** ბურთი გამოიტანა, მაგრამ პირდაპირ **პოდოლსკის** მიმართულებით, რომლის დარტყმა სტოიკოვიჩის კარს მცირე მანძილით ასცდა.

37' - გერმანიის ნაკრები კაცნაკლული რჩება! **კლოზემ** მოედნის ცენტრში უდროო დროს გამოიდო თავი და **სტანკოვიჩს** უკნიდან ფეხი გამოსდო, რის გამოც, ესპანელმა არბიტრმა **ალბერტო უნდიანო მალენკომ** მას მეორე გაფრთხილება მისცა და შესაბამისად, წითელი ბარათი აუფრიალა. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, გერმანელი ფეხბურთელი მოედნიდან მეშვიდედ გააძევეს.

38' - კლოზეს გაძევებიდან ერთი წუთის შემდეგ, სერბებმა ანგარიში გახსნეს: მარჯვენა ფრთაზე **კრასიჩმა ბადშტუბერს** აჯობა და შორეულ ძელთან მდგარი **ჟიგიჩი** მოძებნა, რომელმაც ბურთი თავით კარის ხაზის გასწვრივ **იოვანოვიჩს** დაუგდო, **მერტეზაკერმა, ლამმა** და მეკარე **ნოიერმა** რეაქცია დააგვიანეს, იოვანოვიჩმა კი ანგარიში გახსნა - 0:1.

45' - გერმანიის ნაკრებს ანგარიშის გათანაბრებამდე ძალიან ცოტა დააკლდა. **იოზილის** ჩაწოდების შემდეგ, **სტოიკოვიჩმა** ბურთი მუშტებით პირდაპირ **ხედირასკენ** მოიგერია, რომლის უძლიერესმა დარტყმამ სერბების კარის ძელი შეაზანზარა. ძელიდან ასხლეტილი ბურთი მიულერს მიუვიდა, რომლის მაკრატელა უკვე მცველებმა გამოიტანეს.

57' - იოზილის საოცნებო პასი პოდოლსკის მისამართით, ამ უკანასკნელის დარტყმა კი არაზუსტია.

59' - ისევ იოზილი, ისევ პოდოლსკი და ლუკასის მორიგი არაზუსტი დარტყმა.

60' - სერბეთის ნაკრების კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რომელიც პოდოლსკიმ ვერ გამოიყენა - ლუკასის დარტყმა სტოიკოვიჩმა მოიგერია. პენალტი კი იმის გამო დაინიშნა, რომ ვიდიჩმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა.

66' - კრასიჩმა კიდევ ერთხელ გააბითურა ბადშტუბერი და იოვანოვიჩს უპასა, რომელმაც ბურთი ძელს მოარტყა.

74' - კრასიჩი ამჯერად უკვე უკანასკნელად არცხვენს ბადშტუბერს, მის ჩაწოდებას ჟიგიჩი ეხმაურება, თავური დარტყმა და გერმანია მეორე გაშვებული გოლისგან ძელმა იხსნა!

## E ჯგუფი

# ჰოლანდია ცვლილებებს ითხოვს

19 ივნისი. დურბანი. დურბან სთედიუმი. 15:30

### ჰოლანდია-იაპონია

სავარაუდო შემადგენლობები

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი - ვან ბომელი, დე იონგი, სნეიდერი - კუიტი, ვან დერ ვაარტი, ვან პერსი.

**იაპონია:** კავაშიმა - კონო, ნაკაზავა, ტულიო, ნაგატომო - ოკუბო, ენდო, აბე, ჰასებე - ჰონდა, ოკაზაკი.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

მიუხედავად იმისა, რომ პირველ შეხვედრაში **ბერტ ვან მარვიიკის** შეგირდებმა სამი ქულა აიღეს, ჰოლანდიაში ბევრი ძალიან უკმაყოფილო დარჩა. ნარინჯისფრებმა ვერ აჩვენეს ისეთი ფეერული თამაში, როგორიც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის გახსნის პაექრობაში და როგორც ჩანს, მიზეზიც ესაა. თუ რით დასრულდა ის ევროფორუმი ჰოლანდიელთათვის, ყველას კარგად გემახსოვრებათ, მაგრამ როგორც ჩანს, ტიტების ქვეყანაში მაინც ის ნაკრები ერჩივნათ.

კრიტიკის მთავარი ობიექტი შეტევის ხაზი გახლავთ - ჟურნალისტთა დიდი ნაწილი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ძირითადში ითამაშონ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა: **ელიამ** და **აფელაიმ**. ასეთ შემთხვევაში, **ვან დერ ვაარტს** მოუწევს სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა, ანაც **დირკ კუიტს**. მათი პოზიციები ისედაც არ არის მყარი, რადგან **არიენ რობენი** ადგას გამოჯანმრთელების გზას. წინასწარი პროგნოზით, „ბაიერნის" შემტევი იაპონიასთან სათადარიგოთა სკამზე იჯდება და შესაძლოა, მეორე ტაიმში ჩაერთოს თამაშში. რაც შეეხება ცენტრფორვარდის პოზიციას, **რობინ ვან პერსი** თითქოს უკონკურენციო იყო, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პირველი შეხვედრა ჩააგდო, გამორიცხული არაა, ძირითადში **კლას-იან ჰუნტელაარი** ვიხილოთ. თუმცა, წინასწარი პროგნოზით, სასტარტო თერთმეტეულში მაინც ვან პერსი მოიაზრება.

ბერტ ვან მარვიიკი ტაქტიკური სქემის შეცვლას არ აპირებს. ის კვლავ გარემარბებით შეუტევს და ასე შეეცდება მეტოქის დაცვითი რუბიკონების გარღვევას. სხვადასხვა სპორტული გამოცემა სხვადასხვაგვარ სავარაუდო შემადგენლობას აქვეყნებს. ნაწილი მიიჩნევს, რომ შეტევის ხაზი გამოიცვლება და ძირითადში ვიხილავთ როგორც კლაას იან ჰუნტელაარს, ისე აფელაის. თუმცა, უმეტესობა მაინც იმ შემადგენლობაზე აკეთებს აქცენტს, რომელიც დანიას შეერკინა. მიკროტრავმა აქვს **ვესლი სნეიდერს** და ჰოლანდიაში შიშობენ, რომ შესაძლოა, მატჩის გამოტოვებამ მოუწიოს. თუმცა, უკანასკნელი ინფორმაციით, „ინტერის" ნახევარმცველი ჯანზეა და იაპონელებს პირველივე წუთიდან შეერკინება. კვლავაც სასტარტოში მოიაზრება ვან დერ ვაარტი და ვნახოთ, ამჯერად მაინც თუ გაამართლებს გაცემულ ავანსებს. ჰოლანდიელთა თავკაცი ჯერჯერობით ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლება და როგორც ჩანს, შეხვედრის დაწყებამდე კარტებს არც გახსნის. აი, რას ამბობს ის თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბარში:

*„ჯერჯერობით, მე თვითონ არ ვარ ჩამოყალიბებული თუ როგორი შემადგენლობა უნდა დავაყენო და შესაბამისად, თქვენც ვერაფერს გეტყვით. რევოლუციურ ცვლილებებს ნამდვილად არ ვგეგმავ, თუმცა ორი-სამი ფეხბურთელი შეიძლება გამოვცვალო. არა იმიტომ, რომ ვინმეთი უკმაყოფილო ვარ, უბრალოდ, მსურს, ჯგუფურ ეტაპზე რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი ვნახო საქმეში. ამასთან, თითოეულ პაექრობას მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა მოვეკიდოთ და როდესაც როტაციაზე ვსაუბრობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს ზემოდან ვუყურებ. კარგად ვიცი, რომ იაპონელებთან მეტად რთული პაექრობის გადატანა მოგვიწევს".*

დიდი სამზადისია იაპონელთა ბანაკშიც. მიუხედავად იმისა, რომ აზიელებმა პირველ შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს, მთავარი მწვრთნელი **ტაკეში ოკადა** ტაქტიკის შეცვლას აპირებს - ყოველ შემთხვევაში, ფიფას ოფიციალური ვებგვერდი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს. თუ იაპონელებმა კამერუნთან ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშეს, ამჯერად, ორი თავდამსხმელით შეეცდებიან მეტოქის კარის აღებას. ერთი რომ **კეისუკე ჰონდა** იქნება, ამაში ორი აზრი არ არსებობს, მეორე კი ალბათ **შინჯი ოკაზაკი**. კვლავ ტრავმირებულია იაპონელთა პირველი მეკარე **სეიგო ნარაზაკი**, კარს კი კვლავ **კავაშიმა** დაიცავს. აზიელთა ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი **შუნსუკე ნაკამურა** ჯერაც დაშავებულია და გამაყუჩებელთა დახმარებით, მეორე ტაიმში თუ ჩაერთვება თამაშში. დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

**ლაშა წიკლაური**



ვესლი სნეიდერი

E ჯგუფი



ნიკლას ბენდტნერი (მარცხნივ) და სამუელ ეტოო

# როცა დასაკარგი არაფერი გაქვს...

19 ივნისი. პრეტორია. ლოფტუს ვერსფელდი. 22:30

**კამერუნი–დანია**

სავარაუდო შემადგენლობები

**კამერუნი:** სულეიმანუ - ბასონგი, მბია, ნკულუ, ასუ-ეკოტო - სონგი, მაკუნი, ენო - ემანა, ეტოო, ვებო.

**დანია:** სორენსენი - ს. პოულსენი, კიაერი, აგერი, ლ. იაკობსენი - რომედალი, კალენბერგი, კ. პოულსენი, მ. იორგენსენი - ტომასონი, ბენდტნერი.

**არბიტრი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

ორივე გუნდი მოგებაზე ითამაშებს, რადგან არც დანიას და არც კამერუნს დასაკარგი არაფერი აქვთ. თანაც, მეორე ტურში გაცილებით უფრო საინტერესო თამაშები წამოვიდა, აშკარად გაიხსნენ გუნდები და უფრო მეტად დაიწყეს ზრუნვა გოლის გატანაზე. მიუხედავად იმისა, რომ გრანდებს არც ერთი გუნდი არ მიეკუთვნება, მიზნები მაღალი აქვთ დასახული. დანია ტრადიციულად ამბიციურია, კამერუნი და ზოგადად აფრიკული გუნდები კი ამ ჩემპიონატზე გაორმაგებული მოტივაციით თამაშობენ.

**მორტენ ოლსენი,** სავარაუდოდ, ტაქტიკურ მოდელს შეცვლის და უფრო შემტევ სტრატეგიას აირჩევს. ყველასათვის მოულოდნელად, ჰოლანდიელების წინააღმდეგ არა 4-4-2, არამედ 4-5-1 აირჩია და ამით ვერც ვერაფერი მოიგო. შეიძლება თამამად ითქვას, რომ პირველ ტურში დანია ერთ-ერთი ყველაზე დაცვაზე ორიენტირებული გუნდი იყო. შესაძლოა, ამ მხრივ ჩრდილოეთ კორეას ვერ გაუწია კონკურენცია, მაგრამ დანარჩენებს ნამდვილად აჯობა. ჟურნალისტთა ვარაუდით, ოლსენი ამჯერად ყველა შემთხვევაში ორი ფორვარდით შეუტევს, რადგან ქულები აუცილებლად სჭირდება და თანაც კამერუნი ჰოლანდია არ არის. აი, რას ამბობს წინასამატჩოდ სკანდინაველთა თავკაცი:

*„მიუხედავად იმისა, რომ პირველ შეხვედრაში დავმარცხდით, ყველაფერი ჩვენს ხელშია. კამერუნის ნაკრები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ და ამის ძალა ნამდვილად შეგვწევს. ჰოლანდიელებთან მატჩი სულ დეტალებში განვიხილეთ და კარგად ვიცით, სად რა შეცდომა დავუშვით. ხარვეზების აღმოფხვრაზე ვიმუშავეთ და ვფიქრობ, გაცილებით უკეთეს თამაშს ვაჩვენებთ. ტაქტიკა? - უფრო შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ, ვიდრე ჰოლანდიასთან, ეს შემიძლია დავადასტურო“.*

პირველ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია **იონ დალ ტომასონს** და ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ მას ამჯერად მაინც ანდობენ ადგილს ძირითად შემადგენლობაში. ასეთ შემთხვევაში, ტომასონი **ნიკლას ბენდტნერს** შეუწყვილდება, რომელიც სრულ მზადყოფნაშია. პირველი ტურის წინ დანიელებმა შეცდომაში შეიყვანეს მეტოქე და განაცხადეს, „არსენალის“ ფორვარდი ვერ იასპარეზებსო. ამით, ჰოლანდიელებს ბევრი ვერაფერი დააკლეს, ერთი კი გაცხადდა, რომ სკანდინაველთა ნდობა ამ საკითხში არ შეიძლება.

სამი ქულის აღებას გეგმავენ **პოლ ლე გენი** და მისი კამერუნი. აფრიკელებმა ვერც მუნდიალისწინა სპარინგებში გამოიჩინეს თავი და ვერც მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ თამაშში. კამერუნი მთების გადამბრუნებელი გუნდი არ ჩანს და ეს უკვე ცხადია, მაგრამ ერთი მატჩის ჩატარებამ წესით, უნდა შეეძლოს. მით უმეტეს, **სამუელ ეტოოა** მწყობრში და ნებისმიერ წუთს შეუძლია თამაში თავის თავზე აიღოს. ამის იმედი აქვს ლე გენსაც:

*„იაპონელებთან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ და ფეხბურთელებმა ეს მძიმედ გადაიტანეს. თუმცა, მთავარია, რომ გადაიტანეს და უკვე მომდევნო შეხვედრაზე ვართ კონცენტრირებულნი. დარჩენილ პაექრობებში წარმატების მიღწევა შეგვიძლია და ეს კარგად გვაქვს გათავისებული. ეტოო ნამდვილად გუნდის ლიდერია, გაამხნევა ყველა და დაარწმუნა იმაში, რომ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. ასეთ სიტუაციაში გუნდის ფსიქოლოგიურ მგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ცვლილებები? - ტაქტიკა ისეთივე შემტევი იქნება, როგორიც იაპონიასთან იყო. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, მეტოქეს ჩვენი თამაში უნდა მოვახვიოთ თავს. რაც შეეხება შემადგენლობას, ამაზე კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. დაველოდოთ შეხვედრას და ყველაფერს საკუთარი თვალით იხილავთ“.*

სიახლე თიაქრის მკურნალობაში




საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
**კონსულტაცია უფასოა**
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის“ საავადმყოფო

F ჯგუფი

# იტალია ახალი შეტევით

20 ივნისი. ნელსპრუიტი. მბომბელა. 18:00

**იტალია–ახ. ზელანდია**

სავარაუდო შემადგენლობები

**იტალია:** მარკეტი - ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო - დე როსი, მონტოლივო, პეპე, კამორანეზი - დი ნატალე, პაცინი.

**ახ. ზელანდია:** პასტონი - რეიდი, ნელსენი, სმიტი, სიგმუნდი - კილენი, ვისელიჩი, კრისტიე, ბერტოსი - სმელცი, ფალონი.

მსოფლიოს ჩემპიონები ჯგუფური ეტაპის მეორე შეხვედრისთვის ემზადებიან. იტალიის ნაკრების მეტოქე ახალი ზელანდიაა და ბუნებრივია, რომ ამ პაექრობაში ფავორიტი **მარჩელო ლიპის** გუნდია. თუმცა, „აძურასგან“ ყველაფერია მოსალოდნელი და ასე ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ იტალია მეტოქეს გადაურბენს. არა იმიტომ, რომ ზელანდიაა ძალიან ძლიერი, უბრალოდ, იტალიას სჩვევია თავადვე გაირთულოს ცხოვრება და ანერვიულოს გულშემატკივრები.

ლიპიმ გუნდის ბოლო ვარჯიში მთელი ოცი წუთით გახსნა და ჟურნალისტებს გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება მისცა. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, მაესტრო ტაქტიკის შეცვლას აპირებს და 4-3-2-1-დან 4-4-2-ზე გადადის. ეს ის სქემაა, რომელზეც „აძურა“ პარაგვაისთან მატჩის მსვლელობისას გადაეწყო და ანგარიშიც გაათანაბრა. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ლიპი სწორედ ამ ტაქტიკაზე აპირებს დაყრდნობას. ბუნებრივია, თუ სქემა შეიცვლება, შემადგენლობაშიც მოსალოდნელია კორექტივები. თუმცა, თუ „გაძეტას“ დავუჯერებთ, კორექტივები კი არა, სერიოზული ცვლილებები იგეგმება.

პირველ რიგში, დაცვის ხაზზე ვთქვათ, სადაც არის ვარაუდი, რომ ძირითად შემადგენლობაში **კრისტიან მაჯო** იასპარეზებს. თუმცა, ასე მხოლოდ ჟურნალისტთა ნაწილი ფიქრობს. უმეტესობა მაინც იმ აზრზეა, რომ მარჯვენა ფრთას კვლავინდებურად **ჯანლუკა ძამბროტა** დაიკავებს, მარცხენას **დომენიკო კრიშიტო**, ცენტრში კი რა თქმა უნდა **ფაბიო კანავარო** და **ჯორჯო კიელინი** იმოქმედებენ. ყველაზე დიდი ჯაფა, წესით, მათ უნდა დაადგეთ, რადგან ზელანდიელებს ტანმაღალი ფორვარდები ჰყავთ და მეორე სართულზე ძალიან კარგად თამაშობენ.




ნახევარდაცვაში, სავარაუდოდ, ოთხი ფეხბურთელი გაირჯება: მარჯვნივ **მაურო კამორანეზი**, ცენტრში **რიკარდო მონტოლივო** და **დანიელე დე როსი**, ხოლო მარცხნივ **სიმონე პეპე**. ძირითადში ვერ ვხედავთ **კლაუდიო მარკიზიოს**, რომელსაც, როგორც ჩანს, თადარიგში უპირებენ გამწესებას. ასე ვარაუდობენ ავტორიტეტული გამოცემის ჟურნალისტები და არ გვაქვს საფუძველი, რომ არ დავიჯეროთ. ჯანზეა **ანდრეა პირლო**, თუმცა მისი სასტარტოში დაყენებისგან ლიპი ალბათ მაინც თავს შეიკავებს. თუ საჭირო გახდა, „მილანისტა“ ალბათ მეორე ნახევარში ჩაერთვება თამაშში. ყველაზე საინტერესო კი თავდასხმაა - როგორც ჩანს, ლიპი უკმაყოფილო დარჩა შემტევთა თამაშით და ზელანდიელებთან ახალი ტანდემის გამოცდას აპირებს. წინასწარი პროგნოზით, წინა ხაზზე **ანტონიო დი ნატალე** და **ჯამპაოლო პაცინი** გაირჯებიან. ანუ, **ვინჩენცო იაკვინტა** და **ალბერტო ჯილარდინო** ამჯერად ოფსაიდში რჩებიან. ლიპი დუმს, სამაგიეროდ, დანიელე დე როსიმ გააკეთა კომენტარი, რომელიც იტალიის ნაკრების ლიდერად ყალიბდება:

*„მთავარია, კარგად შევაფასოთ მეტოქე და სათანადოდ განვეწყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დავისჯებით. მსოფლიოს ჩემპიონატზე სუსტი გუნდები არ ასპარეზობენ და ამაში უკვე არაერთხელ დავრწმუნდით. თუმცა, ჩვენი მიზანი გამარჯვებაა და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. რაც შეეხება სამუნდიალო გეგმებს, ჩემი აზრით, მინიმუმ ოთხეულში უნდა მოვხვდეთ - თუ ნახევარფინალში ვერ გავედით, ეს სრული ფიასკო იქნება. თუმცა, დროზე ადრე სამხრეთ აფრიკიდან წასვლას ნამდვილად არ ვაპირებთ“.*

რა შეიძლება ვთქვათ ახალ ზელანდიაზე? - ეგზოტიკური კუნძულის წარმომადგენელთა შანსები იტალიელთა თამაშზეა დამოკიდებული. თუ „აძურამ“ საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩინა, მაშინ პრაქტიკულად უშანსოდ იქნებიან და თუ „აძურამ“ ისევე მძიმედ ითამაშა, როგორც პარაგვაისთან, შესაძლოა რამეს გამოჰკრან კიდეც ხელი. დიახ, წარმოუდგენელი ამაში ნამდვილად არაფერია, რადგან როგორც უკვე არაერთხელ დადასტურდა, ფეხბურთის თამაში ყველამ, თითქმის ყველამ ისწავლა.

# პარაგვაი მოსაგებად ითამაშებს

20 ივნისი. ბლუმფონტეინი. ფრი სტეიტი. 15:30

**სლოვაკეთი–პარაგვაი**

სავარაუდო შემადგენლობები

**სლოვაკეთი:** მუჩა - პეკარიკი, შკრტელი, დურიცა, ჩეხი - ვეისი, შტრბა, შამშიკი, შტროხი - ვიტეკი, შეშტაკი.

**პარაგვაი:** ვილიარი - ბონეტი, ვერონი, და სილვა, მორელი - ვერა, სანტანა, რივეროსი, ა. ტორესი - ვალდესი, ბარიოსი.

ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე საუბრობდნენ, რომ ამ ჯგუფში გადამწყვეტი პაექრობა სწორედ სლოვაკეთსა და პარაგვაის ნაკრებებს შორის შედგებოდა. პათოსი გასაგებია, იტალია პირველი უნდა იყოს, ახალმა ზელანდიამ კი იმაზეც მადლობა უნდა თქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობს. შესაძლოა, ეს პროგნოზი გამართლდეს და აღნიშნული პაექრობა გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

გამომდინარე პირველ ტურში ნაჩვენები შედეგებიდან, ფრე პარაგვაელთა წისქვილზე დაასხამს წყალს. თავად განსაჯეთ, ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი ტურის წინ ორივე გუნდს ორი ქულა ექნება, მაგრამ სლოვაკებს იტალიასთან მოუწევთ დაპირისპირება, სამხრეთამერიკელები კი ახალ ზელანდიას შეეჭიდებიან. მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, პარაგვაელთა თავკაცი მხოლოდ სამ ქულაზე გეშავს შეგირდებს და ამაზე მისი სიტყვები ნათლად მეტყველებს. მოვუსმინოთ **ხერარდო მარტინოს:**

*„მხოლოდ მოგებაზე ვითამაშებთ, რათა ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის წინ, რაც შეიძლება დამშვიდებულნი ვიყოთ. მეტოქე ხისტად თამაშობს, უხეშობის ზღვარზე და ეს უნდა გავითვალისწინოთ. თუ იტალიასთან უფრო მეტად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ვფიქრობდით, ამჯერად გაცილებით უფრო აქტიურად უნდა შევუტიოთ“.*

მარტინო კვლავ ორი თავდამსხმელით ითამაშებს, ერთი **ვალდესი** იქნება, მეორე **ბარიოსი**. ორივე დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელია, შეთამაშების მხრივ არანაირი პრობლემა არ აქვთ და ამად არის, რომ **როკე სანტა კრუსს** სათადარიგოთა სკამზე უწევს ყოფნა.

სლოვაკებმა პირველ ტურში დასანანი ქულები დაკარგეს, რამაც შესაძლოა მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე დამთრგუნველად იმოქმედოს. ამაზე სლავთა მთავარმა მწვრთნელმაც ისაუბრა და დასძინა, ამის თავიდან ასაცილებლად აქტიური სამუშაო გავწიეო. ძირითადში მოიაზრება ყველა ის ფეხბურთელი, რომლისაც სლოვაკებს ეიმედებათ: **მარტინ შკრტელი** დაცვაში, **მარეკ ჰამშიკი** ნახევარდაცვაში და **რობერტ ვიტეკი** თავდასხმაში. ვნახოთ, რა მოხდება „ფრი სტეიტ სტადიუმზე“.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ხერარდო მარტინო (მარცხნივ) და როკე სანტა კრუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

D ჯგუფი

# გვიშველე, ჰარი!

## კეჰილი დისკვალიფიცირებულია, სამაგიეროდ, ავსტრალიას კიუელი უბრუნდება!

19 ივნისი. რუსტენბურგი. ოიალ ბაფოკენგი 18:00

**განა–ავსტრალია**

სავარაუდო შემადგენლობები

**განა (4-1-4-1):** კინგსონი - პანტსილი, ვორსა, მენსა, შარპეი - ანანი - ტაგოე, ასამოა, კ. პ. ბოატენგი, აიევი - გიანი.

**ავსტრალია (4-2-3-1):** შვარცერი - ვილკშირი, ნეილი, მური, ჩიპერფილდი - ვალერი, კულინა - ემერტონი, კიუელი, ბრეშიანო - კენედი.

**არბიტრი:** ოსკარ რუისი (კოლუმბია)

რაკი გერმანიის ნაკრები სერბეთთან დამარცხდა, განას ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი გაუჩნდა. იმ დროს, როცა სხვა აფრიკული გუნდები მუნდიალზე სახეიროს ვერაფერს ახერხებენ, განელები პირველი ტურის შემდეგ, თავაწეულები არიან და ავსტრალიასთანაც გამარჯვებას გეგმავენ. მათი ერთ-ერთი ლიდერი, **სალი მუნტარი** ამბობს, ჩვენი მიზანი მხოლოდ მოგება და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებააო. მთავარი მწვრთნელის, **მილოვან რაიევაცის** თქმით, დღევანდელი შეხვედრა განის ნაკრებისთვის წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია. ამავდროულად, რაიევაცი თავის შეგირდებს მაქსიმალური კონცენტრაციისკენ მოუწოდებს.

*„ავსტრალიის ნაკრები სუსტი გუნდი არ არის. „კენგურუებს" ნამდვილად შეუძლიათ იმაზე გაცილებით მეტის გაკეთება, ვიდრე გერმანიასთან მოიმოქმედეს. თანაც, ჩვენთან მოგება ავსტრალიისთვის ბოლო შანსია და მეტოქე ძალიან მონდომებული და კონცენტრირებული იქნება,"* - თქვა განის ნაკრების თავკაცმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. საინტერესო ის არის, რომ განას ავსტრალიასთან 6 მატჩი აქვს გამართული და აქედან ოთხში მარცხი იწვნია - ბოლოს 2008 წელს, სიდნეიში, 0:1.

სამშაბათს განელებს დიდი ზეიმი ჰქონდათ - მათ **ჯონ პანტსილის** დაბადების დღე აღნიშნეს. ნახევარმცველ **კევინ-პრინს ბოატენგის** თქმით, გუნდში ბრწყინვალე განწყობაა - თითოეული ფეხბურთელი ისეა მოტივირებული, როგორც არასდროს არავინ ყოფილაო.

განელებს ძალიან უხარიათ ის, რომ ავსტრალიის ნაკრებს თავისი ლიდერი **ტიმ კეჰილი** დააკლდება - ფეხბურთელი, რომელიც გერმანიასთან მატჩში გააძევეს და შესაბამისად, დღეს დისკვალიფიცირებულია. მაგრამ განელთა თავკაცი რაიევაცი ამბობს, ეს ბევრს არაფერს ცვლისო: *„ცხადია, კეჰილი დააკლდებათ, მაგრამ ავსტრალიელებს ჰყავთ კენედი, ბრეშიანო და რა თქმა უნდა, კიუელიც, რომელმაც გერმანიასთან ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ასე რომ, „კენგურუები" კეჰილის გარეშეც ძლიერები არიან!"*

ორი აზრი არ არსებობს, კეჰილის არყოფნაში, ავსტრალიელთა მთავარი იმედი **კიუელია**, რომელმაც ტრავმა უკვე საბოლოოდ მოიშუშა და დღეს მინდორზე გასვლა შეუძლია. სხვა საქმეა ის, რომ კიუელს წელს მხოლოდ ერთი თამაში აქვს ჩატარებული (გალათასარაის მაისურით), მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, ძალიან კარგ ფორმაშია, რასაც იმ შემთხვევაში დაამტკიცებს, თუ მწვრთნელი მოედანზე შეუშვებს. 31 წლის კიუელი ძირითად შემადგენლობაში თამაშს კატეგორიულად არ ითხოვს - ალბათ იმიტომ, რომ მთავარ მწვრთნელ **პიმ ვერბეკზე** ზეწოლა არ გაამძაფროს, ავსტრალიელთა დამრიგებელი გერმანიასთან განადგურების შემდეგ ხომ ისედაც ჩემოდნებზე ზის...

*„მწვრთნელი ტაქტიკურ სქემას და ძირითად შემადგენლობას შეცვლის, ამაში დარწმუნებული ვარ, - ამბობს მცველი* ***სკოტ ჩიპერფილდი,*** *- გერმანიასთან განცდილი კრახის შემდეგ, თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, თავდაუზოგავად იბრძოლოს"!*

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ავსტრალიელებს კეჰილის გარდა, ნახევარმცველი **ვინი გრელაც** არ ეყოლებათ, ოღონდ არა დისკვალიფიკაციის, არამედ ტრავმის გამო. განის ნაკრებში კი ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

**გოტფრიდ ლენცი**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მეზურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ვაჟაის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ესპანეთი



ჩავი და პიკე ნაგებულები ტოვებენ მინდორს

# ხუთი მიზეზი, თუ რატომ წააგო ფურია როხამ

შორს ვართ იმისგან, რომ ესპანეთის ნაკრების მარცხი მართლა **იკერ კასილიასის** მეგობარ გოგონას დავაბრალოთ, რომელმაც „თურმე" „გათვალა" ნაკრების კარის დარაჯი და მთელი „ფურია როხა" მატჩისწინა აბეზარი ინტერვიუებით. ამ ღიმილისმომგვრელ ამბის ფონზე, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება - 1998 წლის მუნდიალის შემდეგ ესპანეთის ნაკრებმა პირველად დაიწყო მარცხით. 12 წლის წინათ საფრანგეთში **ხავიერ კლემენტეს** გუნდმა ყველასთვის მოულოდნელად ნიგერიის ნაკრებთან წააგო...

დურბანულ მარცხზე უკვე ბევრი დაიწერა, ითქვა ის, რომ **ოტმარ ჰიცფელდმა** კიდევ ერთხელ მოუგო დუელი **ვისენტე დელ ბოსკეს**, რომ 10 კაცით საჯარიმოში გამაგრებული შვეიცარიის წინააღმდეგ ესპანელმა ფორვარდებმა ვერაფერი მოახერხეს. ორი საინტერესო არგუმენტი ჰქონდა ესპანელთა ყოფილ თავკაც **ლუის არაგონესს**: პირველი - სისწრაფის ნაკლებობა და მეორე - ნახევარდაცვაში ერთის ნაცვლად ორი დაცვითი სტილის ფეხბურთელის დაყენება.

და მაინც, რა იყო თითქოსდა უძლეველი არმადის (აქამდე ესპანეთის ნაკრებს ზედიზედ 12 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული) მარცხის მიზეზი? მაშ ასე, ხუთი პასუხი გაუცემელ კითხვაზე:

**1. ბურთის სრული კონტროლი, შედეგი ნული:** ესპანეთის ნაკრები ბურთს 63%-ით აკონტროლებდა, გუნდმა კარისკენ დაარტყა 24-ჯერ, მაგრამ მოდით, ჩამოვთვალოთ საგოლე მომენტები „ფურია როხას" შესრულებით. სულ სამი გვახსენდება: **ჩაბი ალონსოს** სასწაული დარტყმა, რომელმაც კინაღამ ხარიხა მოტეხა **ბენალიოს** კარს, **ჟერარდ პიკესა** და იმავე ბენალიოს კორიდა და **ვილიას** დარტყმა, როცა „ელ გუახემ" მოინდომა მეკარისა და ორი მცველისთვის ბურთის თავზე გადაგდება.

ესპანეთის ნაკრებს მუდმივად ჰქონდა ბურთი, ის სულ უტევდა, რაც მეტოქის დაცვას კონცენტრირების საშუალებას აძლევდა, ესპანელებს კი მოულოდნელობის მომენტი მოსპობილი ჰქონდათ, დელ ბოსკეს ბიჭების მომავალი ქმედებები ადვილად გამოცნობადი იყო.

**2. ცუდი თამაში დაცვაში.** ერთმა ესპანელმა ჟურნალისტმა კარგად დაწერა, **ჟელსონ ფერნანდესის** გოლი უბედობისა და ჩვენი დაცვის ფატალური თამაშის ნაზავი იყოო. მართლაც ბურთი უცნაურად გადახტა **კასილიასისგან**, მას ვერც **პიკე** დაეპატრონა და ვერც შვეიცარიელთა ფორვარდი **დერდიოკი**. კასილიასი ნაადრევად გამოვარდა კარიდან, ხოლო **ხოან კაპდევილამ** სათანადოდ ყურადღებით ვერ ითამაშა ამ ეპიზოდში, ის დაცვის ხაზიდან გამოთიშული იყო. ამ ორის შეცდომამ კი დერდიოკს დრო და სივრცე აჩუქა, რაც ესპანეთის ნაკრებს საკუთარ კარში გოლად დაუჯდა.

**3. არავითარი იდეა შუახაზში.** ეს არ იყო არც **ჩავის** დღე და არც **სერხიო ბუსკეტსის**. მოკლედ, ორმა ნახევარმცველმა ჩააგდო მატჩში. როცა ეს ორი ვერაფერს ახერხებდა, ჩაბი ალონსოს უნდა აეღო ინიციატივა, რაც ბასკმა გააკეთა კიდეც, თუმცა არც მისი პასები გამოირჩეოდა სიზუსტით ყოველთYვის. დაცვის კვარტეტის წინ მოთამაშე „ორმაგმა ცენტრმა" (ჩავი, ბუსკეტსი) თითქოსდა ფუნქცია დაკარგა შვეიცარიასთან მატჩში, ნაკრები ბურთს ისედაც ფლობდა ამ ორის გადამეტებულად დაცვითი პოზიცია კი შეტევებში ძალას აკლებდა ესპანეთის ნაკრებს.

**4. თამაში „მეორე სართულზე".** დელ ბოსკეს გუნდმა 12 კუთხური ჩააწოდა, მარცხენა ფლანგიდან კაპდევილამ და მარჯვნიდან **ხესუს ნავასმა** მრავალჯერ დაჰკიდეს ბურთი საჯარიმოში. ამ დროს კი მნიშვნელოვანია, თუ როგორ თამაშობს გუნდი თავით. არაფერი მსგავსი არ ყოფილა, ესპანეთის ნაკრებმა ასე ფონს გასვლა სულაც არ სცადა, ფინალურ წუთებშიც კი ნახევარმცველები ფლანგზე ნავასს ეძებდნენ. ამას კი ბევრი დრო მიჰქონდა.

**5. ვისენტე დელ ბოსკე.** დელ ბოსკემ თამაში დაიწყო ორი დაცვითი ტიპის ნახევარმცველით და ორი „ვინგერით", რომელთაც დავიდ ვილიას მხარდაჭერა ევალებოდათ. ამ გეგმამ არ იმუშავა და ამიტომაც დელ ბოსკემ შემოიყვანა ერთი „ნაღდი" ვინგერი (ნავასი) და ორი ფორვარდი (**ტორესი, პედრო**). საბოლოოდ არც ამ სათადარიგო გეგმამ გაამართლა, ბოლო წუთები ნავასის გაუთავებელ ჩაწოდებებში გაილია.

ცოტა რამ სტატისტიკიდანაც: „ფურია როხამ" მატჩში 683 პასი გააკეთა, აქედან 77% ზუსტი იყო. გუნდმა ჩააწოდა 42-ჯერ, მაგრამ მხოლოდ 21% აღმოჩნდა ზუსტი, ჩავის ჩაწოდებული 12 კუთხურიდან ნახევარი გამოდგა სახიფათო. მეპასეებში პირველ ადგილზე გავიდა მარცხენა მცველი (!) კაპდევილა 95 პასით (81% სიზუსტით). მეორე ადგილზეა ჩავი 92 პასით, მაგრამ ნაკლები სიზუსტით (73%). პირველი ტაიმის შემდეგ ჩავი 10 ფეხბურთელიდან მხოლოდ მე-6 იყო მეპასეებში. ყველაზე ზუსტი პასებში იყო **პუიოლი** (88%), არაზუსტი კი - ნავასი (38%), თუ არ ჩავთვლით ტორესს, რომელსაც საერთოდ საშინელი შედეგი აქვს - წარმოიდგინეთ, „ელ ნინიომ" მოედანზე 29 წუთი დაყო და სულ სამი პასი გააკეთა, სამივე არაზუსტი!

ესპანეთის ნაკრები სულ 8-ჯერ დაჯარიმდა 19-ის წინააღმდეგ, „ფურია როხას" რიგებში ყველაზე უხეში სერხიო რამოსი იყო (3 ფოლი), 2-ჯერ დაჯარიმდა ინიესტა (2 ფოლი). ყველაზე მეტჯერ, 5-5-ჯერ **ინიესტასა** და ჩავის ეუხეშნენ. ესპანეთის ნაკრებმა 90 წუთის განმავლობაში 18 იერიში განახორციელა შვეიცარიის ნაკრების კარისკენ (7 მარჯვენა ფლანგიდან, 6 მარცხნიდან და 5 ცენტრიდან). სოლო რეიდებში რამოსმა (7) იყოჩაღა, 3-3 ზუსტი პასი საჯარიმოში რამოსმა, ინიესტამ და ჩავიმ გააკეთეს. ესპანელთა მცველებს ერთხელაც არ ჩაუჭრიათ ბურთი და მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა მოიგეს (ჩაბი ალონსო). მხოლოდ სამმა ესპანელმა გაირბინა 10 კილომეტრზე მეტი: ჩაბი ალონსომ (11,9), კაპდევილამ (10,5) და ჩავიმ (10,3), მაშინ, როცა 8 შვეიცარიელმა გადააბიჯა 10-კილომეტრიან ზღვარს. ესპანელთაგან ყველაზე სწრაფი **დავიდ სილვა** იყო (22,8 კმ/სთ). ეს კი საშუალოზე საშუალო მაჩვენებელია მუნდიალზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

G ჯგუფი

# დროგბა ბრაზილიასთან სასტარტოში


დიდიე დროგბა ძირითადისთვის მზადაა

კოტ დ'ივუარის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სვენ გორან ერიქსონმა** განაცხადა, რომ კვირას ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში გუნდის ლიდერ **დიდიე დროგბას** სასტარტო შემადგენლობაში დააყენებს. შეგახსენებთ, რომ მუნდიალის წინ სპარინგზე დროგბამ იდაყვი მოიტეხა და მან პირველ ტურში პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ მხოლოდ შეცვლაზე ითამაშა. *„მგონი, მოულოდნელობა არ იქნება, თუკი დროგბა დაიწყებს მატჩს. მან პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩის ბოლო 25 წუთი ითამაშა და გართულება არა ჰქონია“*, - განაცხადა შვედმა სპეციალისტმა „სქაი სპორტსთან“ საუბარში.

## რობინიო: მუნდიალს კაკა მოგვაგებინებს

ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი **რობინიო** მიიჩნევს, რომ ბრაზილია მეექვსე მუნდიალს იმ შემთხვევაში მოიგებს, თუკი **კაკა** ათამაშდება. ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში ბრაზილიელთაგან **მაიკონი** და რობინიო გამოირჩეოდნენ, კაკა კი თანაგუნდელთა ჩრდილში იყო. *„როცა კაკა კარგად თამაშობს, მას შეუძლია ნებისმიერი თამაშის ბედი გადაწყვიტოს. ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა ნაკრებში. ვფიქრობ, გუნდი მასთან ერთად მოუმატებს. ის, რაც პირველ მატჩში მოხდა კი ბუნებრივია, მუნდიალს ეგრევე ბრწყინვალე მატჩით ვერ დაიწყებ“*, - განაცხადა „სანტოსის“ შემტევმა.

## ოთხი კორეელი ფეხბურთელი აორთქლდა

ჩრდილოეთ კორეის ნაკრების ირგვლივ ახალი სკანდალი აგორდა. პირველი უკავშირდებოდა ფორვარდ **კიმ მიონ ვონს**, რომელიც კორეელებმა გოლკიპერად გააფორმეს. მას შემდეგ, რაც ფიფამ კიმ მიონ ვონს აუკრძალა მეკარის გარდა სხვა პოზიციაზე თამაში, მისთვის მუნდიალი, ფაქტობრივად, დასრულდა. მეორე სკანდალი უფრო სერიოზულია, თუმცა დეტალებზე ბოდიში, ჩრდილოეთ კორეის ნაკრების ირგვლივ ნამდვილი მისტიკური ზღუდეა და ვერავინ იტყვის რა ხდება ნაკრებში სინამდვილეში - საქმე იმაშია, რომ მედიის მტკიცებით კორეელთა ოთხი ფეხბურთელი... გაქრა!

ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ ფეხბურთელებს კომუნისტური კორეიდან გაქცევა ჰქონდათ დაგეგმილი და იმიტომ გაიპარნენ ბანაკიდან. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ბრაზილიასთან მატჩის განაცხადში მყოფთაგან ოთხი ფეხბურთელი: ჩვენი „ძველი ნაცნობი“ მიონ ვონი, **ან ჩოლ ჰიოკი, კიმ კიონ ილი** და **პაკ სუნ ჰიოკი** სინამდვილეში არ ესწრებოდა თამაშს!

ფიფას კომუნიკაციების დირექტორი **ნიკოლა მაინო** ამბობს, რომ ფიფამ ამის შესახებ მედიისგან გაიგო და თავად არაფერი უწყის. *„ინფორმაციას არ ვფლობთ დაკარგული კორეელი ფეხბურთელების შესახებ. ჩვენი მედიაოფიცერი, რომელიც მიმაგრებულია ჩრდილოეთ კორეის გუნდზე, ამბობს, რომ თავად ნაკრების ბანაკში ფეხბურთელთა გაქრობის ფაქტს უარყოფენ“*.

გუშინ სალამოს სამხრეთ აფრიკაში აკრედიტებულ ჟურნალისტებს ნაკრების ბანაკიდან დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ არც ერთი ფეხბურთელი არ გაქცეულა გუნდიდან. ოთხი ფეხბურთელის არყოფნა თამაშზე კი მათ ჩინოვნიკური შეცდომით ახსნეს.

*„გუნდის განაცხადი შეცდომით შედგა. ეს კი იმ მიზეზით მოხდა, რომ ჩვენს ბოლო ტურნირში, აზიის თასზე განაცხადში სულ 18 ფეხბურთელი ეწერებოდა და ამიტომ არ შევიყვანეთ აქ ყველა ფეხბურთელი. ეს შეცდომა მაშინვე შეამჩნიეს, მაგრამ გამოსწორებისთვის დრო აღარ იყო, ამიტომაც არის მითითებული, თითქოს ეს ოთხი ფეხბურთელი არ ესწრებოდა თამაშს. მით უმეტეს არ შეეფერება სინამდვილეს ხმები, თითქოს მათ თავშესაფარი მოითხოვეს სხვა ქვეყანაში“*, - ირწმუნებიან კორეელები.

## დეკუ: ან ბოდიში ან...

ჩრდილოეთ კორეის ნაკრებთან მატჩში შესაძლოა არ ითამაშოს **დეკუმ**. „ჩელსის“ ვარსკვლავს ტრავმა არ მიუღია, სავარაუდო უთამაშებლობის მიზეზი კი **კარლუშ კეიროშთან** დაპირისპირებაა. „ო ჟოგოს“ ცნობით, კეიროშმა მას მერე აითვალწუნა ნახევარმცველი, რაც დეკუმ ის I ტურის მატჩში, შესვენებისას გაკეთებული ცვლილებების გამო გააკრიტიკა. შემდეგში დეკუმ ოდნავ შეარბილა ტონი და აღნიშნა, რომ ნაკრებში არეულობის შეტანა სულაც არ სურდა, თუმცა ამან უკვე ველარ უშველა. ახლა საკითხი ასე დგას, ან „ჩელსის“ ვარსკვლავი მოუბოდიშებს კეიროშს, ან ის ვერ ითამაშებს 21 ივნისს ჩრდილოეთ კორეის ნაკრების წინააღმდეგ.

H ჯგუფი

# ტრავმირებულია თუ არა ვალდივია?

ჩილეს ნაკრების წამყვანი ნახევარმცველის **ხორხე ვალდივიას** გელფრენდმა ერთ-ერთ სატელევიზიო არხს უთხრა, რომ ვალდივიამ კუნთი გაიწყვიტა, თუმცა ეს ინფორმაცია ჩილეს ნაკრების ბანაკში კატეგორიულად უარყვეს. **დანიელა არანგუისმა** ჩილეს ტელევიზიაში, გადაცემა „ლა ბარა დელ მუნდიალში“ განაცხადა, რომ ხორხეს მცირე ჩანახევი აქვს კუნთზე და ის სწორედ ამის გამო შეცვალეს ჰონდურასთან მატჩში. მან ასევე ისურვა, რომ ვალდივიამ თავი შეიკავოს შემდეგ მატჩში თამაშისგან, რადგან ტრავმა არ გაირთულოს. მაგრამ ჩილეს ნაკრების ოფიციალური წარმომადგენლები ამ ინფორმაციას ჭორს უწოდებენ. მათი თქმით, ვალდივია ჯანზეა და შვეიცარიის ნაკრებთან მატჩისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ ვალდივია გაერთიანებულ საამიროებში, „ალ აინში“ თამაშობს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ხორხე ვალდივია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია

## არიენ რობენი
# აქ ტიტულისთვის ჩამოვედი




არიენ რობენს (ცენტრში) კიდევ რამდენიმე დღე სჭირდება...

**წინასამუნდიალო ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის გამო, არიენ რობენი იძულებული გახდა, ჰოლანდია-დანიის დაპირისპირებისთვის სათადარიგოთა სკამიდან ედევნებინა თვალი. ჰოლანდიელთა ლიდერი ვერც დღეს ითამაშებს იაპონიასთან. ფიფას ოფიციალური ვებგვერდი მას ტრავმისა და მსოფლიოს ჩემპიონატის პერიპეტიებზე ესაუბრა.**

**- რა გაიფიქრეთ პირველად, როცა შესანიშნავად ჩატარებული სეზონის შემდეგ დაშავდით?**

- თავში მაშინვე გამიელვა იმ აზრმა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის უკვე დასრულებული იყო. თუმცა საკუთარი თავი ხელში მალევე ავიყვანე და გადავწყვიტე, ჩემპიონატზე წასვლის შანსს ჩავბღაუჭებოდი. ჰოლანდიის ნაკრების სამედიცინო შტაბმა ჩემი გამოჯანმრთელებისთვის ყველაფერი გააკეთა და ამის წყალობით, ახლა სამხრეთ აფრიკაში ვარ. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ მოედანზე გასვლა რაც შეიძლება მალე შევძლო.

**- შეგიძლიათ გვითხრათ, ტრავმა რამ გამოიწვია?**

- როგორც იცით, ეს ამბავი უნგრეთთან ამხანაგური მატჩის მიწურულს შემემთხვა. ბურთს ვაჩერებდი, როცა ქუსლის შიდა მხარეს აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. უხერხული მოძრაობა გავაკეთე, რაზეც კუნთმა მწვავე რეაქცია მოახდინა და დაზიანდა.

**- ჰოლანდიის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში უთქვენოდ ჩავიდა და გუნდს მოგვიანებით შეუერთდით. ამის გამო უცნაურ განწყობაზე ხომ არ ხართ?**

- ოდნავ უცნაური განწყობა მართლაც მეუფლება, რადგან თავს აქამდე გუნდის განუყოფელ ნაწილად მივიჩნევდი და უცებ იქ მიმდინარე პროცესებს ჩამოვცილდი. თან ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შემდეგ ნაკრებში ისედაც დაგვიანებით ჩავედი. მერე ნაკრები სამხრეთ აფრიკაში გამოემგზავრა, მე კი მკურნალობის კურსს გავდიოდი. რაც იყო, იყო, ახლა იმისთვის ვშრომობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის რიტმში უმოკლეს დროში ჩავდგე და ჰოლანდიის ნაკრებს მალე გამოვადგე.

**- ასპროცენტიან მზადყოფნაში როდის იქნებით?**

- საბედნიეროდ, ჩემი გამოჯანმრთელების პროცესი ძალიან სწრაფ ტემპში მიმდინარეობს, ფიზიკურ დატვირთვებსაც კარგად ვუძლებ. თუმცა მწყობრში ბოლომდე ჩასადგომად კიდევ რამდენიმე დღე მჭირდება. ჯერ ბურთს უნდა გავუშინაურდე, მერე კი გუნდთან შეთამაშებაა საჭირო, ამ ყველაფერს მინიმალური დრო დასჭირდება.

**- ამ მსოფლიოს ჩემპიონატისგან რას ელით?**

- ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, პირადად მე აქ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ჩამოვედი. თუმცა რეალისტი ვარ და კარგად ვიცი, რომ ამის მიღწევა ძალიან რთული იქნება. ტიტულის საფუძვლიანი ამბიცია არაერთ გუნდს აქვს, მაგრამ მე ჩემი გუნდისა მეიმედება და მჯერა, რომ სამხრეთ აფრიკაში რაღაცის მიღწევა ნამდვილად შეგვიძლია.

**- ჰოლანდიას უდიდესი შემტევი პოტენციალი აქვს. როგორ აფასებთ ისეთი ფეხბურთელის როლს, როგორიც მაგალითად, ვესლი სნეიდერია?**

- ვესლი ჩვენი გუნდისთვის უდიდესი ძალაა. ჩვენმა თავდამსხმელებმა კარგად იციან, რომ მათ უკან თამაშობს ფეხბურთელი, რომლისგანაც მუდამ უნდა ელოდონ კარგ პასებს. მსოფლიოში იშვიათია მოთამაშე, რომელიც მოედანს სნეიდერის მსგავსად ხედავს.

**- ბერტ ვან მარვიიკს როგორი თვისებები აქვს?**

- დადებითი პიროვნებაა. მისთვის მთავარია, გუნდში ჰარმონიული ატმოსფერო სუფევდეს და თითოეული ფეხბურთელი თავს მაქსიმალურად კომფორტულად გრძნობდეს. ვან მარვიიკის წყალობით, ჰოლანდიის ნაკრებში დღეს სრული იდილიაა, რაც წარმატებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

**- ჰოლანდიის გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტებად ვის მიიჩნევთ?**

- ეს ყოველთვის ძნელი სათქმელია. ყველას საკუთარი ფავორიტი ჰყავს, უმრავლესობა ბრაზილიას, არგენტინასა და ესპანეთს ასახელებს, მაგრამ არის კიდევ რამდენიმე ქვეყანა, რომელთაც ყველას გაოცება შეუძლიათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ესპანეთი

## დავიდ ვილია
# ჩვეული მანერით ვითამაშებთ

*„ესუდიდესი დარტყმაა“*, - თქვა შვეიცარიასთან განცდილი მარცხის შემდეგ **ჩავი ერნანდესმა**. თუმცა მუნდიალის სასტარტო მატჩში მომხდარი დიდი უსიამოვნების მიუხედავად, ესპანელები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ამბავი მათ წინსვლას ვერ შეაფერხებს.

*„შრომა ძველებურად უნდა განვაგრძოთ, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ნაფორხილების უფლება აღარ გვაქვს. ჯგუფურ ეტაპზე დარჩენილი ორივე შეხვედრა ულაპარაკოდ უნდა მოვიგოთ, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მთავარი ბრძოლა დაიწყება“*, - ამბობს **დავიდ ვილია**, რომელსაც შვეიცარიასთან წაგების მიზეზების მოძებნა უჭირს. შემდეგ ის განაგრძობს:

*„ძალიან უცნაური თამაში იყო, ზუსტად ისეთივე, როგორიც შარშანდელ კონფედერაციის თასზე ამერიკელებთან. მათ მსგავსად, დაცვაში შვეიცარიელებმაც უნაკლოდ ითამაშეს და გასაქანი არ მოგვცეს. ამის მიუხედავად, თამაშს ჩვეული მანერით განვაგრძობთ, დარწმუნებული ვარ, ასეთი უსიამოვნება აღარ შეგვემთხვევა“.*

იმის გამო, რომ ახლად გამოჯანმრთელებული **ფერნანდო ტორესი** ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზად არ იყო, ვილია შვეიცარიასთან შეხვედრაში ერთადერთ ფორვარდად გაამწესეს. ესპანელ მიმომხილველთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მისი არცთუ ეფექტური თამაშის მიზეზი სწორედ ეს იყო, რასაც „ვალენსიადან“ „ბარსელონაში“ სულ ახლახან გადასული თავდამსხმელი არ იზიარებს: *„საკუთარი თავით კმაყოფილი ნამდვილად არ დავრჩენილვარ, მაგრამ ეს ესპანეთის ნაკრების ტაქტიკასთან არავითარ კავშირში არაა. ტონუსში შესასვლელად გარკვეული დრო ყველა ფეხბურთელს სჭირდება და ამიტომაც განგაშის ატეხვა არ ღირს, მჯერა, მეორე მატჩს მეც და ჩემი თანაგუნდელებიც გაცილებით მაღალ დონეზე ჩავატარებთ. მთავარი ისაა, რომ მომხდარით არავინ დათრგუნულა, საკუთარი ძალებისა ძველებურად გვჯერა“.*



დავიდ ვილია და ფერნანდო ტორესი

შემდეგი მატჩი ესპანეთს ჰონდურასთან ელის, რომელთანაც ერთი ფრიად საინტერესო და არცთუ სასიამოვნო მოგონება აკავშირებს. 1982 წლის მუნდიალზე, რომელიც ესპანეთში ჩატარდა, მასპინძლები ჰონდურასელებთან ვერას გახდნენ და ნულოვან ფრეს დასჯერდნენ. ვილიას იმ შედეგის განმეორება გამორიცხულად მიაჩნია:

*„მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი თამაში უკვე წავაგეთ, მეორეს კი ყოველ მიზეზგარეშე მოვიგებთ“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

მუნდიალს მიღმა

ესპანეთი

## მაიკონი რეალში რეალურია

„დიარიო AS“ ამ დასკვნამდე მას მერე მივიდა, რაც სანდო წყაროებიდან შეიტყო, თუ რა უთხრეს „ინტერის“ ახალ თავკაც **რაფაელ ბენიტესს** - მილანური კლუბის ხელმძღვანელობამ ბენიტესს აცნობა, რომ მომავალ სეზონში **მაიკონის** იმედი არ უნდა ჰქონდეს, რადგან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა მადრიდის „რეალში“. **მარკო ბრანკამ** და **ლელე ორიალიმ** უკვე შესთავაზეს ესპანელ სპეციალისტს მარჯვენა მცველის პოზიციაზე მაიკონის ალტერნატივაზე იფიქროს. ბენიტესს სურს მაიკონის შენარჩუნება, თუმცა კლუბი ვერ ამბობს უარს „სამეფო კლუბისგან“ გაკეთებულ საინტერესო წინადადებაზე. ჯერჯერობით კლუბები ვერ თანხმდებიან თანხაზე - „ინტერი“ ბრაზილიელი მცველის სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს ითხოვს, ესპანელები მზად არიან მაიკონში 25 მილიონი ევრო გადაიხადონ. მაიკონს რეალში უკეთესი ხელფასი ექნება, ვიდრე მილანში - დაახლოებით 4,5 მილიონი ევრო წელიწადში.

იმ შემთხვევაში თუ მაიკონის ტრანსფერი არ შედგება, **ჟოზე მოურინიოს** სურს „ლივერპულიდან“ მარჯვენა მცველი **გლენ ჯონსონი** შეიძინოს, რომელიც დაახლოებით 20 მილიონი ევრო დაუჯდება „სამეფო კლუბს“. „რეალში“ მარჯვენა მცველის პოზიციაზე **სერხიო რამოსი** თამაშობს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა ამ პოზიციაზე და ეს თავად მოურინიოსაც უთქვამს. საინტერესოა, აბა რატომღა ცდილობს „განსაკუთრებული“ მარჯვენა მცველის ყიდვას, იმ შემთხვევაშიც კი თუ მაიკონის ტრანსფერი ვერ გაიჩარხება. ერთი ვერსიით, მოურინიო რამოსს ცენტრალურ მცველად გადაიყვანს, სადაც არანაკლებ საიმედოა ესპანელი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მალიორკამ, შეიძლება, ევროთასებზე არ ითამაშოს

ესპანური პრიმერადან ევროპის ლიგაზე თამაშის უფლება „მალიორკამ“, „ხეტაფემ“ და „ატლეტიკომ“ მოიპოვეს, თუმცა ფინანსური სირთულეების გამო ბალეარულმა კლუბმა შეიძლება ვერ ითამაშოს ევროთასებზე. უახლოეს დღეებში ფეხბურთის სამეფო ფედერაცია „მალიორკას“ საკითხს განიხილავს, თუ ეს გუნდი ვერ დააკმაყოფილებს ჩინოსანთა კითხვებს, ესპანეთს ამ ტურნირზე „მალიორკას“ ნაცვლად „ვილიარეალი“ წარადგენს.

„მალიორკას“ მფლობელმა **მატეო ალემანიმ** მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ მალე შეავსებს განაცხადს კლუბის გაკოტრებაზე. ასეთ შემთხვევაში კი ფეხბურთის ფედერაცია „მალიორკას“ არ დაუშვებს ევროთასებზე. სწორედ ამის გამო „ვილიარეალში“ ჯერ არ დაუმტკიცებიათ წინასასეზონო გეგმა, „ელ სუბმარინოს“ ხელმძღვანელობა ჯერჯერობით ელის გადაწყვეტილებას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჩიგრინსკი: უკან, შახტარში?

„ბარსელონას“ უკრაინელი მცველი **დმიტრო ჩიგრინსკი** შესაძლოა დონეცკის „შახტარს“ დაუბრუნდეს. გასულ ზაფხულში უკრაინელის სანაცვლოდ „ბლაუგრანამ“ 25 მილიონი ევრო გაიღო, მაგრამ ჩიგრინსკიმ ვერ გაამართლა, ეს ესპანურ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე უხეირო ტრანსფერი იყო. დღეისათვის ჩიგრინსკი „ბარსას“ ცენტრალურ მცველთა როტაციაში მეხუთეა. უკრაინული კლუბი მზადაა დაიბრუნოს მცველი, თუმცა სამაგიეროდ გაცილებით მცირე თანხას გადაიხდის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ხოსება ლორენტეს დაბრუნება

პრიმერა დივიზიონში დაბრუნებულმა „რეალ სოსიედადმა“ პირველი ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა, მან ყოფილი ფორვარდი **ხოსება ლორენტე** დაიბრუნა. 30 წლის ლორენტემ ბოლო ორ სეზონში „ვილიარეალის“ შემადგენლობაში 61 მატჩში 24 გოლი გაიტანა. ბასკური გუნდი ლორენტეს ნაცვლად 2,5 მილიონ ევროს გადაიხდის.

ლორენტეს 2003 წლის შემდეგ არ უთამაშია „რეალ სოსიედადში“, ფორვარდი ამ კლუბის აღზრდილია, თუმცა დროს უფრო ხშირად B გუნდში, ან იჯარით ატარებდა. 2003 წელს სეგუნდა დივიზიონის „ეიბარმა“ ლორენტე შეიძინა, თუმცა ფორვარდი 2006 წელს ახალ გუნდ „ვალიადოლიდთან“ ერთად დაუბრუნდა პრიმერას. ორი წლის წინათ „ვილიარეალმა“ ლორენტეში 5,5 მილიონი გადაუხადა „ვალიადოლიდს“.

ხოსება ლორენტეს წარდგენა სამშაბათს გაიმართება „ანოეტას“ სტადიონზე. „ვილიარეალის“ ოფიციალურ საიტზე ფორვარდს მომავალ კარიერაში წარმატება უსურვეს. ლორენტე 2014 წლის ზაფხულამდე „რეალ სოსიედადში“ დარჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ზაფხულის ტრანსფერები პრიმერაში

(8 ივნისიდან დღემდე)

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| ალბერტო ბოტია | ბარსელონა | სპორტინგი | თავ. აგენტი |
| ივან მარკანო | ვილიარეალი | ხეტაფე | იჯარა |
| რობერტო სოლდადო | ხეტაფე | ვალენსია | 8 მლნ. ევრო |
| საულ ფერნანდესი | ელჩე | დეპორტივო | თავ. აგენტი |
| ხოსება ლორენტე | ვილიარეალი | რეალ სოსიედადი | 2,5 მლნ |
| ფრანსისკო სუტილი | ეიბარი | რეალ სოსიედადი | თავ. აგენტი |
| ივ დეზმარე (საფრ) | ვიტორია (პორტ) | დეპორტივო | თავ. აგენტი |
| ტიბერიო გუარენტე (იტ) | ატალანტა (იტ) | სევილია | 5 მლნ. |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იტალია

## იუვენტუსი: ახლა მარტინესით...

„იუვენტუსს“ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი ჰყავს - „ბებერმა ქალბატონმა“ გარემარბი **ხორხე მარტინესი** 12 მილიონ ევროდ შეიძინა. ეს გახლავთ 27 წლის ურუგვაელი, რომელიც აქამდე „კატანიაში“ თამაშობდა. მარტინესი ფაქტობრივად ფეხდაფეხ მოჰყვა ასევე გარემარბ **სიმონე პეპეს**, რომელიც „იუვემ“ „უდინეზესგან“ იყიდა. საკითხავია, ამ ფეხბურთელების აყვანა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ტურინელებს გული გაუცივდათ მოსკოვის ცსკა-ს სერბ ფლანგელ **მილოშ კრასიჩზე**? ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს...

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## იმედაშვილი ორი წლით ხაზარში

**დავით იმედაშვილი** რუსთავის „ოლიმპი“ საქართველოს ჩემპიონი და საუკეთესო ნახევარმცველი გახდა. 25 წლის ფეხბურთელით უკრაინული და უნგრული კლუბები დაინტერესდნენ, მაგრამ ყველას აზერბაიჯანის უმდიდრესი კლუბის, ლენქორანის „ხაზარის“ წინადადება ამჯობინა. იმედაშვილი კლუბს ივნისის დასაწყისში შეუერთდა. „ხაზარი“ 12 ივნისიდან გერმანიაში ემზადება. როგორც ვნერდით, 16 ივნისს ლენქორანელებმა უკრაინის ჩემპიონ დონეცკის „შახტართან“ პირველ საკონტროლო შეხვედრაში 0:2 წააგეს.

მატჩის დასრულებისთანავე, საქართველოს ჩემპიონს 2-წლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, არადა, მანამდე მხოლოდ ერთწლიანზე იყო ლაპარაკი. ჩვენი ინფორმაციით, საკითხი ფაქტობრივად გარკვეულია - ხელშეკრულება „ხაზარის“ გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ გაფორმდება.

**მერაბ მამულაშვილი**

## ჭელიძემ ყირიმში გაატანინა

ამრამდენიმე დღის წინ, „ზეტაფონის“ ახალწვეულ **შოთა ბაბუნაშვილთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. შეგახსენებთ, რომ ბაბუნაშვილი იმერულ კლუბამდე ისრაელის რიგით მეორე ლიგაში, ნეშ ციონის „სექციაში“ გამოდიოდა. შოთამ ინტერვიუში გვითხრა, რომ ეს ებრაული კლუბი მის მსგავსად 23 წლის თავდამსხმელმა **გიორგი ჭელიძემ** დატოვა. ჭელიძე, რომელიც ისრაელიდან სამშობლოში დაბრუნდა, უკრაინაში გამოჩნდა და პირველივე საკონტროლო შეხვედრაში საგოლე პასით გამოიჩინა თავი.

ჩვენებურმა ფორვარდმა უკრაინის ვიშა ლიგაში ალზევებულ „სევასტოპოლში“ ითამაშა. ყირიმელები პოლტავას „ვორსკლას“ სტუმრად გაეჯიბრნენ და ამ შეხვედრაში საბრძოლო ფრე, 2:2 დაფიქსირდა. სხვათა შორის, სევასტოპოლელთა გუნდში „ზესტაფონის“ ყოფილი ნახევარმცველი, მოლდოველი **სერგეი ნუდნი** ირიცხება. სწორედ ნუდნის გოლის თანაავტორად მოგვევლინა ჭელიძე. ყირიმელებმა პირველ ტაიმში მთავარი შემადგენლობა ათამაშეს. ქართველი თავდამსხმელი ნუდნის მსგავსად სასტარტოში იყო და შესვენებამდე ითამაშა. „სევასტოპილის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, 32-ე წუთზე გიორგი ჭელიძემ სამი თავდამსხმელი ჩამოიცილა, ნუდნის უპასა და მანაც ჩვენებურს გარჯა გოლით დაუფასა. სხვათა შორის, გიორგი ჭელიძისთვის უკრაინის ვიშა ლიგაში თამაში „ახალი ხილი“ სულაც არ არის. 2006-07 წლების სეზონში ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ლუგანსკის „ზარიაში“ იყო განათხოვრებული და 13 მატჩში 1 ბურთი გაიტანა.

**დავით ცაბაძე**

## თითო გოლი კვარტეტისგან

დიახ, ოთხი ქართველი ლეგიონერი თითო გოლით გამოირჩა. 12 ივნისს, „ზესტაფონთან“ გამართული საკონტროლო შეხვედრა პლზენის „ვიქტორიამ“ **დიმიტრი ტატანაშვილის** მიერ გატანილი ბურთით მოიგო (2:1). ჩეხეთში მოასპარეზე ჩვენებურმა მომდევნო ამხანაგურ შეხვედრაშიც არ დატოვა მოედანი გოლის გარეშე. პრაღის „სპარტასა“ და „ვიქტორიას“ შორის საკონტროლო მატჩი 3:3 დასრულდა. ამ შეხვედრაში ტატანაშვილმა პირველ ტაიმში ითამაშა და 35-ე წუთზე ანგარიში გახსნა. შეგახსენებთ, რომ დიმა გასულ სეზონში „კლადნოში“ იყო განათხოვრებული. ეს გუნდი ჩეხეთის მთავარი დივიზიონიდან გავარდა, ჩვენებურს განათხოვრების ვადა დაუმთავრდა და „ვიქტორიამ“ დაიბრუნა. პლზენელთა გუნდში ტატანაშვილმა უკვე ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა და წესით უნდა დაიტოვონ. თუ არა და, ქართველ თავდამსხმელს მთხოვნელები ჰყავს. უკვე გაცნობეთ, რომ ჩვენებურით დაინტერესებული ერთ-ერთი კლუბი „ბრნო“ არის.

უნგრეთის ბრინჯაოს პრიზიორმა „დიორ ეტომ“ ადგილობრივ „დუნაუერდალესთან“ საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, რომელიც 3:3 დამთავრდა და ჩვენებურთა გუნდიდან მესამე გოლი **რატი ალექსიძემ** გაიტანა. ამ მატჩში დიორელებმა სამი შემადგენლობით ითამაშეს - მწვრთნელებმა თითო კრებულს 30-30 წუთი დაუთმეს. „დიორ ეტოს“ I შემადგენლობაში ჩვენებური არ ყოფილა, II კრებულში მცველმა **ლაშა თოთაძემ** და თავდამსხმელებმა **ვახტანგ ფანცხავამ** და **თემურ შარაშენიძემ** ითამაშეს, III-ში კი ორი ქართველი იყო - ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **გიორგი ბახტაძე** და თავდამსხმელი **რატი ალექსიძე**.

ტატანაშვილის დარად ანგარიში გახსნა გროზნოს „ტერეკის“ ნახევარმცველმა **ლევან გვაზავამ**. ანთალიაში, მოსამზადებელ შეკრებაზე გროზნოელებმა ვლადიკავკაზის „ალანია“ 3:0 დაამარცხეს. ამ შეხვედრაში გვაზავამ მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა.

სხვას არა, მაგრამ თანაკლუბელებს გაუტანა მახაჩყალის „ანჟისა“ და ნაკრების მცველმა **დავით კვირკველიამ**. საქმე ის არის, რომ „ანჟის“ მთავარი გუნდი დუბლებს ეთამაშა და 3:0 იმარჯვა. ამ მატჩში ჩვენებურმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. აქვე გაცნობებთ იმასაც, რომ შვებულების შემდეგ გუნდს შეუერთდა მცველი **მალხაზ ასათიანი**. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ „სატურნთან“ საკონტროლო შეხვედრა 2:2 დაასრულა, რომელშიც ასათიანმა მეორე ტაიმში სრულად ითამაშა.

**დავით ცაბაძე**

## ხიდეშელი მწყობრშია და წითელ ხარებს ელის

ბრინჯაოს პრიზიორი „ზესტაფონი“ ავსტრიაში მზადებას აგრძელებს. მოგეხსენებათ, 12 ივნისს პლზენის „ვიქტორიასთან“ საკონტროლო მატჩში დაშავებულ მცველ **გიორგი ხიდეშელს** 15-ში რუსეთის თასის მფლობელ სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში არ უთამაშია. იმერელთა კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, ხიდეშელი უკვე მწყობრშია და მომდევნო ტესტ შეხვედრაში თამაშიც შეეძლება. გუნდის თავკაცმა **გია გეგუჩაძემ** და მისმა შტაბმა ფეხბურთელებს ტესტირება ჩაუტარეს. ტესტირების მიზანი ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციების, გამძლეობისა და სისწრაფის, ძალოვანი თვისებების შემოწმება იყო. ამ მაჩვენებლებს ტესტირებისას „Polar Team2“-ის ულტრათანამედროვე აპარატურით აკვირდებოდნენ.

დღეს ზესტაფონელები მორიგ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ. იმერლები „წითელ ხარებს“, ავსტრიის მოქმედ ჩემპიონს, ზალცბურგის „რედ ბულს“ გაეჯიბრებიან, რომელსაც ჰოლანდიელი **ჰუუბ სტევენსი** წვრთნის. ეს შეხვედრა ქალაქ ლეოგანში, თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

დაბოლოს, გაცნობებთ იმასაც, რომ გუშინ „ზესტაფონის“ იუბილე იყო. ეს იმერული კლუბი, რომელიც 2004 წელს დაარსდა, გუშინ, 18 ივნისს, 6 წლის გახდა. რა თქმა უნდა, ზესტაფონელებს ამ იუბილეს ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი

# ამისულაშვილმა კონტრაქტი გააფორმა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი **ალეკო ამისულაშვილი** ახლა უკვე ოფიციალურად თურქეთის უმაღლესი დივიზიონის ბინადარ „ქაისერისფორის“ ფეხბურთელია. ნალჩიკის „სპარტაკის“ ცენტრალურმა მცველმა თურქულ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გუშინ საღამოს, თბილისის დროით 20:30 საათზე გააფორმა. ეს ამბავი ამისულაშვილების ოჯახმა გვითხრა. როგორც ცნობილია, მაისის ბოლოს გუნდის მთავარ მწვრთნელად **შოთა არველაძე** დაინიშნა.

ამისულაშვილი დღეს ანთალიიდან რუსეთში გაემგზავრება და ნალჩიკის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობას დაელაპარაკება. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელს ამ კლუბთან კონტრაქტი 1 აგვისტოს უმთავრდება. ფიფას კანონმდებლობა ფეხბურთელს სხვა კლუბთან ხელშეკრულების გაფორმების უფლებას მოქმედი კონტრაქტის ამოწურვამდე ნახევარი წლით ადრე აძლევს - „ჯვაროსანთა“ მცველმა სწორედ ამ უფლებით ისარგებლა.

თუმცა ჯერ არავინ იცის, დათანხმდებიან ნალჩიკელები კონტრაქტის გაწყვეტას და თვენახევრით ადრე გაუშვებენ ამისულაშვილს, თუ ბოლომდე გამოიყენებენ თავიანთ უფლებებს. უარის შემთხვევაში, ალეკო ვალდებული იქნება, „სპარტაკში“ აგვისტომდე დარჩეს. ცნობისთვის, „ქაისერისფორი“ მზადებას 1 ივლისიდან შეუდგება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლივერპული

# ჰოჯსონი აღარ?

ერთი რამ უკვე გადაწყვეტილია: „ლივერპულის“ ახალი მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** არ იქნება. და კიდევ, მერსისაიდელები **რაფა ბენიტესის** შემცვლელს შემდეგ კვირაში დაასახელებენ.

დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე დღის წინ „ლივერპულის“ ოფისიდან ჰოჯსონს დაუკავშირდნენ და ისიც ნამდვილია, რომ „ფულჰემის“ პატრონ **მოჰამედ ალ ფაიედს** ინგლისელი მწვრთნელისთვის თანხმობა ჰქონდა ნათქვამი - თუ „ლივერპულის“ საქმე გამოვა, მე ხელს არ შეგიშლიო. მოგეხსენებათ, 1879 წელს დაარსებულმა „ფულჰემმა“ ევროთასის ფინალში პირველად წლეულს, 131-ე წლისთავზე სწორედ ჰოჯსონის ხელმძღვანელობით ითამაშა. სხვათა შორის, ამ წარმატებამ მივიწყებულ სპეციალისტს ისეთი სახელი მოუტანა, რომ მასზე როგორც **ფაბიო კაპელოს** მომავალ შემცვლელზეც კი ალაპარაკდნენ - ინგლისელებმა „ინტერის“ ოდინდელი თავკაცი ნაკრების სათავეში წარმოიდგინეს. მაგრამ ჰოჯსონისა და „ლივერპულის“ საქმიდან არაფერი გამოვიდა, რადგან „ენფილდ როუდზე“ შესაძლო მიმსვლელთაგან ორი გამოიკვეთა: **კენი დალგლიში** და **მანუელ პელეგრინი**.

„ლელოს“ მკითხველმა კარგად იცის, რომ ლეგენდარულ შოტლანდიელ დალგლიშს ლივერპულელებმა თავიდან ახალი მწვრთნელის მოძებნაში სთხოვეს დახმარება. დალგიშმა თავისი საყვარელი გუნდისთვის შრომა არ დაიზარა, ეძება ახალი მწვრთნელი, ეძება და ბოლოს საკუთარ თავს მიაგნო - კლუბის აღმასრულებელ დირექტორ **კრისტიან პერსლოუს** თავისი კანდიდატურა შესთავაზა.

დალგლიში, მოგეხსენებათ, ლივერპულში საკულტო ფიგურაა. როგორც კი ფანებში ხმა გავარდა, გუნდის გაძღოლა სურსო, ხელად ფავორიტად იქცა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, განიხილავენ პელეგრინის კანდიდატურასაც. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც: პელეგრინი მადრიდის „რეალიდან“ ახალგაშვებული ჩილელი მწვრთნელია, რომლის თავკაცობითაც „სამეფო კლუბმა“ ლა ლიგაში 96 (!) ქულა დააგროვა, მაგრამ ჩემპიონი ვერ გახდა, რადგან „ბარსელონას“ ჩამორჩა სამი ქულით. და თუ გავიხსენებთ, რომ გასული სეზონის ორივე „ელ კლასიკო“ კატალონიელთა გამარჯვებით დასრულდა, გამოდის, რომ ტიტულის ბედი „ბარსასა“ და „რეალის“ უშუალო დაპირისპირებას გადაუწყვეტია.

ასე იყო თუ ისე, პელეგრინიმ „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონი ვერ გახადა და თანამდებობიდან მოხსნეს.

**ილია ბაბუნაშვილი**



როი ჰოჯსონი

ტრანსფერი

# აი, იაია...




**იაია ტურე** „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი გახდება - პრემიერლიგის გუნდმა „ბარსელონასთან“ საერთო ენა გამონახა. ტრანსფერის ფასი 25 მილიონი ფუნტი ანუ თითქმის 30 მილიონი ევრო. გუშინ ჯერ კიდევ იყო მოსაგვარებელი წვრილმანი იურიდიული საკითხები, თუმცა არანაირი დაბრკოლება არ არსებობდა.

საინტერესო გახლავთ ის ფაქტიც, რომ ისტლენდელებმა გადაწყვიტეს, მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებას არ დაელოდონ და სამხრეთ აფრიკაში თავიანთი ექიმთა გუნდი აფრინეს. ისინი კოტ დივუარის ნაკრების ბაზაზე მივლენ და ტურეს, რომელიც კვირას ბრაზილიის ნაკრებს უნდა დაუპირისპირდეს, ახლავე შეამოწმებენ. ცნობილია ისიც, რომ იაია ტურე „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე“ ოთხი წლით დარჩება და ჯიბეს ყოველ წელიწადს 6 მილიონი ფუნტით ანუ 7,2 მილიონი ევროთი შეივსებს.

**კოლო ტურეს** უმცროსი ძმით „სიტი“ ჯერ კიდევ 18 თვის წინ დაინტერესდა. ინგლისურმა გუნდმა მას პრემიერლიგაში გადაბარგება და ძმის მხარდამხარ თამაში მაშინვე შესთავაზა, მაგრამ იმხანად იაიამ შორს დაიჭირა, „ბარსელონასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა და... გაარკვია, რომ შეცდა. თურმე, „კამპ ნოუზე“ იგი ძველებურად ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად აღარ მიაჩნიათ - **პეპ გვარდიოლა** უწინდელზე იშვიათად ანდობს ადგილს სასტარტო შემადგენლობაში. გასული სეზონის განმავლობაში ნახევარდაცვის შუაში მასზე მეტად **სერხიო ბუსკეტსს** ვხედავდით. როგორც ტურეს აგენტმა **დმიტრი სელიუკმა** თქვა, „ბარსელონაში“ ავტორიტეტული ხალხის უმეტესობას მისი კლიენტის „კამპ ნოუზე“ დარჩენა სურს, მაგრამ ეს კეთილი სურვილები ვერ გადაწონის იმ ფაქტს, რომ გვარდიოლა ტურეს ხშირად აღარ ათამაშებს.

*„რასაკვირველია, „ბარსელონა“ მსოფლიოს უდიდესი კლუბია. ამასთან, ტურეს აქ დარჩენა სურს ყველას - ძველ პრეზიდენტ ჟოან ლაპორტას, ახალ პრეზიდენტ სანდრო როსელს, გვარდიოლასა და მე. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად არის, გარდა ერთისა - იაიას დონის ფეხბურთელი სათამაშო დროის მხოლოდ 65 პროცენტში მონაწილეობას ვერ შეეგუება. ეს გახლავთ ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც ჩემი კლიენტი „კამპ ნოუს“ ტოვებს და სხვაგან გადადის“.*

და კიდევ, სელიუკმა დასძინა, რომ ზრდილობის გულისთვის დაუკავშირდება **სანდრო როსელს**, რათა აზრი ჰკითხოს. ის ხომ „ბარსელონას“ ახალი პრეზიდენტიაო. როგორც ჩანს, ტურეს გასხვისება როსელის კაბინეტში შესვლამდე იყო გადაწყვეტილი და ახლა ამ საქმეს აღარაფერი ეშველება.

*„მე ვალდებული ვარ, მისი აზრიც ვიცოდე. როსელი ხომ კლუბის ახალი პრეზიდენტია“.*

იაია ტურე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩამშლელი ნახევარმცველია, რომელიც ისტლენდელებს ტიტულებისთვის ბრძოლაში, წესით, ძალიან უნდა დაეხმაროს. მის გადაბირებას პრემიერლიგის სხვა გუნდებიც ცდილობდნენ. ცოტა ხნის წინ ეს გახლდათ „არსენალი“, ბოლო ხანს კი „ჩელსი“ უკავშირდებოდა „ბარსელონას“ ტურეს მოთხოვნით.

ცნობისთვის დავძენთ, რომ ფეხბურთს იაია და კოლო ტურეების კიდევ ერთი ძმა თამაშობს - 24 წლის **იბრაჰიმ ტურე** სირიის პრემიერლიგაში, კერძოდ, „ალ ლიტიჰადში“ თამაშობს.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპი

# იაშვილი რუსთავიდან რუსეთში

## ოლიმპში ბასკეთიდან ჩამოსულ თავდამსხმელს აკვირდებიან

რუსთავის „ოლიმპში" შემადგენლობის ტრანსფორმაციის პროცესი სრული სვლით მიდის. გუნდი კიდევ ერთმა ჩემპიონმა დატოვა - **თემურ მახარაძემ** ვარჯიშები განაახლა, მაგრამ **სანდრო იაშვილი** აღარ ჩანს.

სანდროს თბილისის „დინამოსთან" საკონტროლო შეხვედრაშიც არ უთამაშია. დავინტერესდით და რუსთაველთა მთავარი მწვრთნელის ასისტენტ **იური გაბისკირიას** დავუკავშირდით (თემურ მახარაძე „მომსახურების ზონიდან გასული" გახლდათ).

*„სიმართლე გითხრათ, არც ვიცით, სანდრო იაშვილი სადაა. ფაქტია, რომ მან გუნდთან ერთად 2-3 ვარჯიში ჩაატარა და ამის შემდეგ გაუჩინარდა. წარმოდგენა არ გვაქვს, სად წავიდა და ახლა რომელ გუნდში ვარჯიშობს. არადა, სანდრო წასვლას არ აპირებდა და სულ იმეორებდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის დიდი სურვილი ჰქონდა"*, - გვითხრა გაბისკირიამ.

ფეხბურთელის ოჯახში გვითხრეს, რომ სანდრომ ბარგი ჩაალაგა და რუსეთში გაემგზავრა. როგორც ცნობილია, იაშვილს მახაჩყალის „ანჟისთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და რუსეთში კლუბთან დასალაპარაკებლად გაემგზავრა.

თავად სანდრო „ანჟიში" დაბრუნებას გამორიცხავდა, თუმცა რა გახდა მისი მოულოდნელი გამგზავრების მიზეზი, ჩვენთვის უცნობია. ასეა თუ ისე, იაშვილი უკვე მე-12 ფეხბურთელია, რომელმაც „ოლიმპი" დატოვა - მანამდე სხვადასხვა მიზეზით, კლუბიდან წავიდნენ თუ გაუშვეს: **გია ჭანტურია, მირზა მერლანი, ალექს ფრაგა, ნოდარ მაჭავარიანი, ემანუელ ელოხი, ოლეგ გველესიანი, აქვსენტი გილაური, გია კვარაცხელია, დავით იმედაშვილი, პავლე დათუნაიშვილი, ანდერსონ აკინო.** შეიძლება ითქვას, რომ ეს მიმდინარე სატრანსფერო სეზონის რეკორდია. თუმცა, რუსთავში უფრო სერიოზული საკადრო რევოლუცია გასული სეზონის დასრულების შემდეგ განხორციელდა, როცა კლუბიდან ერთდროულად ცამეტი ფეხბურთელი წავიდა. ასე რომ, ფეხბურთელების „საბითუმო პარტიასთან" შელევა „ოლიმპისთვის" ჩვეული მოვლენაა.

თბილისის „დინამოსთან" ამხანაგურ შეხვედრაში „ოლიმპის" შემადგენლობაში არც მეორე თავდამსხმელი **გიორგი ჭედია** გამოჩენილა. გაბისკირიას თქმით, მას მენინგიტის დიაგნოზი ჯერ კიდევ აწ დასრულებული სეზონის ბოლოს დაუდგინეს და მკურნალობა მხოლოდ ახლახან დაასრულა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი მოედანს 17 ივნისს დაუბრუნდა და გაბისკირიას თქმით, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ფორმიდან ამოვარდნილი არც არისო.

სხვათა შორის, რუსთაველები საკმაოდ საინტერესო ისტორიის მქონე თავდამსხმელს აკვირდებიან - 26 წლის **გოჩა ტვილდიანს**, რომელიც ექვსი წელი ესპანეთში თამაშობდა.


მარჯვნივ სანდრო იაშვილი

გოჩა საშუალო სიმაღლის ფორვარდია - 182 სმ. ის 35-ე საფეხბურთო სკოლაში იზრდებოდა და საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბშიც ირიცხებოდა - 2005 წელს ბოლნისის „სიონში" აიყვანეს. თუმცა 2005 წელსვე უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა და ესპანეთში გაემგზავრა.

*„გასინჯვების შემდეგ სეგუნდა დივიზიონის კლუბ „ტერასაში" ამიყვანეს, სადაც ორი წელი გავატარე. შემდეგ რამდენიმე გუნდში მცირე ხნით დავყავი, 2007 წლიდან კი 2010 წლამდე ყველაზე დიდი დრო ბასკეთში, კლუბ „ლაგუნაკეში" ვთამაშობდი, რომელიც მესამე დივიზიონში გამოდიოდა. რატომ ჩამოვედი საქართველოში? ბასკეთში პრემიებზე ვთამაშობდი, ხელფასი არ მქონდა, ბოლოს კი პრემიებსაც აღარ არიგებდნენ და დარჩენას აზრი არ ჰქონდა. ამ დროს მითხრეს, რომ საქართველოში რამდენიმე კლუბს ჩემი გასინჯვა შესთავაზეს და ინტერესი გამიჩნდა. რუსთავის „ოლიმპში" ჯერ სინჯებზე ვარ და არ ვიცი, დავრჩები თუ არა"*, - ამბობს ტვილდიანი.

რაც შეეხება ლეგიონერებს, მათი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა - დღეს რუსთავში 18:00 საათზე „ოლიმპი" მეორე საკონტროლო შეხვედრას გამართავს. ამჯერად, ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს. შესაძლოა, ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტოს თემურ მახარაძემ, გასასინჯებიდან რომელი ფეხბურთელი დატოვოს და რომელი გაუშვას.

**მერაბ მამულაშვილი**

## პრეზიდენტობიდან კონსულობამდე...

### ანუ შეასრულებს თუ არა ლაპორტა ქართველებისთვის მიცემულ სიტყვას?

„ბარსელონაში" **ჟოან ლაპორტას** შვიდწლიანი მმართველობა 12 ივნისს დასრულდა. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, კატალონიური გრანდის პრეზიდენტის არჩევნები **სანდრო როსელმა** მოიგო. თუმცა ლაპორტამ სიამაყით განაცხადა, გუნდიდან ვალმოხდილი მივდივარ, რადგან არსებობის განმავლობაში საუკეთესო „ბარსელონას" ვუხელმძღვანელეო.

მის სიტყვებში არაფერია გადაჭარბებული - ლაპორტას შვიდწლიანი პრეზიდენტობის პერიოდში, გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ორი გათამაშება მოიგო.

ამ ისტორიაში საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი იმალება: როგორც ცნობილია, ლაპორტას საქართველოს საპატიო კონსულობა ესპანეთში ჩვენი ქვეყნის ყოფილმა ელჩმა, ამჟამად კი ეკონომიკის მინისტრმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** შესთავაზა და თანხმობაც მიიღო. თუმცა, მაშინ ლაპორტას ამის გამო კატალონიურ მედიაში ერთი ამბავი დაანიეს, კლუბის პრეზიდენტი საპატიო კონსულობისთვის ვერ უნდა იცლიდესო. „ბარსას" თავკაცმა ყველაფერი აწონ-დაწონა და საბოლოოდ, საპატიო კონსულობას მხოლოდ პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შემდეგ დათანხმდა.

ხვანჭკარის მოყვარული „ბარსას" ხელმძღვანელი გადადგა და ბუნებრივია, ველოდებით, შეასრულებს თუ არა დანაპირებს. საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს ასეთი ავტორიტეტული პიროვნების მხარდაჭერა ნამდვილად არ აწყენდა.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოფილი ახლებზე

## გოგი ქავთარაძე

# ქეცბაიასთვის ამის მოთხოვნა რეალურია...



**გასულ შემოდგომაზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა. ნოდარ ახალკაცისა და მისი გუნდის ფედერაციიდან წასვლის მიზეზად ეროვნული ნაკრების წარუმატებლობა დასახელდა. მას მერე 8 თვე გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ფედერაციის ყოფილ ხელმძღვანელებს ახლებზე აქამდე არ გაუკეთებიათ შეფასება. ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე ამ თემაზე საუბარზე დაგვთანხმდა. ფედერაციის ახალი პრეზიდენტისა და მისი გუნდის მუშაობა, აზრი ეროვნულ ნაკრებსა და მის ახალ თავკაცზე, სახელმწიფოს მხარდაჭერა ფეხბურთისადმი და განხორციელებული პროექტები... გოგი ქავთარაძეს ამ და სხვა საინტერესო თემებზე გავესაუბრეთ.**

**- ნოდარ ახალკაცსა და მის გუნდს ნაკრების წარუმატებლობის გამო მოგიწიათ ფეხბურთის ფედერაციის დატოვებამ. 1 იანვრიდან მოყოლებული ეროვნულ გუნდს ახალი თავკაცი თემურ ქეცბაია ჰყავს. საინტერესოა, მასზე რა წარმოდგენის ხართ?**

- მასზე კარგის მეტს ვერაფერს გეტყვით. თემურ ქეცბაია არაჩვეულებრივი ადამიანია, მაღალკვალიფიციური მწვრთნელია, რაც ევროპაში მუშაობით დაამტკიცა კიდეც. თემურს სანაკრებო გამოცდილება აქამდე არ ჰქონდა, მაგრამ ეს ნაკლი ნამდვილად არ არის. მისი მოტივაცია, ხასიათი, საქმის მიმართ მიდგომა, კვალიფიციურობასთან ერთად, ძალიან დიდი პლუსია და როგორც გულშემატკივარს, მეც დიდად მაიმედებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ნაკრებში თაობათა ცვლა მიმდინარეობს და ვფიქრობ, მწვრთნელი ბევრ პრობლემას წააწყდება მუშაობისას. შესაძლოა ისეთი პრობლემაც კი გამოჩნდეს, რომელსაც ნაკლებად ელოდა. სწორედ ამ ფაქტორების გამო ვამბობ, რომ რთული პერიოდია ეროვნულის თავკაცისთვის. ქეცბაიას ყველაზე თუ არა, ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში უწევს ნაკრების ხელმძღვანელობა. ძალიან მიხარია, რომ როგორც იქნა ახალგაზრდა თაობიდან გამოჩნდა წარმატებული, მაღალი დონის ქართველი მწვრთნელი. თემურს წარმატებებს ვუსურვებ და მჯერა, სირთულის მიუხედავად ამ საქმეს თავს გაართმევს და ყველასგან სათანადო მხარდაჭერა ექნება.

**- ქეცბაიას ფორმაციის ნაკრებმა უკვე ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა - შინ ესტონეთს მოუგო და ავსტრიაში, მუნდიალის მონაწილე კამერუნს 0:0 ეთამაშა. ამ ორ მატჩში რა სხვაობა დაინახეთ ჩვენი ნაკრების თამაშში?**

- ესტონეთის გარდა კამერუნთან მატჩიც ვნახე ინტერნეტში. პროგრესი აშკარად შესამჩნევი იყო. კამერუნზე უკეთ ითამაშა გუნდმა, საგოლე მომენტებიც მეტოქეზე მეტი გვქონდა და საერთოდ, ამ შეხვედრის მოგებაც შეიძლებოდა. ეს კი საკმაოდ დიდ იმედებს იძლევა საიმისოდ, რომ ჩვენმა ნაკრებმა კიდევ უფრო გააუმჯობესოს თამაში და ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდეს. ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელისგან ამის მოთხოვნა უფრო რეალური იქნება, ვიდრე მას ჯგუფიდან უცილობლად გასვლა მოვთხოვოთ. პირადად, ქეცბაიასი დიდად მეიმედება და ვფიქრობ, გულშემატკივრის განწყობაც ანალოგიურია.

**- მუნდიალზე ჩვენი მეტოქე საბერძნეთი ასპარეზობს. ამ გუნდზე რა აზრის ხართ?**

- თავიდანვე ვამბობდი, რომ საბერძნეთი ერთ-ერთი სუსტი გუნდი იყო მუნდიალის მონაწილეებს შორის და ჯგუფიდანაც ვერ გავიდოდა. ბერძნების პირველმა თამაშმა ჩემი ეს ვარაუდი დაამტკიცა კიდეც. ჩემი პროგნოზით, ელადელები დანარჩენ ორ მატჩსაც წააგებენ. ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოთიშვისთანავე ოტო რეჰაგელი დატოვებს საბერძნეთის ნაკრების თავკაცის პოსტს და ამ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი უფრო აქტიურად განხორციელდება. ჩემი აზრით, სექტემბერში საბერძნეთი არ იქნება ის გუნდი, რომელთანაც ჩვენს ნაკრებს თანაბრად თამაში შეეძლება. ვფიქრობ, ჩვენს ჯგუფში ხორვატია არის ფავორიტი და ეს საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებშიც ნათლად გამოჩნდება

**- ჯერ კიდევ ფედერაციაში თქვენი მუშაობის დროს იყო ლაპარაკი სახელწიფოს მხრიდან ფეხბურთისთვის მხარდაჭერაზე. ეს მხარდაჭერა ახლა უფრო საგრძნობი გახდა. ამის დასტური ქუთაისის მთავარი არენის რეკონსტრუქციაა. იგეგმება სხვა საფეხბურთო ობიექტების აშენება და განახლება...**

- სახელმწიფოს მხარდაჭერით, ფედერაციაში ჩვენი გუნდის მუშაობის დროსაც ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. გრანდიოზული პროექტი იყო ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია, ნაკრების ბაზების პროექტშიც დაგვეხმარა სახელმწიფო. გარდა ამისა, იყო სკოლბურთი, რაც მასობრივი ფეხბურთის სფეროშია და კიდევ სხვა პროექტები, რომლებიც სწორედ სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელდა. ეკონომიკურმა კრიზისმა და 2008 წლის აგვისტოს ომმა შეგვიშალა ხელი, თორემ კიდევ არაერთ კარგ საქმეს გავაკეთებდით სახელმწიფოსთან ერთად. დღეისათვის უკვე სტაბილური ვითარებაა და სახელმწიფო ისევ აქტიურად მონაწილეობს ქართული ფეხბურთის აღორძინებისთვის. მჯერა, ჩვენი ფეხბურთისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა კვლავ გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება ფეხბურთის ფედერაციის სათავეში, რადგან ამას მნიშვნელობა არ აქვს. რა თქმა უნდა, ქუთასის სტადიონის რეკონსტრუქცია და ტრადიციული საფეხბურთო ქალაქების ქუთაისისა და ფოთის გუნდების უმაღლეს ლიგაში დაბრუნება ძალიან გამიხარდა. რაც უფრო მეტი გაკეთდება ინფრასტრუქტურის ასაღორძინებლად, მით უკეთესი, რადგან ჩვენი ფეხბურთისთვის ეს უმნიშვნელოვანესია.

**- უკვე 8 თვე გავიდა, რაც ფეხბურთის ფედერაციას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს და უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება. როგორც ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი, რა აზრის ხართ ფედერაციის ახალ გუნდზე...**

- რასაც ვუყურებ, ჯერჯერობით, ყველაფერი ძალიან კარგად მიდის. რეზო არველაძე ჩემი ახლო მეგობარია და მჯერა, ძალიან ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია ქართული ფეხბურთისთვის. არანაირი პრეტენზია არ მაქვს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას მიმართ. ის მუშაობს, კარგი მენეჯერია, ძალზე მონდომებულია და ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. რაც შეეხენა ნაკრებებს, ფედერაციის ფუნქცია და დანიშნულებაა ნაკრებ გუნდებს მაქსიმალურად კარგი პირობები შეუქმნას, დანარჩენი უკვე მწვრთნელსა და ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. რამდენადაც ვიცი, ისევე როგორც თავის დროზე ჩვენ, ფედერაციის ახლანდელი ხელმძღვანელობა არაფერს აკლებს ნაკრებ გუნდებს.

**- საინტერესოა, დღეს რას საქმიანობს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და აპირებს თუ არა ფეხბურთში დაბრუნებას, თუნდაც რომელიმე კლუბში?**

- არასაფეხბურთო პროფილის სამსახური მაქვს და სხვადასხვა პროექტშიც ვმონაწილეობ. ამ ეტაპზე ფეხბურთთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული გეგმა და მიზანი არ მაქვს. ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ და ყველაფერს დრო გამოაჩენს. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ასეთი სურვილიც გამიჩნდეს. თუ ქართული ფეხბურთისთვის საჭირო ვიქნები, დავფიქრდები...

**- თქვენი გუნდის წევრებზე მინდა გკითხოთ. ისინი რას საქმიანობენ?**

- ჩვენი მეგობრობა გრძელდება. ნოდარ ახალკაცი მიმდინარე ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტშია, გერმანიაში ცხოვრობს. უჩა უგულავა და დიმიტრი რამიშვილი თავიანთი საქმით არიან დაკავებულები.

**- გაისად ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია. ნოდარ ახალკაცი ხომ არ აპირებს მასში მონაწილეობას?**

- ნამდვილად არ ვიცი. ჩვენ ტელეფონით ხშირად გვაქვს კონტაქტი, მაგრამ ამ თემაზე არ გვისაუბრია.

**- დაბოლოს, ვიცით, რომ მუნდიალზე არგენტინას გულშემატკივრობთ და ამ ნაკრების ფანკლუბის წევრიც ხართ. ფანური მომენტი გვერდით რომ გადავდოთ, მსოფლიოს თასისთვის ბრძოლაში ფავორიტებად რომელ გუნდებს მიიჩნევთ?**

- რეალურად რომ ვიმსჯელოთ, შემადგენლობით არგენტინა ერთ-ერთი ძლიერი ნაკრებია მუნდიალზე. ვფიქრობ, ფინალში არგენტინა და ინგლისი ან ესპანეთი და ინგლისი ითამაშებენ.

**დავით ცაბაძე**

ფუტსალი

# იბერია ლიგაში გაბრწყინდება?

## თბილისელებს შახტიორის მწვრთნელი გაწვრთნის

სამწუხაროდ, მივეჩვიეთ, რომ ქართული კლუბებისთვის ევროსეზონი ზაფხულშივე მთავრდება. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისს ჩვენი ფუტსალი წარმოადგენს. საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „იბერია“ წელს მერვედ ჩაებმება უმთავრეს ევროპულ ტურნირში - უეფას ფუტსალის თასის გათამაშებაში, რაც დიდ ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის ანალოგიური შეჯიბრია.

სასიამოვნო გამონაკლისი კი იმიტომ ვახსენეთ, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის ბოლოდროინდელი „მიღწევების“ გათვალისწინებით, წინა ევროსეზონში „იბერიამ“ საოცრება მოახდინა - არათუ საკვალიფიკაციო და ძირითადი ეტაპები დაძლია, ელიტრაუნდშიც ითამაშა და ევროპის 12 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. დამეთანხმებით, სადღეისოდ კლასიკურ ფეხბურთში ჩვენებისგან ასეთი შედეგის მიღწევა არარეალურია.

„იბერია“ ახალი ევროსეზონისთვის ემზადება. 6 ივლისს უეფას შტაბბინაში საკვალიფიკაციო და ძირითადი ეტაპების წილისყრა ჩატარდება. საქართველოს ჩემპიონი, რომელსაც მაღალი პირადი რეიტინგი აქვს, საკვალიფიკაციო ეტაპიდან (რომელიც აგვისტოში ჩატარდება) გათავისუფლებულია და ბრძოლას პირდაპირ ძირითადი ეტაპიდან დაიწყებს. ძირითადი ეტაპის მატჩები კი სექტემბრის ბოლოს გაიმართება. ჯგუფები 4-გუნდიანია, ერთ წრედ თამაშობენ და ელიტრაუნდში ორ-ორი საუკეთესო გადის.

ამასთანავე, „იბერიამ“ და საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ უეფაში განაცხადი წარადგინეს და ჩვენი ჯგუფის მატჩების თბილისში ჩატარება სურთ. ამგვარი რამ კი 2001 წლის მერე არ მომხდარა.

გუნდის მზადებასა და მიზნებზე „იბერიას“ პრეზიდენტ **ვახტანგ წერეთელს** ვესაუბრეთ.

**- ბატონო ვახტანგ, როგორც შევიტყვეთ, სეზონისთვის სერიოზულ მომზადებას აპირებთ.**

- ფეხბურთელები შვებულებაში არიან და ახალი სეზონისთვის მზადებას 1 ივლისს დავიწყებთ. თავდაპირველად თბილისში შევიკრიბებით და მერე ორი კვირით ურეკში წავალთ. გვაქვს არაერთი მოწვევა უცხოეთიდან საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაზე - უკრაინიდან, პოლონეთიდან, ლატვიიდან, ბელარუსიდან... ვფიქრობ, უკრაინელთა მიწვევის მიღება გვირჩევნია. დონეცკსა და ხარკოვში მაღალი დონის ტრადიციული ტურნირები ტარდება, ძალიან ძლიერი გუნდები ჩადიან და ჩვენც იქ ვითამაშებთ. სხვათა შორის, შარშან დონეცკის ტურნირი „იბერიამ“ მოიგო. მერე საქართველოს ჩემპიონატიც დაიწყება, რამდენიმე ტურს ჩავატარებთ და შემდეგ უეფას თასზე ვითამაშებთ.

**- ჯგუფური ეტაპის მასპინძლობაზე თბილისის კანდიდატურა წარგიდგენიათ...**

- იმედი გვაქვს, უეფა ჩვენს განაცხადს დააკმაყოფილებს და ჯგუფის მატჩების მასპინძლობის უფლებას დაგვრთავს. თუმცა სხვაგანაც რომ ვითამაშოთ, არ არის პრობლემა, ელიტრაუნში მაინც გავალთ.

**- ანუ მიზნად კვლავ საუკეთესო ევროპულ გუნდებში მოხვედრა დაისახეთ?**

- შარშანდელი შედეგი რომ უნდა გავიმეოროთ და ელიტრაუნდში გავიდეთ, ეს თავისთავად იგულისხმება. წელს ბევრად უფრო სერიოზული მიზანი დავისახეთ.

**- ანუ...**

- მიზანი ოთხთა ფინალში თამაშია!

**- ეს ძალიან დიდი მიღწევა იქნება. შესაბამისად, გუნდის გაძლიერებაც დაგჭირდებათ...**

- „იბერიას“ ეყოლება შემადგენლობა, რომელიც ამ მიზნისთვის იბრძოლებს. მოდი, კონკრეტულ გვარებზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ, ახლა ვიტყვი, რომ კონტრაქტი ძალიან ცნობილ უკრაინელ მწვრთნელ ოლეგ სოლოდოვნიკთან გავაფორმეთ. „შახტარში“ მუშაობისას ის 5-ჯერ გახდა უკრაინის ჩემპიონი, იქაური ჩემპიონატი კი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

■ ■ ■

ვახტანგ წერეთელთან საუბრის მერე **ოლეგ სოლოდოვნიკს** დავუკავშირდით. აქვე გეტყვით, რომ ეს სპეციალისტი 44 წლისაა და ჩემპიონის 5 ტიტულის გარდა, სამ-სამჯერ მოიგო უკრაინის თასი და სუპერთასი, გარდა ამისა, 2004-05 წლებში უკრაინის ნაკრების მეორე მწვრთნელიც იყო.

**- ბატონო ოლეგ, ქართულ ფუტსალზე წარმოდგენა თუ გაქვთ?**

- რა თქმა უნდა. „იბერიას“ კარგად ვიცნობ. შარშან დონეცკის ტურნირზე ვნახე და ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი.

**- კლუბის პრეზიდენტს სერიოზული მიზანი აქვს - თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ ევროპის ოთხ საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრა?**

- ცხადია, ამაზე დანიშვნამდეც ვილაპარაკეთ. ასე გიპასუხებთ - თუ აზერბაიჯანის ჩემპიონს შეუძლია ოთხთა ფინალში თამაში, რატომ ვერ ითამაშებს საქართველოს ჩემპიონი? დიახ, საქართველოს ჩემპიონატი არ არის ისეთი დონის, როგორიც, ვთქვათ, ესპანეთის ან პორტუგალიის, მაგრამ იგივე შეგვიძლია ვთქვათ აზერბაიჯანის პირველობაზეც. მით უმეტეს, „იბერიას“ თამაშები ნანახი მაქვს, ძალიან ძლიერი გუნდები ჰყავს დამარცხებული და შეუძლებელი არაფერია.

**მერაბ მამულაშვილი**

საკვირველია...

# აბრამიძისთვის ინტერი გამოირიცხა?

## ჩემპიონთა სექსტეტი ბულგარეთშია

არავისთვის ახალი არ არის ის ამბავი, რომ ქართველ მცველ **ვალერი აბრამიძეს** ბაქოს „ნეფთჩიმ“ კონტრაქტი არ გაუხანგრძლივა. აბრამიძის გადაბირებაზე ჩემპიონმა „ინტერმა“ დაიწყო მუშაობა. თავად ფეხბურთელმა და ბაქოური კლუბის მესვეურებმა მასმედიასთან საუბარში არაერთხელ აღნიშნეს, რომ ქართველ მცველ ვალერი აბრამიძესთან მოლაპარაკებები დაწყებულია. მოსალოდნელი კონტრაქტის ხანგრძლივობაც კი დასახელდა - 1 წელი, მაგრამ...

გუშინ აზერბაიჯანულ ვებგვერდ apasport.az-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რბილად რომ ვთქვათ, გასაოცარია. ბაქოს „ინტერის“ გენერალური მენეჯერი **კამრან ისმაილოვი** კომენტარში აღნიშნავს, რომ აბრამიძის დამატება მისი კლუბის ინტერესებში არ შედის.

*„არც კლუბის პრეზიდენტს, არც მთავარ მწვრთნელსა და ჩვენი კლუბის რომელიმე წევრს ვალერი აბრამიძესთან მოლაპარაკება არ დაუწყია. ამის თაობაზე ჩვენც მასმედიიდან გავიგეთ. ჩვენს გუნდში ჯერჯერობით არ გამოჩენილან ახალი ფეხბურთელები. მათ ამ დღეებში ველოდებით“*, - აღნიშნა ისმაილოვმა.

აშკარაა, რომ კამრან ისმაილოვი ცრუობს. როგორც ჩანს, აბრამიძესა და „ინტერს“ შორის შეთანხმება არ შედგა და ბაქოელები ახლა ამბობენ, ქართველ მცველთან მოლაპარაკებები არ გაგვიმართავსო...

**დავით ცაბაძე**



ვალერი აბრამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო კონფერენცია

# გვექნება სტრატეგია



როგორც ვნერდით, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) და კომიტეტთან არსებული სპორტის განვითარების ექსპერტთა საბჭო (თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**) გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ორგანიზაცია World Learning-ის მხარდაჭერით მუშაობენ პროექტზე „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა".

გუშინ დედაქალაქის სასტუმრო „სიმპათიაში" პროექტის პირველი ეტაპის განხილვას მიეძღვნა საერთაშორისო კონფერენცია ბავშვთა სპორტის საკითხებში ლონდონის ორგანიზაცია Youth Sport Trust-ის ექსპერტ **ალან ბელის,** პარლამენტის დეპუტატების, ჯანდაცვისა და სპორტის სამინისტროების, სპორტული ფედერაციების, საჯარო სკოლების დირექტორების, სპორტის მუშაკებისა და ექსპერტების მონაწილეობით.

კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა გიორგი ასანიძე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტი ხორციელდება პარლამენტის თავმჯდომარის **დავით ბაქრაძის** პატრონაჟით.

კონფერენციის მონაწილეებს პროექტზე მუშაობის პირველი ეტაპის შედეგები გააცნო ვაჟა შუბლაძემ, რომელმაც შთამბეჭდავად და ღრმად გააანალიზა „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის არსებული მდგომარეობა, პროექტის ძლიერი და შემაფერხებელი მხარეები". კონფერენციაზე გამომსვლელებმა კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს პროექტთან დაკავშირებით.

მომდევნო კონფერენცია პროექტთან დაკავშირებით გაიმართება აგვისტოში და ალან ბელი ევროპის ქვეყნების გამოცდილებას წარმოადგენს. პროექტზე მუშაობა კი წლეულსვე, ნოემბერში დასრულდება და საქართველოს მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

**თენგიზ თომაშვილი**

ფარიკაობა

# ნაცნობი სახეები კვარცხლბეკზე

თბილისის, ქუთაისის, აჭარის, რუსთავისა და წყალტუბოს წარმომადგენლები მონაწილეობენ ფარიკაობაში საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელსაც ბათუმი მასპინძლობს.

შეჯიბრების დაწყებამდე საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის (პრეზიდენტი **არჩილ გოგელია**) ინიციატივით, ეროვნული კატეგორიის მსაჯების სემინარები გაიმართა, რომლის მსგავსი ღონისძიება ჩვენთან 5-6 წელიწადია, არ ჩატარებულა. როგორც ცნობილია, მუშკეტერთა საერთაშორისო ფედერაცია სისტემატურად ანახლებს საშეჯიბრო წესებს, ამიტომ მათი ცოდნა ჩვენი არბიტრებისა და მწვრთნელებისთვისაც აუცილებელია. წლევანდელ სემინარებში 12 მსაჯი მონაწილეობდა. ვიდეომასალის დახმარებით ისინი თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე უამრავ სიახლეს გაეცნენ, ცოდნის დონეც საგრძნობლად აიმაღლეს, რაც პირველი დღის პაექრობებმაც დაადასტურა.



სემინარის მონაწილეები

გუშინ ხმლით ფარიკაობაში 12-12 ქალ-ვაჟი გავიდა სარბიელზე. მედლებისთვის ბრძოლას მუხლის ტრავმის გამო გამოაკლდა **ლაშა მიქელაძე** (აჭარა). წინასწარ განაცხადში იყო შეყვანილი მისი თანაგუნდელი **ირაკლი ზამბახიძე,** რომელიც წლების განმავლობაში იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას. სამწუხაროდ, როგორც ფარიკაობის გენერალურმა მდივანმა **დავით სახვაძემ** გვაცნობა ბათუმიდან, ზამბახიძე გუშინწინ ავტოავარიაში მოყოლილა და თასის გათამაშებას გამოეთიშა.

ტურნირში კარგად იასპარეზეს **ბექა** და **სანდრო ბაზაძეებმა,** რომლებმაც ნახევარფინალში, შესაბამისად, **მიხეილ მარდალეიშვილი** (15:10) და **გიორგი გორგიძე** (15:11) დაამარცხეს (ოთხივე — ქუთაისი). ძმების დაძაბული ფინალური დაპირისპირება კი ერთი ჩხვლეტის უპირატესობით (15:14) **ბექა ბაზაძემ** (ბექა სანდროზე 4 წლით უფროსია) მოიგო.

ქალთა ნახევარფინალში **თეოდორა კახიანმა** (თბილისი) აშკარად დაჯაბნა **თამარ ტეტემაძე** (აჭარა) — 15:5, ხოლო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა **თათია აფციაურმა სოფიო კახიანს** (ორივე — თბილისი) აჯობა 15:7. გადამწყვეტ პაექრობაში აფციაურმა სოფიოს უმცროსი და — **თეოდორაც** დაამარცხა 15:12 და საქართველოს თასს დაეუფლა. საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში კვარცხლბეკზე უმთავრესად, სწორედ, ამ სპორტსმენებს ვხედავთ.

დღეს შეჯიბრებაში რაპირისტები ჩაებმებიან, ხვალ კი დაშნით მოფარიკავეები იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**



ბექა ბაზაძე

თანამშრომლობა



ზვიად სიჭინავა (მარცხნივ) და სერგო რატიანი



აჯილდოებს დიმიტრი ჯაფარიძე

სოფიო მანელიძის ფოტოები

# სფფ და ილიას უნივერსიტეტი

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თაოსნობით გამართულ წლევანდელ უნივერსიადაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 89 სტუდენტი სპორტსმენი მონაწილეობდა, რომლებმაც 17 სახეობაში 16 ოქროს, 13 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვეს ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **სერგო რატიანმა,** სპორტის ფაკულტეტის დეკანმა **დარეჯან ქობელაშვილმა,** ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანმა **დიმიტრი ჯაფარიძემ.**

ამავე ღონისძიებაზე სერგო რატიანმა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის საფუძველზე უნივერსიტეტის ბაკალავრიატის გუნდურ-ინდივიდუალური სპორტის სახეობების მწვრთნელის სპეციალობის სტუდენტებისთვის განკუთვნილ ფეხბურთის მწვრთნელთა განათლების C კატეგორიის ლიცენზიის პროგრამას და ფეხბურთის ფედერაციაში პრაქტიკას სტუდენტები სწავლის პარალელურად გაივლიან. ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ ლიცენზირების პროგრამას სფფ ახორციელებს უეფასთან გაფორმებული კონვენციის შესაბამისად. ფედერაციას სპეციალისტების მოსამზადებლად სისტემატურად ჩამოჰყავს ფრანგი და შვეიცარიელი პროფესიონალები, რომლებიც მეცადინეობებს ილიას უნივერსიტეტშიც ჩაატარებენ. სერგო რატიანს მიაჩნია, რომ ეს თანამშრომლობა დაეხმარება როგორც უმაღლეს სასწავლებელს, ასევე ფეხბურთის ფედერაციას, რათა მან არ დაკარგოს საუნივერსიტეტო აკადემიურ გარემოსთან კავშირი მომავალი პროფესიონალების აღსაზრდელად. მემორანდუმის გაფორმებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ვარნაში ორი ხელისუფალია

ექვსი ტურის შემდეგ ვარნის საერთაშორისო ტურნირზე 5-5 ქულით 6 მოჭადრაკე მეწინავეობდა. გუშინდელმა ორთაბრძოლებმა მათი რაოდენობა ორამდე შეამცირა. **მირჩა პარლიგრასმა** თეთრებით **დიან დიმოვი** დაამარცხა, ხოლო **პაველ დიმიტროვმა კრასიმირ რუსევს** სძლია. ორივე დიდოსტატმა 6-6 ქულა მოაგროვა და გათამაშების ცხრილს ჩაუდგნენ სათავეში.

ტურნირზე ერთდღიანი შესვენება შესანიშნავად გამოიყენა ქართველმა დიდოსტსტმა **დავით ჯოჯუამ,** რომელმაც გუშინ **ვალენტინ პანბუქჩიანს** აჯობა და ახლა ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება, ისევე, როგორც **დიმიტრი კომაროვი** და **ვლადიმირ გეორგიევი.** ისინი მე-6 ტურში დაზავდნენ.

დღეს ლიდერთა ჯგუფიდან ითამაშებენ: დიმიტროვი (6)-პარლიგრასი (6), გეორგიევი (5,5)-ჯოჯუა (5,5), რუსევი (5)-კომაროვი (5,5), დიმიტროვი (5)-საძიკოვსკი (5), დიმოვი (5)-დოკუჩაევი (5), კაზიმოვა (5)-სტიაშკინა (5). ათ მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი | ინტერვიუ ანატოლი ბოისასთან

# ძლიერ ნაკრებს კარგი ჩემპიონატი სჭირდება

**1 ივლისს საქართველოს ნაკრები ავსტრიაში შეიკრიბება. უცხოეთიდან ჩასულ ლეგიონერებს რამდენიმე კალათბურთელი საქართველოდან შეუერთდება. მათ შორის იქნება ანატოლი ბოისა, რომელიც 2004 წლის შემდეგ ეროვნულ გუნდშია.**

**ანატოლის ძირითადად სანაკრებო ამბებზე ველაპარაკეთ, თუმცა საუბარი საკლუბო თემით დავიწყეთ...**

**- რუსთავის „ენერჯიმ" ჩემპიონობა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა...**

- ვფიქრობ, ჩვენი გუნდი პირველობას იმსახურებდა. წლევანდელ სეზონში თსუ-მ სასიამოვნოდ გამაკვირვა - შესანიშნავად ითამაშა, ქომაგიც ბევრი ჰყავდა... ნამდვილად არ მეგონა, თსუელები ნახევარფინალურ სერიაში 3:0-ს თუ მოიგებდნენ. მათთან ფინალში ჩვენც გაგვიჭირდა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა.

**- „ენერჯის" „ავიამშენის" დაშლის შემდეგ, შუა სეზონში შეუერთდი...**

- „ავიაში" გამოსვლა ძალიან დამეხმარა: იქ მწვრთნელები სრულ კარტბლანშს მაძლევდნენ - შეტევაშიც და დაცვაშიც მნიშვნელოვანი როლი მეკისრებოდა. ეს სითამამე „ენერჯიშიც" გადამყვა - თუ მანამდე აქცენტს დაცვაზე ვაკეთებდი და შეტევისას ვფრთხილობდი, ამ სეზონში იერიშებსაც თავისუფლად ვასრულებდი...

**- ეს რუსთავში დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში გამოჩნდა - შსსსთან დაძაბულ მატჩში გადამწყვეტ მომენტში ორი სამქულიანი ჩააგდე.**

- „ენერჯიში" დაბრუნებამდეც ძალიან მინდოდა დამენახვებინა, რომ რუსთავიდან არ უნდა წავსულიყავი. განსაკუთრებული მონდომებით სწორედ „ენერჯის" წინააღმდეგ ვთამაშობდი. ხოლო გუნდში დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო მოვინდომე, რათა კიდევ ერთხელ მეჩვენებინა, რომ ჩემი გაშვება შეცდომა იყო. კარგად მახსენდება თსუ-სთან მატჩიც: ბოლო წამებზე მეტოქის კალათს შევუტიე და დათო ბარბაქაძეს ჯარიმა მივაღებინე. ის თამაში, ფაქტობრივად, იმ ორი ზუსტი საჯარიმოს წყალობით მოვიგეთ.

**- აქვე არ შეიძლება, ფინალური სერიის ბოლო მატჩი არ გავიხსენოთ...**

- საინტერესო შეხვედრა გამოვიდა, ბოლო წუთზე ჩაგდებული სამქულიანების წყალობით მატჩი ოვერტაიმში გადავიყვანეთ, სადაც თამაში ალმაფრენით განვაგრძეთ და წარმატებასაც მივაღწიეთ. ძირითადი დროის ბოლო წუთზე ჯერ ერთი დრიბლინგი დავასრულე ორქულიანით, შემდეგ სამქულიანი ავაცილე, თუმცა ბურთი ისევ მე მომივიდა და ვიცოდი, მეორედ რომ მესროლა, ნამდვილად ჩავაგდებდი და ასეც მოხდა. მოხარული ვარ, რომ გუნდის ჩემპიონობაში საკმარისი წვლილი მეც შევიტანე.

**- კარიერის გაგრძელებას სად აპირებ?**

- ჯერ არ ვიცი. სამწუხაროდ, არც რუსთავის „ენერჯის" ბედია გარკვეული. არადა, შარშან, სექტემბერში, საქართველოს ნაკრებმა A დივიზიონის საგზური რომ მოიპოვა, გვეგონა, შიდა ჩემპიონატსაც მოხედავდნენ, მაგრამ საპირისპირო სურათი მივიღეთ: შუა სეზონში „ავიამშენი" დაიშალა, ხოლო „ენერჯიში" 2008-09 წლების შემდეგ ხელფასები თითქმის განახევრდა. ასე რომ, წლეულს ევროპის ჩემპიონატის საგზურიც რომ მოვიპოვოთ, არა მგონია, შიდა ჩემპიონატს რამე ეშველოს. არადა, ეროვნული პირველობის მაღალი დონე სწორედ ნაკრებისთვისაა აუცილებელი. ახალგაზრდა კალათბურთელებმა ჯერ შიდა პირველობაზე უნდა აიმაღლონ კლასი, შემდეგ უცხოეთში დაიხვეწონ და ამის შემდეგ დაეხმარონ ნაკრებს. თუ ჩემპიონატი დაბალი დონისაა, მასში მოთამაშე კალათბურთელებით უცხოური კლუბები ნაკლებად დაინტერესდებიან.

- გვყავს ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც მაღალი კლასის ფორვარდია, მაგრამ მიჭირს იმის თქმა, ვინ ითამაშებს ნიკას შემცვლელად. არადა, ერთ კაცს სამ დღეში ერთხელ 40 წუთის თამაში ძალიან გაუჭირდება.

**- ვიქტორ სანიკიძესა და ქუინტონ ჰოსლისაც შეუძლიათ მძიმე ფორვარდად თამაში...**

- ვიქტორმა გასულ შესარჩევ ციკლში შესანიშნავად ითამაშა, თუმცა იგი ამპლუით მსუბუქი ფორვარდია, თავისუფალი ტიპის მოთამაშეა. რაც შეეხება ჰოსლის, ის აქამდე ან მსროლელად თამაშობდა, ან მსუბუქ თავდამსხმელად. ასეა თუ ისე, მჯერა, რომ იგორ კოკოშკოვი გუნდის თამაშს ისე გადააწყობს, რომ ვოვას არყოფნა არ დაეტყობა.



ანატოლი ბოისა (მარჯვნივ) ძმასთან, ვლადიმერთან ერთად

**- საქართველოს ნაკრების შანსებზე რას იტყვი?**

- კონკრეტულად შანსებზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ გუნდი პროგრესის გზაზეა და წინსვლა არც წლეულს შენელდება. ჩვენს ნაკრებს ნამდვილად შესწევს ძალა, თუნდაც პოლონეთთან და ბულგარეთთან წარმატებაზე იფიქროს, თუმცა ამისთვის ბევრი მუშაობაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, იგორ კოკოშკოვმა იცის, რა როგორ გააკეთოს.

**- შენი ძმა წლეულს ეროვნულს ვერ დაეხმარება...**

- ვოვას მუხლის სერიოზული ტრავმა აქვს და არ ვიცით, როდის გამოკეთდება. იგი 1998 წლიდან ნაკრებში იყო და როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა. მისი არყოფნა სერიოზული დანაკლისია.

**- შენი აზრით, ვინ დაიკავებს ვოვას ადგილს მძიმე ფორვარდის პოზიციაზე?**

**- სიტყვამ მოიტანა და, ახალწვეულებზე გკითხავ...**

- ტორინ გრინის თამაში მაინტერესებდა, თუმცა ინტერნეტში მხოლოდ ერთი მომენტი ვნახე: ბერძნული აეკ-ის მაისურით ბურთი შორი დისტანციიდან ეფექტურად რომ ჩააგდო. ჰოსლის კი ლამაზი ჩატენვები ჰქონია. მე არავინ მეკითხება, მაგრამ, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ერთი მძიმე ფორვარდის ნატურალიზაცია.

**- სანაკრებოდ მზადებას უკვე შეუდექი?**

- რუსთავის ქიმიკოსების დარბაზში ვემზადები. იქ ბურთთანაც ვმუშაობ და ტრენაჟორებზეც. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და არენის ხელმძღვანელობას მადლობა მოვახსენო. ვფიქრობ, პირველი ივნისისთვის ნორმალურ კონდიციებში ვიქნები, შემდეგ კი მზადებას ნაკრებთან ერთად ავსტრიაში განვაგრძობ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



# ამერიკის მეოთხე მოქალაქე საქართველოს ნაკრებში

სათაურიდანაც ნათელია, რომ საქართველოს ეროვნულ გუნდს ერთბაშად ამერიკის ოთხი მოქალაქე ეხმარება. ეს კარგია, მაგრამ საინტერესოა, ვისზეა ლაპარაკი. **ტორინ გრინსა** და **ქუინტონ ჰოსლის** ნატურალიზაციაზე უკვე გაუწყეთ. მათ გარდა ჩვენს ნაკრებში კიდევ ერთი ამერიკელია - **ჯეისონ სტაუდტი**, რომელიც **იგორ კოკოშკოვის** მეორე ასისტენტია.

გუშინ ამერიკის მოქალაქის პასპორტი იგორ კოკოშკოვს გადაეცა - „ფინიქსის" საშინაო, „ეალაინს არენაზე". ეს ამბავი ფინიქსურ გაზეთებს არ გამოპარვიათ და გაგვახსენეს, რომ ბატონი იგორი 1999 წელს მისურის კოლეჯის გუნდს ჩაუდგა სათავეში. 2000-ში კი NBA-ს პირველი ევროპელი მწვრთელი შეიქნა - „ლოს ანჯელეს კლიპერსში" ასისტენტად დაინიშნა. მას მერე სერბმა სპეციალისტმა „დეტროიტ პისტონსი" გამოიარა (ჩემპიონიც გახდა) და სადღეისოდ „ფინიქს სანსის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ტყვიის სროლა

# სომხებმა პირი გვიმუხთლეს

**ჩვენი** ტყვიის მსროლელები ემზადებიან მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპისთვის, რომელსაც 26 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით ბელგრადი უმასპინძლებს. ნაკრები ახლა ლვოვშია შეკრებაზე, სადაც მწვრთნელ **ვახტანგ სალუქვაძესთან** ერთად ოთხი სპორტსმენია - ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ლევან ქადაგიძე**, ახლახან გერმანულ ახალგაზრდულ ტურნირში ნაყოჩაღები **ნინო ფანჩულიძე** და სახელოვანი მესტენდურის, მსოფლიოს ჩემპიონ **თამაზ იმნაიშვილის** ვაჟი **თენგიზ იმანაიშვილი**.

„ლელო" ადრე წერდა, რომ ამ შეკრების გავლა ერევანში იგეგმებოდა, სადაც თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბაზაა. ბოლო წლებში იქაურობა ჩვენებისთვის ლამის მშობლიურ არენად იქცა, რადგან ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის იქ ემზადებიან და გერმანიაში სავარჯიშოდ წასვლა აღარ სჭირდებათ. ეს ყველანაირად გვაძლევს ხელს, რადგან სავარჯიშო პირობები ერთნაირია, ანუ ორივეგან მაქსიმალური ხელშეწყობაა, მაგრამ ფინანსურად შეუდარებლად იაფი ჯდება - ახლოა, სამეზობლოში. სომხებთან წინასწარ შეთანხმებას ახლაც იოლად მიაღწიეს, მაგრამ ბოლო მომენტში მეზობლებმა მიზეზების დაუსახელებლად პირი გვიმუხთლეს და ექსტრემალური ვითარება შეიქმნა - ან ისევ შინ უნდა გაევლოთ შეკრება, ან სასწრაფოდ მოეძებნათ ალტერნატივა სამეზობლოშივე, რადგან შორს წასასვლელი ფული არ ჰქონდათ. ასეთ მისაღებ ვარიანტად ლვოვი გამოიძებნა და გაემგზავრნენ კიდეც იქ. ეს შეკრება 23-ში დასრულდება, 24-ში კი თბილისში დაბრუნდებიან და ორიოდ დღეში ბელგრადში წავლენ, რაკიღა შეჯიბრების რეგლამენტი ამის საშუალებას აძლევთ - ჩვენებურთაგან ტურნირში პირველი სალუქვაძე ჩაებმება, რომელიც 28-ში ისვრის პნევმატური პისტოლეტით.

ბელგრადში მხოლოდ ორკაციანი გუნდი გვეყოლება - სალუქვაძე და ქადაგიძე გამოვლენ. ჯერჯერობით სხვების გაგზავნა არ იგეგმება, თუმცა გამორიცხულიც არაფერია.

სერბეთში სალუქვაძის მთავარი ამოცანა მსოფლიოს თასის სუპერფინალის საგზურის მოპოვება იქნება, საამისოდ კი ოქროს ან ვერცხლის მედალს უნდა დაეუფლოს. თუმცა, თუ ამ სინჯის მედალს უკვე ლიცენზირებული მოიპოვებს, მაშინ საგზური მომდევნოს გადაეცემა, ანუ ადგილმონაცვლეობის პრინციპი იმოქმედებს. ამდენად, იქნებ სუპერფინალში მოსახვედრად უფრო მოკრძალებული ადგილიც ეყოს, ვიდრე პირველ-მეორეზე გასვლა.

თავის მხრივ, მსოფლიოს თასი ერთ-ერთი ბოლო მოსამზადებელი ეტაპია მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც ივლის-აგვისტოს გასაყარზე მიუნხენში გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა | მეტოქე

# ბაროევი ბრუნდება

**ათენის** ოლიმპიადის ჩემპიონი და პეკინის თამაშების ვერცხლის პრიზიორი, რუსთა ოსი მძიმეწონოსანი **ხასან ბაროევი** სპორტს უბრუნდება - რუსეთის ჩემპიონატში იჭიდავებს. ამის შესახებ იქაური ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცმა **გოგი კოღუაშვილმა** განაცხადა. პეკინის ოლიმპიადის ფინალში კუბელ **მიჯაინ ლოპესთან** დამარცხების შემდეგ ბაროევს თითქმის არ უჭიდავია. მიზეზი ტრავმებიც იყო და მისი პირადი გადაწყვეტილებაც, ლონდონის ოლიმპიადისთვის საგანგებო გრაფიკით მომზადებულიყო, რის გამოც სპორტული პაუზა აიღო. მისი დაბრუნება თითქოს ევროპის ჩემპიონატისთვის იგეგმებოდა, მაგრამ „დიდი დასვენება" კვლავაც გაგრძელდა, ახლა კი, როგორც ეტყობა, საბოლოოდ მთავრდება.

რუსეთის პირველობა 18-20 ივნისს მოსკოვში გაიმართება და იქ კიდევ ერთი ტიტულოვანი ფალავანი გამოვა - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ისლამ-ბეკ ალბიევი**, რომელიც ამჯერად ზედა წონაში, 66-ში იასპარეზებს. შარშან დანიურ ჰერნინგში მსოფლიოს პირველობაზე გამარჯვების შემდეგ ინგუში ფალავანი ტრავმას მკურნალობდა და ევროპის პირველობაც ამ მიზეზით გამოტოვა, ჩვენი „ოქროს დიდი პრიზის" პარალელურად კი, ანუ თვის დასაწყისში გერმანულ დორტმუნდში საერთაშორისო ტურნირში იჭიდავა და ჩემპიონიც გახდა. ფინალში უნგრელი ევროპის ჩემპიონი, კონტინენტის წლევანდელი პირველობის მესამე პრიზიორი **ტომაშ ლორინცი** დაამარცხა.

თუმცა რუსეთის პირველობა ოთხ უტიტულოვანეს ფალავანსაც მოისაკლისებს. გოგი კოღუაშვილი ოლიმპიურ ჩემპიონებს - **ნაზირ მანკიევს** (55), **ალექსეი მიშინს** (84), **ასლანბეკ ხუშტოვს** (96) და ევროპის ზედიზედ ორგზის ჩემპიონ თანამემამულე **ამბაკო ვაჩაძეს** (66) ასვენებს. ვაჩაძის გარდა, ევროპის წლევანდელი პირველობა ხუშტოვმაც მოიგო, მანკიევი და მიშინი კი ფინალში დამარცხდნენ. *„ეს ფალავნები თავიანთი წონების გამოკვეთილი ლიდერები არიან და ევროპის ჩემპიონატზეც დამაჯერებლად გამოვიდნენ. ამიტომ ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ მამიაშვილთან შეთანხმებით, მათი დასვენება გადავწყვიტე, მათ ნაცვლად კი სხვებს გამოვცდით"* - ასე განმარტა თავისი გადაწყვეტილება კოღუაშვილმა. სექტემბრის დასაწყისში მოსკოვშივე გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატამდე მისი ნაკრები რამდენიმე მოსამზადებელ ეტაპს გაივლის - ყაბარდო-ბალყარეთის მთიანეთში შეკრებას გაივლის, მერე კი ორ შეჯიბრებაში გამოვა - ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირში და პოლონეთში პეტლიასინსკის მემორიალში, მაგრამ კოღუაშვილის გადაწყვეტილება გვაფიქრებინებს, რომ ამ ოთხეულს მსოფლიოს პირველობაზე წამსვლელ გუნდში ადგილები დაჯავშნული აქვს. კოღუაშვილმა კი განმარტა, კონკურენცია საერთაშორისო ტურნირებში გაირკვევაო, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ამათ კონკურენტებმა აჯობონ და მათი ქვეყნის პირველობიდან გათავისუფლებაც მრავლის მთქმელია. კოღუაშვილმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ჩემპიონატი განთესვით უნდა ჩატარდეს, რათა ძლიერები ერთ მხარეს, შედარებით სუსტები კი მეორე მხარეს არ დაჯგუფდნენ.

რაც შეეხება რუსეთის ჩემპიონატს თავისუფალ ჭიდაობაში, ის ოდნავ გვიან - 25-27 ივნისს ვოლგოგრადში ჩატარდება და, სავარაუდოდ, ტრადიციულად დაძაბული იქნება. ჯერჯერობით არ ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, ვინ იჭიდავებს ან ვინ გამოტოვებს ამ შეჯიბრებას, თუმცა უაღრესად დიდი კონკურენციის და ქიშპის გამო მოსალოდნელია, რომ ყველა უძლიერესი ფალავანი იასპარეზებს.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

IRB-ს ერთა თასი


საქართველო-შოტლანდია A

# ერთი შანსიც, ამჯერად თეორიული

საქართველოს ნაკრები ხვალ ბუქარესტში IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში ბოლო შეხვედრას გამართავს ნამიბიის ეროვნულ ნაკრებთან. „ბორჯღალოსნებმა" მეტოქე აუცილებლად უნდა დაამარცხონ, ვინაიდან ეს მატჩი ოფიციალური ტესტია და წაგების შემთხვევაში მსოფლიო რეიტინგში მინიმუმ ორი საფეხურით დაქვეითება მოგვიწევს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** მეორე ტურის მატჩში იტალიის A ნაკრებთან მარცხის შემდეგ შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. პირველ ხაზში კვაჭის პოზიციაზე ამ ტურნირში პირველად ითამაშებს **დავით დადუნაშვილი**. აღსანიშნავია, რომ ის მესამეა, ვინც ბუქარესტში ამ პოზიციაზე დადგება.

პირველ მატჩში, შოტლანდიის A ნაკრებთან შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** იყო, მეორეში - **ირაკლი ნატრიაშვილი**. ორივე ამჯერად თადარიგშია. საგულისხმოა, რომ სათადარიგოებში ტიმ ლეინმა სამი პირველხაზელი შეიყვანა. შერკინების მესამე ბურჯი **ვასილ კაკოვინია**. ნამიბიასთან თამაშს კი **კარლენ ასეიშვილი** და **ბექა შეყლაშვილი** დაიწყებენ.

მეორე ხაზში ავსტრალიელმა ისევ გამოცდილებს მიანიჭა უპირატესობა. ძირითად შემადგენლობაში **კახაბერ უჩავა** და **შალვა სუთიაშვილი** ითამაშებენ. **კოტე მიქაუტაძე** კი ამჯერად სათადარიგოთა სკამიდან მიადევნებს თამაშს თვალს.

მესამე ხაზში ლეინმა **სიმონ მაისურაძე** დააბრუნა. რვა ნომრის პოზიციაზე კი ითამაშებს **ვიქტორ კოლელიშვილი**, რომელიც იტალიის A ნაკრებთან შეცვლაზე შევიდა. ორი თამაში უცვლელად ითამაშა **ლაშა თავართქილაძემ**, რომელიც ამჯერადაც ძირითად შემადგენლობაშია.

ცხრა და ათი ნომრები, ტრადიციულად, **ბიძინა სამხარაძე** და **მერაბ კვირიკაშვილი** იქნებიან. ქუთაისის „აიას" ცხრა ნომერი **გიორგი როხვაძე** ამჯერად სათადარიგოთა შორისაც არ არის. იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა სამხარაძე შესაცვლელი გახდება, მოედანზე, ალბათ, **ლაშა ხმალაძე** შევა და მგეზავის პოზიციას დაიკავებს. ცხრა ნომერზე კი კვირიკაშვილი გადავა.

უკანა ხაზში ერთი ცვლილებაა. შუამარბად **გიგა კორკელიას** ნაცვლად **რეზო გიგაური** ითამაშებს. თადარიგში იქნებიან ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** და **მამუკა ნინიძე**, რომელიც უნივერსალია და შეუძლია მგეზავად, შუამარბად და ფულბეკად ითამაშოს.

სატურნირო ცხრილში პირველ-მეორე ადგილებს რვა-რვა ქულით ნამიბიისა და იტალიის A ნაკრებები იყოფენ. საქართველოს ნაკრებს პირველი ადგილის დაკავებისა და ტურნირის მოგების თეორიული შანსი აქვს.

ამისთვის „ბორჯღალოსნებმა" ნამიბიას ოთხი ლელო უნდა გაუტანონ, რისთვისაც ერთ პრემიალურ ქულას მიიღებენ. ამასთან ერთად, რუმინეთის ნაკრებმა იტალიის A ნაკრები უნდა დაამარცხოს, ოღონდ ისე, რომ პრემიალური ქულა ვერ მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტურნირს იტალიელები მოიგებენ და საქართველოს ნაკრები მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდება.

### საქართველოს ნაკრები

15. მალხაზ ურჯუკაშვილი, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. თედო ზიბზიბაძე, 12. რეზო გიგაური, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ბიძინა სამხარაძე

1. კარლენ ასეიშვილი, 2. დავით დადუნაშვილი, 3. ბექა შეყლაშვილი, 4. შალვა სუთიაშვილი, 5. კახაბერ უჩავა, 6. სიმონ მაისურაძე, 7. ლაშა თავართქილაძე, 8. ვიქტორ კოლელიშვილი

16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. ვასილ კაკოვინი, 18. კოტე მიქაუტაძე, 19. ჯაბა ბრეგვაძე, 20. ლაშა ხმალაძე, 21. მამუკა ნინიძე, 22. ირაკლი ყიასაშვილი

### III ტური

საქართველო-ნამიბია, იტალია A-რუმინეთი, არგენტინა A-შოტლანდია A

სატურნირო მდგომარეობა: 1. იტალია A - 8 ქულა, 2. ნამიბია - 8, 3. რუმინეთი - 5, 4. საქართველო - 4, 5. შოტლანდია - 2, 6. არგენტინა - 1

ტესტები

# ბოლოსწინა ტურის ბოლო სამზადისი

ივნისის ტესტების ბოლოსწინა კვირა საინტერესო ორთაბრძოლებს გვპირდება. სამხრეთ ნახევარსფეროში ჩრდილოელებმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს და ისიც სენსაციურად. შოტლანდიელთა გამარჯვებას არგენტინაში არავინ ელოდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, სასწაულს ისევ „სკოტებისგან" უნდა ველოდოთ.

მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკის ნაკრები პრეტორიასთან ახლოს, ვაითბანკში იტალიის ეროვნულ გუნდს მასპინძლობს. „ბოკესთვის" ეს ზედიზედ მესამე ტესტია. წინა ორი უელსში და შინ საფრანგეთის ნაკრებთან, სამხრეთაფრიკელებმა დამაჯერებლად მოიგეს.

ცხადია, „ბოკე" იტალიის ნაკრებთანაც ფავორიტია. მთავარმა მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენა. „სკუადრა აძურასთან"არ ითამაშებენ **ჟაკ ფური, ვინანდ ულიფიე** და **დენი როსუ**. ტრავმირებულია გუნდის კაპიტანი **ჯონ სმიტი,** რომელსაც **ჩილიბოი რელეპელე** შეცვლის.

სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია დაუმთავრდა და „ბოკეს" შემადგენლობაში წლეულს პირველად ითამაშებს მეორეხაზელი **ბაკის ბოთა.** გუნდის კაპიტნის სამკლავური, სრულიად დამსახურებულად, დე ფილიერსმა კიდევ ერთ მეორეხაზელ **ვიქტორ მეტფილდს** ანდო.

იტალიის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა. მძიმე ტრავმის შემდეგ მწყობრშია რვა ნომერი **სერჯო პარისე.** იტალიელების პირველი ხაზის ძალა საყოველთაოდაა ცნობილი, თუმცა, სავარაუდოდ, მარტო ამ კომპონენტში უპირატესობა გამარჯვებისთვის საკმარისი არ იქნება.

1995 წლიდან დღემდე, ამ გუნდებს შორის რვა შეხვედრა გაიმართა და რვავე სამხრეთაფრიკელებმა მოიგეს. planetrugby-ს პროგნოზით, „ბოკე" ამჯერადაც გაიმარჯვებს, მინიმუმ 20 ქულით.

საკმაოდ საინტერესო მატჩი ელით რაგბის ქომაგებს სიდნეიში. „ოზი სთედიუმზე" ავსტრალიელები ინგლისის ნაკრებს უმასპინძლებენ. ეს გუნდები ერთი კვირის წინაც შეხვდნენ ერთმანეთს პერთში და გამარჯვება „ვოლაბებს" დარჩათ - 27:17.

იმ მატჩისგან განსხვავებით, „ვოლაბიზი" საკმაოდ გაძლიერდა. ტრავმა მოიშუშა და მწყობრშია გუნდის მთავარი დამრტყმელი **მეთ გიტო.** ცხრა ნომრის პოზიციაზე კი **ლუკ ბერჯესს** ზე 14-ის წლევანდელი გათამაშების საუკეთესო ცხრა ნომერი **ვილი გენია** შეცვლის.

სამაგიეროდ, ისევ პრობლემურია „ვოლაბების" პირველი ხაზი. „პომები" წარმატების მიღწევას სწორედ ამ კომპონენტში უპირატესობის გამოყენებით შეეცდეა+ბიან. ინგლისელთა თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** ისევ სათადარიგოთა შორის დაასახელა მგეზავი **ჯონი ვილკინსონი.** უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯონსონი ცდილობს, უმძიმეს ბრძოლებში ახალგაზრდა **ტობი ფლუდი** გამოაწრთოს.

planetrugby-ს აზრით, ავსტრალია, სულ მცირე, 12 ქულით მოიგებს.

არგენტინის ნაკრები რევანშის აღებას შეეცდება ბუენოს აირესში შოტლანდიის ნაკრებთან. „პუმების" მარცხი ერთი კვირის წინ სენსაციად შერაცხეს. ასეც არის. „ნარშავები" ბობოლათა რანგს კი განეკუთვნებიან, მაგრამ წელიწადში დიდი-დიდი, ორი მატჩი მოიგონ. ახლა „სკოტებს" არგენტინელების ზედიზედ ორჯერ დამარცხების შანსი აქვთ. მათი მთავარი იმედი ისევ **დენ პარქსია**, რომელმაც პირველ მატჩში ყველა, 24 ქულა მოიპოვა.

იმის გათვალისწინებით, რომ არგენტინა შინ ზედიზედ ორჯერ, ფაქტობრივად, არ აგებს, planetrugby ფიქრობს, რომ „პუმები" მინუმუმ ხუთი ქულით მოიგებენ.

### ავსტრალია-ინგლისი

ავსტრალია: 15. ჯეიმზ ოკონორი, 14. დიგბი იოანი, 13. რობ ჰორნი, 12. მეთ გიტო, 11. დრიუ მიტჩელი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია

1. ბენ დეილი, 2. სალა ფაინგაა, 3. სალესი მააფუ, 4. დენ მამი, 5. ნათან შარფი, 6. როკი ელსომი, 7. დავიდ პოქოქი, 8. რიჩარდ ბრაუნი

16. ჰაია ედმონდსი, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. მარკ ჩისჰოლმი, 19. მეთ ჰოჯსონი, 20. ლუკ ბერჯესი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. ადამ ეშლი-კუპერი

ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. მარკ კეიტო, 13. მაიკ თინდოლი, 12. შონთაი ჰეპი, 11. კრის ეშტონი, 10. ტობი ფლუდი, 9. ბენ იუნგზი

1. ტიმ პაინი, 2. სტივ თომპსონი, 3. დენ კოლი, 4. კორტნი ლავი, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ კროფტი, 7. ლუის მუდი, 8. ნიკ ისთერი

16. ჯორჯ ჩატერი, 17. დევიდ ვილსონი, 18. საიმონ შოუ, 19. ჯეიმზ ჰესკელი, 20. დენი კერი, 21. ჯონი ვილკინსონი, 22. დელონ ერმითიჯი

მსაჯი: რომენ პუატიე (საფრანგეთი)

### ახალი ზელანდია-უელსი

ახალი ზელანდია: 15. იზრაელ დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. ბენსონ სტენლი, 11. კო როკოთოკო, 10. დენ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი

1. ბენ ფრენქსი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ენტონი ბორიჩი, 6. ვიქტორ ვიტო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი

16. ელ დე მალმანჩი, 17. ტონი ვუდქოქი, 18. სემ ვაითლოქი, 19. ადამ თომსონი, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ კრადენი, 22. რიჩარდ კაჰუი

უელსი: 15. ლი ბირნი, 14. ლეიგ ჰალპფენი, 13. ენდრიუ ბიშოპი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ტომ პრიდლი, 10. სტივენ ჯოუნზი, 9. მაიკ ფილიპსი

1. პაულ ჯეიმზი, 2. მეთიუ რისი, 3. ადამ ჯოუნსი 4. ბრედლი დევისი, 5. ალუნ-ვინ ჯოუნზი, 6. ჯონათან თომასი, 7. გევინ თომასი, 8. რაიან ჯოუნზი

16. ჰიუ ბენეტი, 17. ჯონ ჰაპი, 18. დენიელ ჯოუნზი, 19. რობ მაკასკერი, 20. ტევის ნოილი, 21. დენ ბიგარი, 22. ჯონათან დევისი

მსაჯი: ჯორჯ კლანსი (ირლანდია)

### სამხრეთ აფრიკა-იტალია

სამხრეთ აფრიკა: 15. ზენ კირშნერი, 14. ხიო ეპლონი, 13. იან დე ფილიერსი, 12. ბუჩ ჯეიმზი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. რიკი იანუარი

1. ხუთრო სტენკამპი, 2. ჩილიბოი რელეპელე, 3. იან დუ პლესი, 4. ბაკის ბოთა, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. ფრანსუა ლავი, 7. დიუვალ პოტხიტერი, 8. პიერ სპისი

16. ბანდის მაკუ, 17. სი ჯეი დერ ლინდე, 18. ალისტერ ჰარგრეივსი, 19. რაიან კანკოვსკი, , 20. რუან პინარი, 21. იუან დე იონგი, 22. ბიორნ ბესო

იტალია: 15. ლუკ მაკლინი, 14. კინ რობერტსონი, 13. ანდრეა მასი, 12. მატეო პრატიკეტი, 11. მირკო ბერგამასკო, 10. კრეიგ გოვერი, 9. ტიტო ტებალდი

1. სალვატორე პერუჯინი, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. მარტინ კასტროჯოვანი, 4. ვალერიო ბერნაბო, 5. კვენტინ გელდენჰაუზი, 6. სიმონე ფავარო, 7. ალესანდრო ძანი, 8. სერჯო პარისე

16. ფაბიო ონგარო, 17. ლორენცო ჩიტადინი, 18. მარკო ბორტოლამი, 19, პაულ დერბიშირი, 20. სიმონე პიკონე, 21. რიკარდო ბოჩინო, 22. გონსალო კანალე

მსაჯი: ენდრიუ სმოლი (ინგლსი)

### არგენტინა-შოტლანდია

არგენტინა: 15. მარტინ როდრიგესი, 14. ლუკას გონსალესი, 13. გონსალო ტესი, 12. სანტიაგო ფერნანდესი, 11. ორასიო აგულა, 10. ფელიპე კონტეპომი, 9. ავგუსტინ ფიგუეროლა

1. როდრიგო რონკერო, 2. მარიო ლედესმა, 3. მარტინ სკელსო, 4. მანუელ კარისა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ჯენარო ფესია, 7. ხუან ლეგუსამონი, 8. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე

16. მარკოს აიერსა, 17. სანტიაგო გუსმანი, 18. ალეხანდრო კამპოსი, 19. ავგუსტინ კრევი, 20. ნიკოლას ვარგალო, 21. რაფაელ კარბალო, 22. ლუკას ბორხესი

შოტლანდიის ნაკრები: 15. ჰუგო საუთვილი, 14. შეან ლამონტი, 13. მაქს ევანსი, 12. გრემ მორისონი, 11. საიმონ დენიელი, 10. დენ პარქსი, 9. ლორი ლაუსონი

1. ალან ჯაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. მურეი ლოუ, 4. ჯიმ ჰემილტონი, 5. ალისტერ კელოკი, 6. კელი ბრაუნი, 7. ჯონ ბარკლი, 8. ჯონ ბითი

16. სკოტ ლაუსონი, 17. ალასდაირ დიკინსონი, 18. სკოტ მაკლოიდი, 19. ალასდაირ სტროკოში, 20. მაიკ ბლერი, 21. ფილ გოდმენი, 22. ნიკ დე ლუკა

მსაჯი: კრისტოფ ფერდოსი (საფრანგეთი)

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



არგენტინა-შოტლანდია

www.sport.gov.ge

ჩოგბურთი — უიმბლდონის წინ

# ვინ ვინ არის?

**ორშაბათს უიმბლდონის კორტებზე „დიდი სლემის“ სერიის მესამე ტურნირი იწყება. სტარტამდე განვიხილოთ რეიტინგის წამყვანი ჩოგბურთელების შანსები, მით უმეტეს, რომ უიმბლდონის წინ ყველა მათგანმა მოასწრო ბალახის კორტებზე ძალების მოსინჯვა.**

**როჯერ ფედერერი** 2004 წლიდან მოყოლებული ყოველთვის უიმბლდონის ფავორიტად მიიჩნევა. თუმცა დღეს შვეიცარიელი გამარჯვების არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი პრეტენდენტია, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედ ჩოგბურთელებს შორის ბალახის კორტებზე ყველაზე მეტი ტიტული აქვს მოპოვებული (11, მათ შორის ექვსი - უიმბლდონზე). შვეიცარიელი თავად არის დამნაშავე ძალთა ამგვარ თანაფარდობაში - წელს ავსტრალიის ღია პირველობის გარდა, მან ვერსად აჩვენა თავისი საუკეთესო ჩოგბურთი. ბევრს ელოდნენ შვეიცარიელისგან როლან გაროსზე, მაგრამ იქ სასწაული არ მოხდა, უფრო მეტიც, სწორედ პარიზის კორტებზე შეწყდა როჯერის ფენომენური სერია - „დიდი სლემის“ ტურნირებზე ზედიზედ 23-ჯერ ნახევარფინალში გასვლა. ამის შემდეგ ფედერერმა პირველი ადგილი დაკარგა რეიტინგში და ვერ შეძლო ჰალეში თავის ერთ-ერთ საყვარელ ტურნირზე გამარჯვება. მაშინ მან მეორე სეტის ბოლო და მესამე სეტის პირველი ნაწილი ჩააგდო **ლეიტონ ჰიუიტთან** ფინალურ შეხვედრაში. ამ ტურნირზე შვეიცარიელის წინა წაგება 2002 წლის ივნისით თარიღდებოდა. რა თქმა უნდა, ფედერერს შეუძლია უიმბლდონზე თავისი საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება და თუ ამას მოახერხებს, ისევ გახდება მთავარი ფავორიტი.

მით უმეტეს, რომ **რაფაელ ნადალი** ლონდონის „ქიუნზ კლაბზე“ არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა და აშკარად ეტყობოდა დისკომფორტი მარჯვენა ფეხზე. თუმცა ეს ტურნირი, რომელიც ესპანელს 2008 წელს აქვს მოგებული, მხოლოდ უიმბლდონისთვის სამზადისია, თვით დიად **პიტ სამპრასს** იქ მხოლოდ ორჯერ აქვს მოგებული მთავარი პრიზი. თანაც ხანგრძლივი სათიხნარო სეზონი ოთხი დიდი გამარჯვებით აშკარად დაეტყო ნადალის ფიზიკურ მდგომარეობას. ვინც ესპანელს იცნობს, ეჭვი არ ეპარება, რომ ის უიმბლდონზე 200 პროცენტით დაიხარჯება. ფედერერთან ერთად სწორედ ის უნდა მივიჩნიოთ ტურნირის მთავარ ფავორიტად. ესპანელის ძირითადი მინუსი ფიზიკური მდგომარეობის გარდა, იმაში მდგომარეობს, რომ ორი წელია ბალახზე სერიოზულ მოწინააღმდეგეს არ შეხვედრია.

მესამე პრეტენდენტია **ენდი მიურეი**. ბოლო ტურნირებზე ბრიტანელი უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, თანაც მიურეის ადგილობრივი პუბლიკის მხარდაჭერა გარანტირებული ექნება, მაგრამ ამას ერთი ნაკლი აქვს - ენდი შეიძლება ისევე „გადაიწვას“, როგორც ეს შარშან ნახევარფინალში **ენდი როდიკთან** მატჩში მოხდა. იგივე სენი სჭირდა თავის დროზე **ტიმ ჰენმანს**. „ქუინს ქლაბზე“ ენდიმ **მარდი ფიშთან** წააგო, მაგრამ ჯერ ერთი ამერიკელმა ტურნირის მსვლელობისას კარგი ფორმა აკრიფა, გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ - ეს ტურნირი უიმბლდონისთვის მზადებას ემსახურება და არ არის აუცილებელი იქ საუკეთესო ფორმის ჩვენება. ასე რომ, „დიდი სლემის“ საშინაო ტურნირზე ბრიტანელს შეუძლია მაღალი შედეგის იმედი ჰქონდეს.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ ვახსენოთ შარშანდელი ფინალისტი **ენდი როდიკი**, თუმცა ამერიკელის ამჟამინდელი ფორმა აბსოლუტურად გაურკვეველია. მაიამის მასტერსზე ტრიუმფის შემდეგ, ენდიმ გამოტოვა მთელი სათიხნარო სეზონი როლან გაროსის გარდა, სადაც ორი მძიმე გამარჯვების შემდეგ, მესამე წრეში **თეიმურაზ გაბაშვილთან** წააგო. შემდეგ იყო „ქუინზ ქლაბი“. იქ ერთ მოგებას როდიკმა **დუდი სელასთან** პირწმინდად წაგებული მატჩი დაუმატა, არადა ამ ტურნირზე ამერიკელი ყოველთვის წარმატებით თამაშობდა. მართალია, ბალახის საფარი მისი თამაშისთვის არის ზედგამოჭრილი, მაგრამ სელასთან მატჩში ენდი თავის თავს არ ჰგავდა. ამიტომაც მისი შანსები უიმბლდონზე საკმაოდ ბუნდოვანი ჩანს.

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** - კიდევ ერთი ფარული ფავორიტი. თითქოს სერბს ყველაფერი აქვს წარმატების მისაღწევად, მაგრამ ზედიზედ მეორე წელია რაღაც არ ჰყოფნის „დიდი სლემის“ ტურნირზე წარმატების მისაღწევად. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ნაკლებად აქტიური თამაში, სტაბილურობის დეფიციტი ან ჯანმრთელობის პრობლემები. ფაქტია, რომ ამ სეზონში ნოვაკი არც ერთხელ არ გასულა სავალდებულო ტურნირის ფინალში, როლან გაროსის მეოთხედფინალში კი ორსეტიანი უპირატესობა გაანიავა ავსტრიელ **იურგენ მელცერთან**, რაც მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე კარგად ვერ იმოქმედებდა. „ქუინზ ქლაბზე“ ჯოკოვიჩმა სამ სეტში წააგო **ქსავიე მალისთან**.

შვედ **რობინ სიოდერლინგს** როლან გაროსზე ზედიზედ მეორე ფინალის შემდეგ ოფიციალურ ტურნირზე არ უთამაშია, ამიტომაც შეუძლებელია იმის თქმა, როგორ შეეწყობა ის ბალახის საფარს. პრინციპში სათამაშო სტილიდან გამომდინარე, სიოდერლინგს ბალახზე თამაში არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უიმბლდონზე სკანდინაველს მეოთხედფინალამდე არასოდეს მიუღწევია. ბოლო სამი წელია სიოდერლინგს წილისყრის მხრივ კატასტროფულად არ უმართლებდა - 2007 წელს ის რაფაელ ნადალმა შეაჩერა, 2008 და 2009 წლებში - როჯერ ფედერერმა. მოკლედ, რობინი მომავალი უიმბლდონის კიდევ ერთი ამოუცნობი მოთამაშეა.

უიმბლდონზე „ელიტის მეორე ეშელონის“ სხვა მოთამაშეებმაც შეიძლება „გაისროლონ“. ესენი არიან: **ფერნანდო ვერდასკო, ტომაშ ბერდიხი, ჟო-ვილფრიდ ცონგა** და **მარინ ჩილიჩი**...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## უიმბლდონი. კაცების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

- ფედერერი (შვეიც, 1)
- ფალა (კოლ)
- ბოჟოლიაკი (სერ)
- მასუ (ჩილ)
- ტიპსარევიჩი (სერ)
- კლემანი (საფ)
- ლუჩაკი (ავსტრა)
- რობრედო (ესპ, 30)
- ფ. ლოპესი (ესპ, 22)
- ლევინე (აშშ)
- ბერანკისი (ლით)
- ბოლი (ავსტრა)
- კუნიცინი (რუს)
- ტროიცკი (სერ)
- ბრაუნი (იამ)
- მელცერი (ავსტრია, 16)
- ბერდიხი (ჩეხ, 12)
- გოლუბევი (ყაზ)
- სვიტინგი (აშშ)
- ბეკერი (გერ)
- ტურსუნოვი (რუს)
- შუტლერი (გერ)
- ისტომინი (უზბ)
- ვავრინკა (შვეიც, 20)
- ჰანესკუ (რუმ, 31)
- კუზნეცოვი (რუს)
- ილჰანი (თურ)
- დანიელი (ბრა)
- ანდრეევი (რუს)
- ბრანდსი (გერ)
- ანდერსონი (ს. აფრ)
- დავიდენკო (რუს, 7)
- ჯოკოვიჩი (სერ, 3)
- ო. როხუსი (ბელ)
- ჩელა (არგ)
- დენტი (აშშ)
- ევანსი (აშშ)
- ჰუტა გალუნგი (ჰოლ)
- ლორენცი (იტა)
- მონტანიესი (ესპ, 28)
- მონფილსი (საფ, 21)
- ლ. მაიერი (არგ)
- კ. ბეკი (სლოვაკ)
- პეტცშნერი (გერ)
- შვანკი (არგ)
- კოროლიოვი (ყაზ)
- მ. გონსალესი (არგ)
- ჰიუიტი (ავსტრა, 15)
- ჩილიჩი (ხორ, 11)
- ფ. მაიერი (გერ)
- ფიში (აშშ)
- ტომიჩი (ავსტრა)
- სებალიოსი (არგ)
- ლუ (ტაივ)
- პრსიეჟნი (პოლ)
- ლუბიჩიჩი (ხორ, 17)
- კოლშრაიბერი (გერ, 29)
- სტარაჩე (იტა)
- დელგადო (პარ)
- გაბაშვილი (რუს)
- ლოდრა (საფ)
- ვიტენი (აშშ)
- რამი (აშშ)
- როდიკი (აშშ, 5)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

- ვერდასკო (ესპ, 8)
- ფონინი (იტა)
- რასელი (აშშ)
- რიბა-მადრიდი (ესპ)
- ა. ბეკი (გერ)
- ბეიკერი (ბრიტ)
- ვლიეგენი (ბელ)
- ბენეტო (საფ, 32)
- ალმაგრო (ესპ, 19)
- სეპი (იტა)
- კამკე (გერ)
- გარსია ლოპესი (ესპ)
- ჩიუდინელი (შვეიც)
- დოლგოპოლოვი (უკრ)
- კენდრიკი (აშშ)
- ცონგა (საფ, 10)
- ფერერო (ესპ, 14)
- მალისე (ბელ)
- რაისტერი (გერ)
- დე ვოესტი (ს. აფრ)
- ერნანდესი (ესპ)
- დოდიგი (ხორ)
- სტახოვსკი (უკრ)
- კუერი (აშშ, 18)
- სიმონი (საფ, 26)
- ალკაიდე (ესპ)
- მარჩენკო (უკრ)
- ბერერი (გერ)
- ნიემინენი (ფინ)
- კუბეკი (ავსტრია)
- ჰაიეკი (ჩეხ)
- მიურეი (ბრიტ, 4)
- სიოდერლინგი (შვედ, 6)
- ჯინეპრი (აშშ)
- ჟილი (პორ)
- გრანოლერსი (ესპ)
- სოედა (იაპ)
- ფიშერი (ავსტრია)
- მელო (ბრა)
- ბელუჩი (ბრა, 25)
- ბალდატისი (კვიპ, 24)
- ლაჩკო (სლოვაკ)
- შარდი (საფ)
- ხიმენო ტრავერო (ესპ)
- გროილი (გერ)
- სერა (საფ)
- კიფერი (გერ)
- ფერერი (ესპ, 9)
- იუჟნი (რუს, 13)
- სელა (ისრ)
- ჟიკელი (საფ)
- მატიო (საფ)
- ბე ბაკერი (ჰოლ)
- ხირალდო (კოლ)
- მაუ (საფ)
- ისნერი (აშშ, 23)
- გულბისი (ლატ, 27)
- რობერი (საფ)
- კავჩიჩი (სლოვენ)
- კუბოტი (პოლ)
- ჰაასე (ჰოლ)
- ბლეიკი (აშშ)
- ნიშიკორი (იაპ)
- ნადალი (ესპ, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# არის პირველი გაცვლა



ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ამ ზაფხულს პირველი გაცვლა განხორციელდა. მისი ავტორები „ფილადელფია" და „საკრამენტო" გახდნენ.

„სიქსერზმა" თავისი ერთ-ერთი ცენტრი **სამუელ დალემბერი** დათმო, სანაცვლოდ კი „საკრამენტოდან" არგენტინელი ფორვარდი **ანდრეს ნოჩიონი** და ცენტრი **სპენსერ ჰოვსი** მიიღო.

მომავალ სეზონში დალემბერი 12.9 მილიონ დოლარს მიიღებს და თავისუფალი აგენტი გახდება. რვა წლის განმავლობაში, რომელიც მან „ფილადელფიაში" გაატარა, საშუალოდ 8.1 ქულა და 8.3 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ცენტრი **გრეგ ოდენი** სულ მალე სრულფასოვან ვარჯიშებს დაიწყებს. NBA-ის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და უიღბლო კალათბურთელი 2009 წლის 6 დეკემბერს ტრავმირებულ მუხლზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ჯერაც სარეაბილიტაციო კურსს გადის.

დღეისთვის ოდენი ველოტრენაჟორზე, სარბენ ბილიკსა და აუზზე მსუბუქად ვარჯიშობს.

*„ძალიან მინდა მოედანზე დაბრუნება. უბრალოდ გავიდე სათამაშოდ და ვაჩვენო ის, რაც შემიძლია. ახლა ფსიქოლოგიურად რთული მომენტი მაქვს, მაგრამ საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ. შევეცდები, ამ ზაფხულს ნაყოფიერად ვიმუშაო და ჯანმრთელმა დავიწყო ახალი ჩემპიონატი"*, - ამბობს ოდენი.

გასულ სეზონში ოდენმა მხოლოდ 21 მატჩის ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 11.1 ქულა და 8.5 ქულა მიითვალა.

■ ■ ■

ცნობილი მწვრთნელი **ბაირონ სკოტი** ასრულებს ტელევიზიაში ანალიტიკოსად მუშაობას და სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას აპირებს.

სკოტს ერთი კვირის წინ „კლივლენდ კავალიერზის" ხელმძღვანელობა შეხვდა, თუმცა ეს სპეციალისტი ამ გუნდისთვის სათადარიგო ვარიანტი იყო, რადგან „კლივლენდს" **ტომ იზოს** გადაბირება სურდა. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა და შესაბამისად, სკოტი ნომერ პირველი კანდიდატი გახდა.

საინტერესოა, რომ თავად სკოტს „ლეიკერსის" გაწვრთნის სურვილიც აქვს, თუ, რა თქმა უნდა, **ფილ ჯექსონი** არ დატოვებს პოსტს. თუმცა მისი მთავარი პრიორიტეტი - „კლივლენდი" და **ლებრონ ჯეიმსია**.

# პაოშ იასიკიავიჩუსი გაუშვა

საბერძნეთის ჩემპიონმა „პანათინაიკოსმა" გადაწყვიტა, არ გააგრძელოს კონტრაქტი ლიტველ ვეტერან **შარუნას იასიკიავიჩუსთან** - კლუბმა არ გამოიყენა ხელშეკრულებაში არსებული პუნქტი, რომელიც კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივებას ითვალისწინებდა და 34 წლის კალათბურთელი თავიდან მოიშორა.

ასე რომ, იასიკიავიჩუსი თავისუფალი აგენტი გახდა და სავარაუდოდ, თელ-ავივის „მაკაბიში" დაბრუნდება, სადაც მას უკვე ელიან.

ეს სეზონი ბალტიისპირელისთვის აშკარად არ იყო საუკეთესო. ის საშუალოდ მოედანზე 16 წუთს ატარებდა და 8 ქულასა და 2.5 შედეგიან პასს აგროვებდა.

■ ■ ■

23 წლის თურქი ცენტრი **ომერ აშიქი** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გამგზავრებას აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ აშიქის ბედი მომავალ კვირას გაირკვევა, თურქული პრესა დარწმუნებულია, რომ „ფენერბაჰჩეს" ლიდერი თურქეთის ჩემპიონის შემადგენლობაში არ დარჩება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ კალათბურთელზე უფლება „ჩიკაგო ბულზს" გააჩნია, ადვილად ვივარაუდებთ, რომ ომერი სწორედ „ხარების" რიგებში გააგრძელებს კარიერას.

„ჩიკაგომ" 2008 წლის დრაფტზე 36-ე ნომრად აირჩია აშიქი. ამ სეზონში ცენტრმა მატჩების დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა. მისი საშუალო მაჩვენებელი 10.8 ქულასა და 6.2 მოხსნას შეადგენდა.

■ ■ ■

სკანდალით დასრულდა სერბეთში პლეი ოფის მატჩი „ჰემოფარმსა" და „პარტიზანს" შორის. მოედანზე ამტყდარი გრანდიოზული ჩხუბის გამო მსაჯებმა 18 კალათბურთელი გააძევეს.

სერბული პრესის ცნობით, ბურთისთვის ბრძოლაში ორი კალათბურთელი შეეჯახა ერთმანეთს, რის შემდეგაც დაიწყო ჩხუბი, რომელშიც საერთო ჯამში 24 კალათბურთელი მონაწილეობდა. არასპორტული საქციელისთვის მსაჯებმა ცხრა-ცხრა მოთამაშე გააძევეს მოედნიდან და თამაში სამი სამზე გაგრძელდა. გამარჯვება ბელგრადის „პარტიზანმა" მოიპოვა.

■ ■ ■

სლოვენიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მეჰმეთ ბეჩიროვიჩმა** გაფართოებულ შემადგენლობაში სამი კალათბურთელი დაამატა. ეს ტრიო ადგილობრივ კლუბს - „გეოპლინს" წარმოადგენს. ნაკრების ახალწვეულები არიან: მცველი **ზორან დრაგიჩი**, ფორვარდი **ბეჟიდარ მურიჩი** და ცენტრი **მატეი კრუშიჩი**.

ამის შემდეგ სლოვენიელთა შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მცველები:** იაკა ლაკოვიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), სანი ბეჩიროვიჩი (მილანი, იტალია), სანდი ჩებულარი (სენტიური), გორან დრაგიჩი (ფინიქსი, NBA), ზორან დრაგიჩი (გეოპლინი), იაკა კლობუჩარი (ოლიმპია), ბენო უდრიხი (საკრამენტო, NBA), სამო უდრიხი (ციბონა, ხორვატია);

**ფორვარდები:** ბოტსჯან ნახბარი (ეფესი, თურქეთი), ბეჟიდარ მურიჩი (გეოპლინი), გორან იაგოდნიკი (ჰემოფარმი, სერბეთი);

**ცენტრები:** ეროშ სლოკარი (მონტეპასკი, იტალია), მიხა ჟუპანი (ტრიკალა, საბერძნეთი), პრიმოჟ ბრეჟეცი (მილუოკი, NBA), მატეი კრუშიჩი (გეოპლანი), ჰასან რიზვიჩი (აზოვმაში, უკრაინა), გასპერ ვიდმარი (ფენერბაჰჩე);

**რეზერვისტები:** მირზა ბეგიჩი, ალექსანდრ ჩაპინი (ორივე - ჟალგირისი), მარკო ვრანკოვიჩი (ჰელიოსი).

აღსანიშნავია, რომ NBA-დან შემადგენლობაში ყველა ლეგიონერი მოხვდა, გარდა **საშა ვუიაჩიჩისა**, რომელიც გუშინ „ლეიკერსის" შემადგენლობაში ეროვნული საკალთბურთო ასოციაციის ორგზის ჩემპიონი გახდა.



კრივი

# დავა ჰონორარისთვის

პრომოუტერები კვლავაც ცდილობენ უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსა** და რუს **ნიკოლაი ვალუევს** შორის ბრძოლის ორგანიზებას.

რუსი მძიმეწონოსნის პრომოუტერმა, საყოველთაოდ ცნობილმა **დონ კინგმა** WBC-ის უკრაინელი ჩემპიონის ძველი წინადადება მიიღო. ამერიკელმა განაცხადა, რომ ვალუევი თანახმაა მიიღოს 2.5 მილიონი დოლარის ოდენობის ჰონორარი და უფროსი კლიჩკო ნოკაუტში გაგზავნოს.

*„უკრაინელის მხარემ 2.5 მილიონი დოლარი შემოგვთავაზა. მინდა ოფიციალურად გამოვაცხადო - ჩვენ თანახმა ვართ ამ ჰონორარზე. იმედი მაქვს, რომ ისინი თავიანთ სიტყვებს უკან არ წაიღებენ. ამ ბრძოლას მილიონობით გულშემატკივარი ელოდება"*, - მოჰყავს კინგის სიტყვები fightnews.com-ს.

საპასუხო განცხადებაში ვიტალი კლიჩკოს მენეჯერმა **ბერნტდ ბენტემ** რამდენადმე გაანელა ამერიკელი პრომოუტერის ენთუზიაზმი. მისი განცხადებით, ძველ წინადადებას ძალა აღარ აქვს.

*„დონ კინგი სიმართლეს არ ლაპარაკობს. დიახ, 2.5-მილიონიანი წინადადება იყო, მაგრამ ის ჰონორარი მხოლოდ „შალკეს" სტადიონზე გასამართი ბრძოლისთვის დადგინდა. ახლა ჩვენი წინადადება 1.5 მილიონს არ აღემატება. მას შეუძლია დაეთანხმოს ამ თანხას ან დევიდ ჰეისთან მატჩრევანშზე იზრუნოს. ჩვენი მხრიდან ჰონორარი არ გაიზრდება"*, - ამბობს ვიტალი კლიჩკოს მენეჯერი.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ლიტვა-ლატვია | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იუვიასკიულა-მარიეჰამნი | 0:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ისტბურნი** | |
| **ლოდრა**-დოლგოპოლოვი | 6:3, 7:5 |
| ისტომინი-**გარსია ლოპესი** | 6:3, 3:6, 4:6 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| მალისი-**სტახოვსკი** | 3:6, 4:6 |
| ბეკერი-**ტიპსარევიჩი** | 7:6, 3:6, 4:6 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| სტოსური-**მაკაროვა** | 6:7, 5:7 |
| **აზარენკა**-ბარტოლი | 6:3, 7:5 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| **ანენი**-დულგერუ | 6:2, 6:2 |
| **პეტკოვიჩი**-ფლიპკენსი | 6:7, 7:6, 6:4 |

TV პროგრამა

## 19 ივნისი. შაბათი

### I არხი

**15:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**15:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. E ჯგუფი. ჰოლანდია-იაპონია (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. D ჯგუფი. განა-ავსტრალია (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. E ჯგუფი. დანია-კამერუნი (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

### მზე

**13:00** იმედის ფსონი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**07:05** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
**08:50** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-ცსკა.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
**14:20** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**15:05** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
**16:45** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-შვეიცარია (LIVE).
**19:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-რეალი.
**21:00** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
**22:45** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-შვეიცარია.
**00:30** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე.
**01:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ატლეტიკო-ჩელსი.
**03:05** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ტოტენჰემი.
**04:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. პოლონეთი-რუმინეთი.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ნაპოლი.

### EUROSPORT

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
**12:00** ზაფხულის ბიატლონი. შვეიცარიის გრან-პრი. ციურიხი.
**13:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**14:00** ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. ზოლდერი. ბელგია (LIVE).
**15:00** ახალი ამბები.
**15:05** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**19:00** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. ბერგენი. ნორვეგია (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**20:15** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. ბერგენი. ნორვეგია (LIVE).
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:15** ბრძოლა წესების გარეშე.
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:00** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. ბერგენი. ნორვეგია.
**02:30** ზაფხულის ბიატლონი. შვეიცარიის გრან-პრი. ციურიხი.
**03:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

## 20 ივნისი. კვირა

### I არხი

**15:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. F ჯგუფი. სლოვაკეთი-პარაგვაი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. F ჯგუფი. იტალია-ახალი ზელანდია (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. G ჯგუფი. ბრაზილია-კოტ დ'ივუარი (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

### მზე

**13:00** იმედის ფსონი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**07:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ბორდო.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-შვეიცარია.
**14:35** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**15:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია.
**17:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ატლეტიკო-ჩელსი.
**19:00** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ტოტენჰემი.
**20:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რუბინი-ბარსელონა.
**22:45** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კალიარი.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
**03:00** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
**04:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. I ეტაპი. რუსეთი-იტალია.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.

### EUROSPORT

**10:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ზოლდერი. ბელგია (LIVE).
**11:30** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. ლე მანი. საფრანგეთი (LIVE).
**12:00** ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. მიუნხენი. გერმანია (LIVE).
**14:40** ახალი ამბები.
**14:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ზოლდერი. ბელგია (LIVE).
**15:45** ავტოსპორტი. ფორმულა 2. II რბოლა. ზოლდერი. ბელგია (LIVE).
**16:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ზოლდერი. ბელგია (LIVE).
**18:00** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. II რბოლა. ლე მანი. საფრანგეთი.
**18:30** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II დღე. ბერგენი. ნორვეგია (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**20:15** ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. მიუნხენი. გერმანია.
**21:00** ახალი ამბები.
**21:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**21:15** ზაფხულის ბიატლონი. შვეიცარიის გრან-პრი. ციურიხი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:15** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**22:30** პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. WBA-ის ვერსია. ჯონ რუისი (აშშ)-დევიდ ჰეი (ბრიტანეთი). მანჩესტერი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:15** მულტისპორტი.
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:00** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. ბერგენი. ნორვეგია.
**02:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ზოლდერი. ბელგია.
**02:45** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ამბები

ჰოკეი

## მონრეალმა გმირი მეკარე გაუშვა

„მონრეალ კანადიენსმა" „სენტ ლუის ბლუზს" გაუცვალა სლოვაკი მეკარე **იაროსლავ ჰალაკი**, რომელიც წლევანდელი პლეი ოფის გმირი გახდა. მონრეალელებმა გოლკიპერის სანაცვლოდ „სენტ ლუისის" ფარმკლუბის ორი ფორვარდი - **ლარს ელერი** და **იან შულცი** მიიღო.

ჰალაკმა პრაქტიკულად მარტომ გაიყვანა „მონრეალი" აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში - მისი დახმარებით „კანადიენსმა" ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „ვაშინგტონი" და სტენლის თასის მფლობელი „პიტსბურგი".

*„ჰალაკის თამაში რეგულარულ სეზონსა და პლეი ოფში დაუვიწყარი იყო და საყოველთაო ქებას იმსახურებს. ის NHL-ის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავია და იმედი მაქვს, წარმატებას მოუტანს ჩვენს გუნდს"*, - განაცხადა „სენტ ლუისის" პრეზიდენტმა **ჯონ დევიდსონმა**.

ჩოგბურთი

## უიმბლდონს ფინალისტი დააკლდა

მამაკაცებს შორის უიმბლდონის ბადემ კიდევ რამდენიმე დანაკლისი განიცადა. ლონდონში არ ჩავიდნენ არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი**, ხორვატები - **ივო კარლოვიჩი** და **მარიო ანჩიჩი** და ფრანგი **რიშარ გასკე**. ამის შესახებ ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

150-ე ჩოგანი ნალბანდიანი წელს „დიდი სლემის" მესამე ტურნირს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ 2002 წელს არგენტინელი უიმბლდონის ფინალში თამაშობდა და ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტთან** წააგო. დავიდს ფეხის ტრავმა აწუხებს.

რაც შეეხება კარლოვიჩს, ხორვატს ტერფი აქვს დაზიანებული, მის თანამემამულე ანჩიჩს ზურგი აწუხებს, გასკეს - ფეხი.

უფრო ადრე უიმბლდონზე გამოსვლა იუარეს არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**, ჩეხმა **რადეკ შტეპანეკმა** და რუსმა **ელენა დემენტიევამ**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ლეიკერსი მეთექვსმეტედ!

ფინალური სერიის მეშვიდე მატჩთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ჩამოთვლა, შესაძლოა, მოსაწყენი იყოს, მაგრამ როცა ფინალში ორი ისეთი ბუმბერაზი კლუბი თამაშობს, როგორებიც „ლეიკერსი" და „ბოსტონი" არიან, სტატისტიკის მოშველიება აუცილებელია. ამ გუნდებს ერთად ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 33 ჩემპიონატი აქვთ მოგებული, ყველა დანარჩენ კლუბს ერთად აღებული - 29. როცა ფინალში „ლეიკერსი" და „სელტიქსი" ხვდებიან, როგორც წესი, გამარჯვებული აღმოსავლური კლუბი რჩება. მით უმეტეს, თუ საქმე მეშვიდე მატჩამდე მიდის. ასეთი ოთხი შემთხვევა იყო და ყოველთვის, **ბილ რასელის** ან **ლარი ბერდის** პერიოდში, ჩემპიონი მწვანეფორმიანი კლუბი ხდებოდა.

მაგრამ გუშინ „ბოსტონის" ამ კონკრეტულ ჰეგემონიას ბოლო მოეღო. სამაგიეროდ, თავისი კოლექცია შეავსო **კობი ბრაიანტმა**. ეს მისი მეხუთე ტიტულია და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ **მეჯიქ ჯონსონს** გაუთანაბრდა.

„ლეიკერსის" მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** მეცამეტედ გახდა NBA-ის ჩემპიონი, აქედან მეთერთმეტედ მწვრთნელის რანგში. ის შარშან გახდა ამ მაჩვენებლით ყველა დროის რეკორდსმენი და ახლა, უბრალოდ გაამყარა თავისი მიღწევა.

ხოლო თავად „ლეიკერსისთვის" ეს მე-16 ჩემპიონობაა და აბსოლუტურ რეკორდსმენ „ბოსტონამდე" ერთი ტიტული აშორებს.

თავად სერიის ბოლო მატჩი მეტად მძიმე და ულამაზო კალათბურთით აღინიშნა. „ლეიკერსმა" თამაშიდან ტყორცნების 32.5 პროცენტი გამოიყენა, თავად კობიმ კი 24 სროლიდან მხოლოდ 6 ჩააგდო! დაბალი შედეგიანობის კომპენსირებას გუნდები ხისტი თამაშით ცდილობდნენ - საქმეში იდაყვები და მხრები ჩაება და მატჩი ჰოკეის კლასიკურ შეხვედრას დაემსგავსა.

„ბოსტონის" სასტარტოში გამოჩენილ **რაშიდ უოლასს** (ტრავმირებულ ცენტრ **კენდრიკ პერკინსს** ცვლიდა) მეტად კარგი განწყობა ჰქონდა - **დერეკ ფიშერის** სამქულიანსა და **პაუ გასოლის** ორქულიანს რაშიდმა ორი ზუსტი ტყორცნითა და ერთი ჩატენვით უპასუხა. რაც მთავარია, უოლასმა თავისიანები აიყოლია - **რაჟონ რონდომ** და **კევინ გარნეტმა** ორ შეტევაში ერთმანეთს შედეგიანი პასები გაუცვალეს და იოლად აიღეს მეტოქის ფარი. მცველმა და ფორვარდმა სხვებიც არ გააწბილეს და ერთ-ერთი ასეთი პასით **რეი ალენმა** შორეული ტყორცნით 13:9 დააწინაურა „ბოსტონი".

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. „ბოსტონი" კარგად იყო მზად მატჩისთვის. **გლენ დევისი** შესანიშნავად შევიდა თამაშში - საკმარისი იყო მისთვის ბურთის საჭირო ადგილას გადაცემა და „ბიგ ბეიბი" იოლად უმკლავდებოდა ოპონენტებს - ორი ორქულიანი და ორი ზუსტი საჯარიმო და სტუმრების უპირატესობა ცხრა ქულამდე ავიდა.

რას შვრებოდა ამ დროს „ლეიკერსი"? პირველი მეოთხედის ბოლო ხუთ წუთში კობის წარმატებული თამაშის გარდა, მასპინძლები ბევრით ვერაფრით დაიკვეხნიდნენ - „მწვანეების" დაცვა უშეცდომოდ თამაშობდა. მაგრამ როგორც კი მეორე მეოთხედი დაიწყო, სტუმრებს ძველი პრობლემები მოეძალათ - ექვსმა აცილებამ და ორმა შეცდომამ შეხვედრის მსვლელობა 180 გრადუსით შეატრიალა. „ლეიკერსის" 12:0 გაქცევის ორგანიზატორი არა კობი, არამედ **რონ არტესტი** გახდა, თუმცა ამ წარმატებამ მაინც ბოლომდე ვერ გამოაღვიძა მასპინძელთა გუნდი.

„სელტიქსმა" ეს გაქცევა რონდოს ზუსტი სროლით შეაჩერა. „ბოსტონი" თამაშს დაუბრუნდა და თანდათან ისევ იგდო ხელთ ინიციატივა - გარნეტმა საშუალო მანძილიდან ჩააგდო, ალენმა რამდენიმე საჯარიმო გამოიყენა, უოლასმა **ენდრიუ ბინუმის** მეურვეობისას ურთულესი ბურთი მოათავსა კალათში, მაგრამ მთავარი მოვლენა მაინც **პოლ პირსის** ჩრდილიდან გამოსვლა იყო. ვეტერანმა ფორვარდმა პირველი ტაიმის ბოლოს 9 ქულა დააგროვა, „ლეიკერსს" კი ამ დროს შეტევაში არაფერი გამოსდიოდა. რომ არა ყველას მიერ გაკრიტიკებული არტესტი, „ბოსტონი" დიდ შესვენებაზე არა მოკრძალებული ექვსი ქულით, არამედ ორნიშნა უპირატესობით გავიდოდა.



წესით და რიგით, შესვენების შემდეგ მასპინძლები მოედანზე მაქსიმალურად მოტივირებულები უნდა გასულიყვნენ, მაგრამ „ლეიკერსმა" ძველი თამაში გააგრძელა. ბრაიანტი შეცდომებს აგროვებდა - 106 წამის განმავლობაში სამჯერ შეცდა და ორჯერ წესი დაარღვია. გარნეტსა და რონდოს ეს დრო ეყოთ იმისთვის, რომ თავიანთი უპირატესობა 13 ქულამდე აეყვანათ - 48:36. მასპინძლებმა მხოლოდ მაშინ გაიღვიძეს, როცა ჯექსონმა ტაიმაუტი აიღო. გასოლმა, როგორც იქნა, გამოიყენა საშუალო ტყორცნა, შემდეგ გარნეტს დაუფარა, ოდომმა ორჯერ მოუგო დუელი უოლასს, ბრაიანტმა და ფიშერმაც გამოიღეს ხელი და ბოლო მეოთხედის წინ „სტეიპლს ცენტრში" ინტრიგა აღდგა - 53:57.

მეოთხე მეოთხედის სტარტიდან 18 წამის შემდეგ კი ყველაფერი პრაქტიკულად თავიდან დაიწყო - გასოლმა მორიგ შეტევაში ორი ქულა აიღო და ჯარიმის უფლებაც მიიღო, თუმცა ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება ვერ მოახერხა. შემდეგი სამი წუთი გუნდებმა ტყუილად ირბინეს - ჯამში ექვსი ტყორცნა ააცილეს და ოთხი შეცდომა დაუშვეს. „მშრალი" სერია გარნეტმა შეწყვიტა - რონდოს გენიალური პასის შემდეგ მარტო დარჩა ფარქვეშ. იქვე სცენაზე ბრაიანტი გამოვიდა და ალენის პერსონალურის შემდეგ სამი საჯარიმოს შესრულების უფლება მიიღო - 58:59. ალენმა შეცდომა გამოასწორა და თავისი გუნდის მორიგი ხუთი ქულა თავის აქტივში ჩაიწერა, მაგრამ ეტყობოდა, რომ „ლეიკერსმა" ტემპი აკრიფა და მისი შეჩერება უკვე ძალიან რთული იყო.

ფიშერი მარტო დარჩა სამქულიანის ხაზთან, გარისკა და მატჩში პირველი სამქულიანი ჩააგდო, ბრაიანტმა გაიხსენა, რომ მატჩის შემდეგ მისთვის MVP-ის პრიზი უნდა გადაეცათ და ერთ-ერთი შეტევა ულამაზესი სროლით დაასრულა, გასოლმა კი გამოასწორა თამაშიდან და ჯარიმის ხაზიდან ტყორნების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. **დოკ რივერსის** შეგირდების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, საფინალო სირენამდე 90 წამით ადრე მასპინძლების უპირატესობა სოლიდური იყო - 76:70.

მატჩი საკმაოდ მოულოდნელად შემტევი კალათბურთით დასრულდა. რაშიდ უოლასმა სამქულიანით შეამცირა სხვაობა - 76:73. მასპინძლებმა სწრაფი შეტევით უპასუხეს და სამქულიანი არტესტმა ჩააგდო. „ბოსტონის" კიდევ ერთი შეტევა და უოლასი მორიგ შორეულ ტყორცნას იყენებს - 79:76. კიდევ ერთი სამქულიანი ბრაიანტის შესრულებით, რომელიც მიზანს არ აღწევს, მაგრამ გასოლი შეტევაში იღებს მოხსნას და ბურთს კობის აწვდის - მასზე უოლასი ჯარიმდება და მეექვსე პერსონალურით სათადარიგოთა სკამისკენ მიემართება.

26 წამით ადრე კობის ორმა საჯარიმომ ჩემპიონობის ბედი გადაწყვიტა. ბრაიანტმა გამარჯვების აღნიშვნა მსაჯის მაგიდაზე ასვლით დაიწყო. ფილ ჯექსონმა უპასუხოდ დატოვა სახელდახელო კითხვა, დარჩება თუ არა მომავალ სეზონში გუნდში. თუმცა ბრაიანტმა მის ზურგსუკან იყვირა: *„მან იცის, რომ ძალიან მინდა გუნდში დარჩეს"*.

სხვათა შორის, მაგიური ციფრების გამო ჯექსონმა, შესაძლოა, კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივოს კონტრაქტი. მან იცის, რომ სამობით იგებს ტიტულებს. სამჯერ ზედიზედ „ჩიკაგოში" 90-იანი წლების დასაწყისში, შემდეგ კიდევ სამი ტიტული **მაიკლ ჯორდანის** დაბრუნების შემდეგ, ისევ ზედიზედ სამჯერ XXI საუკუნის დასაწყისში კობისთან და **შაკილ ო'ნილთან** ერთად და ახლა ზედიზედ ორი - იმავე კობისა და გასოლთან ერთად. ასე რომ, ჯექსონმა ტრადიცია უნდა გააგრძელოს.

გუშინდელი მატჩის ერთ-ერთი გმირი პაუ გასოლი იყო, რომელმაც 18 მოხსნა გააკეთა - ცხრა შეტევაში და ამდენივე დაცვაში. შემთხვევითი არ არის, რომ **ლარი ო'ბრაიენის** პრიზის მიღების შემდეგ ბრაიანტმა მაშინვე დაიყვირა: **„სად არის პაო?"** და პრიზი პარტნიორს გადასცა. და ესპანელმაც კიდევ ერთი, მეტად სასიამოვნო მოხსნა გააკეთა.

*„ეს არაჩვეულებრივი ბიჭია და მის გარეშე ვერასოდეს გავიმარჯვებდით"*, - დაიყვირა მიკროფონში ბრაიანტმა.

თავად კობიმ ზედიზედ მეორედ მიიღო **ბილ რასელის** სახელობის პრიზი, როგორც ფინალური სერიის უძვირფასესმა მოთამაშემ. სხვათა შორის, ეს ჯილდო მას თავად რასელმა გადასცა.

**ლეიკერსი-ბოსტონი 83:79**

**14:23, 20:17, 19:17, 30:22**

**ლ:** ბრაიანტი (23+15 მოხსნა), არტესტი (20+5 მოხსნა), გასოლი (19+18 მოხსნა+4 პასი+2 დაფარება), ფიშერი (10), ოდომი (7+7 მოხსნა), ბინუმი (2+6 მოხსნა), ვუიაჩიჩი (2), ფარმარი, პაუელი, ბრაუნი.

**ბ:** პირსი (18+10 მოხსნა), გარნეტი (17+4 დაფარება), რონდო (14+10 პასი+8 მოხსნა), რ. ალენი (13+3 ჩაჭრა), უოლასი (11+8 მოხსნა+2 დაფარება), დევისი (6+9 მოხსნა), ტ. ალენი, რობინსონი, სკალაბრინი, ფინლი.

**სერია: 4:3**

გია **თვალაბეიშვილი**




მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge